გამოიცემა 1934 წლიდან

№264 (12635) 10 ნოემბერი ორშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი




# ჩემპიონი

>>>> 11



# ლოკომოტივია!

# გოოოოლ!

## იაშვილმა კარლსრუე გადაარჩინა



## 8 ქართული ევროგოლი

>>>> 5

პე ეს პე
ჩემი ოჯახის აფთიაქია



# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა X ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

08.11. თბილისი ამერი. 400 მაყურებელი

**გაგრა-მესხეთი 3:1**

1:0 გაბედავა (17), 2:0 გაბედავა (24), 2:1 თაყაძე (65), 3:1 გაბედავა (86)

გაგრა: თევდორაძე - ქაჯაია, გიგური, მგელაძე, გაბუნია - დათუნაშვილი, ტყეშელაშვილი, ყიფიანი (90. კვანტალიანი), შარიქაძე (62. ლალიანი) - გაბედავა, ძაგანია (87. მეტრეველი).

*სათადარიგოები: კოტრიკაძე, ოქრიაშვილი, ფილია, ჩხაიძე*

მესხეთი: სომხიშვილი - რაქვიაშვილი, გ. კვახაძე, თედიაშვილი, მემარნიშვილი - გოჩაშვილი (58. ინასარიძე), გრიგალაშვილი, ლეკიშვილი - სამადაშვილი, გონჩაროვი, ახალაია (57. თაყაძე).

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, ქოჩარაშვილი, გაგუა, სუდაძე*

გაფრთხილება: თევდორაძე (70), გ. კვახაძე (80)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

# მესხეთს ალიყური გაბედავამ გაუბედა

ექვსი ვერმოგებული თამაშის შემდეგ „გაგრამ", როგორც იქნა, ნავსი გატეხა, თანაც, მარილიანი გამარჯვება მოიპოვა - შმაგ ბრძოლაში და შმაგი შეტევის ჰეთ-თრიკით. სველი, მძიმე გრუნტი, ალბათ, „გაგრას" უფრო აძლევდა ხელს. **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი ახალგაზრდული ჟინით სჯობს მეტოქეებს და ასე იყო ამ შეხვედრაშიც. პირველ ტაიმში „გაგრამ" პირველ რიგში სწორედ ამ კომპონენტის ხარჯზე მოიპოვა უპირატესობა.

გოლი პირველი: **გიორგი გაბედავამ** 30-ოდე მეტრიდან შეასრულა საჯარიმო დარტყმა. **გიორგი სომხიშვილი** ვალდებული იყო, ბურთი მოეგერიებინა, მაგრამ ხელებში გაუძვრა.

გოლი მეორე: ახალციხელებმა საკუთარი მოედნის ნახევარზე დაკარგეს ბურთი, **ლევან შარიქაძემ** გაბედავას გადააწოდა, რომელმაც ბურთი მესხთა კარის „ცხრიანს" შეაწყვიტა.

გოლი მესამე: მასპინძლებმა სწრაფად და მოხდენილად გაითამაშეს კომბინაცია. **ზამორა დათუნაშვილის** პასის შემდეგ გაბედავამ ძალისმიერი ორთაბრძოლა მოუგო მცველს და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა სომხიშვილს აულებელი დაურტყა.

ასეთი გახლდათ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის გოლები. აგრესიული, ჯანიანი და მიზანმიმართული შემტევი გაბედავა რომ საინტერესო ფეხბურთელია, ჩვენი ეროვნული გუნდის არგენტინელ დამრიგებელსაც არ გამოჰპარვია მხედველობიდან და პირველ „სამშაბათობაზე" უხმო კიდეც. **ექტორ კუპერს** ის ბოლო ვარჯიშზე არ მიუწვევია, მაგრამ ეს, ალბათ, ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარია, რომ გაბედავა უკვე არის სპეციალისტთა თვალთახედვის არეში. ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა.

..."მესხეთს" პირველივე ტაიმში შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ჩინებულად გაისარჯა გაგრელთა კიპერი **რევაზ თევდორაძე**. მასთან ჯერ **შოთა გრიგალაშვილი** გავიდა პირისპირ, შემდეგ კი **გიორგი კვახაძემ** დაურტყა ხუთიოდე მეტრიდან - სომხიშვილმა ორივეჯერ ივაჟკაცა. გოლის გაქვითვა **დიმიტრი ლეკიშვილსაც** შეეძლო და ისევ თევდორაძემ იმარჯვა.

საგოლე მომენტების გამოყენებაში „გაგრაც" ვერ იყო ასპროცენტიანი, დათუნაშვილს საშუალო დისტანციიდან შეეძლო გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „მესხეთმა" კიდევ ერთი საგოლე შანსი ვერ შეირგო - **ლადო ახალაიას** ჩაწოდებულს **გურამ სამადაშვილის** თავური მოჰყვა. ბურთი ხარიხას მოხვდა და კარის ხაზთან ახლოს დავარდა.

მერე **ზურაბ ძაგანიამ** აკრობატული დარტყმით მოინდომა გოლის გატანა, მაგრამ ერთ-ერთმა მცველმა შეუშალა ხელი და ბურთი მესხთა კარს ასცდა. ახალაიამ რთული მდგომარეობიდან დაარტყა და ოდნავ ააცილა მიზანს, გრიგალაშვილის საჯარიმო დარტყმა თევდორაძემ მოიგერია... მოკლედ, კარგი თამაში გახურდა, სახიფათო მომენტები აქეთ-იქით იქმნებოდა.

„მესხეთის" გოლი კი ასე გაიტანა: შეცვლაზე შესულმა **მიხეილ თაყაძემ** ჩაწოდებას კარში დარტყმა არჩია, თევდორაძეს ლეკიშვილი კი უშლიდა ხელს, თუმც მაინც მართებდა ბურთის მოგერიება, რომელიც ძელ-ხარიხას გადაკვეთასთან ჩაზზრიალდა კარში.

სტუმართა გოლმა თამაში კიდევ უფრო დაძაბა. **დავით ინასარიძის** დარტყმა თევდორაძემ მუშტებით მოიგერია, მაგრამ „მესხეთს" მეტის თავი თითქოს აღარ ჰქონდა, „გაგრამ" კი კონტრშეტევაზე არაერთხელ უჩხვლიტა სტუმარს და გოლიც გამოადნო.

**მატჩის შემდეგ**

**კობა თედიაშვილი (მესხეთი)**: „უკვე მერამდენედ გვემართება ასეთი რამ: ჩვენს ფეხბურთელებს ჰგონიათ, რომ გამოცდილების ხარჯზე მოუგებენ მეტოქეს, მაგრამ... მოკლედ, ბრძოლისუნარიანობაში მოვისუსტებთ ხოლმე და ასე მოხდა დღესაც. პირველ ტაიმში რომ გაგვეტანა ერთი გოლი, ვფიქრობ, შესაძლებელი იქნებოდა თამაშის შემობრუნება".

**ვლადიმერ ხაჩიძე (გაგრა)**: „მოწინაალმდეგეს კარგად ვიცნობდი, რადგან ადრე „მესხეთის" რამდენიმე ფეხბურთელს ვწვრთნიდი. ჩემს მოთამაშეებს დავავალე, რაც შეიძლებოდა მჭიდროდ ეთამაშათ მათ წინააღმდეგ და პირველ ტაიმში ეს დავალება კარგად შეასრულეს. მეორე ნახევარში გარკვეული პრობლემები კი შეგვექმნა, მაგრამ საბოლოო ჯამში ძალიან საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ".

დავით თავართქილაძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 9 | 6 | 0 | 3 | 13-6 | 18 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 3 | 1 | 12-7 | 18 |
| 3. ზესტაფონი | 9 | 5 | 2 | 2 | 10-5 | 17 |
| 4. დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 15-10 | 16 |
| 5. სიონი | 9 | 3 | 4 | 2 | 9-6 | 13 |
| 6. მგლები | 9 | 4 | 0 | 5 | 10-9 | 12 |
| 7. გაგრა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 |
| 8. ოლიმპი | 9 | 2 | 5 | 2 | 7-7 | 11 |
| 9. ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-14 | 10 |
| 10. მესხეთი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-12 | 9 |
| 11. სპარტაკი | 9 | 1 | 0 | 8 | 6-19 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ალექსიძე (ლოკომოტივი) | 6 |
| ვაწაძე (დინამო) | 6 |
| გაბედავა (გაგრა) | 5 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 5 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 5 |
| გ. თოდუა (მგლები) | 5 |
| კოშკაძე (სიონი) | 4 |
| ლომია (მგლები) | 3 |
| ოდიკაძე (დინამო) | 3 |
| სამადაშვილი (მესხეთი) | 3 |

**მომდევნო ტური**

**15 ნოემბერი, შაბათი**

ზესტაფონი-ლოკომოტივი
დინამო-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია-მგლები
ოლიმპი-სიონი

**16 ნოემბერი, კვირა**

მესხეთი-სპარტაკი

*გაგრა ისვენებს*

## პირველი ლიგა

**აღმოსავლეთი. XII ტური**

**7 ნოემბერი, პარასკევი**

| | |
|---|---|
| სიონი 2-გაგრა 2 | 1:4 |

**9 ნოემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| კახეთი-ამერი | 0:4 |
| დილა-თბილისი | 1:0 |
| დინამო 2-ნ/დინამო | 1:0 |
| ჩიხურა-ვიტ ჯორჯია 2 | 2:0 |

*ჰერეთი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 11 | 8 | 2 | 1 | 24-7 | 26 |
| 2. ამერი | 11 | 7 | 2 | 2 | 20-7 | 23 |
| 3. დინამო 2 | 11 | 6 | 3 | 2 | 15-8 | 21 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 5 | 1 | 18-5 | 20 |
| 5. დილა | 11 | 5 | 4 | 2 | 16-8 | 19 |
| 6. სიონი 2 | 11 | 3 | 3 | 5 | 16-31 | 12 |
| 7. თბილისი | 11 | 3 | 2 | 6 | 14-18 | 11 |
| 8. გაგრა 2 | 11 | 3 | 2 | 6 | 17-23 | 11 |
| 9. კახეთი | 11 | 2 | 2 | 7 | 6-21 | 8 |
| 10. ნ/დინამო | 11 | 1 | 4 | 6 | 12-19 | 7 |
| 11. ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7-18 | 6 |

**მომდევნო ტური**

**16 ნოემბერი, კვირა**

ნორჩი დინამო-ჩიხურა

**17 ნოემბერი, ორშაბათი**

ამერი-დილა
გაგრა 2-კახეთი
ვიტ ჯორჯია 2-ჰერეთი
თბილისი-დინამო 2

*სიონი 2 ისვენებს*

**დასავლეთი. XII ტური**

**9 ნოემბერი, კვირა**

| | |
|---|---|
| კოლხეთი (ფ)-სამტრედია | 1:2 |
| მეშახტე-ბაია | 0:2 |
| ბათუმი-ზესტაფონი 2 | 0:2 |
| გურია-ჭიათურა | 4:1 |
| ტორპედო 2008-ხობი | 3:1 |

*მარტვილი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 11 | 8 | 2 | 1 | 20-4 | 26 |
| 2. სამტრედია | 11 | 7 | 1 | 3 | 20-9 | 22 |
| 3. მარტვილი | 10 | 6 | 3 | 1 | 16-8 | 21 |
| 4. კოლხეთი | 11 | 6 | 2 | 3 | 15-7 | 20 |
| 5. ჭიათურა | 11 | 5 | 1 | 5 | 18-15 | 16 |
| 6. ტორპედო 2008 | 11 | 4 | 1 | 6 | 8-8 | 13 |
| 7. ზესტაფონი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 11-15 | 13 |
| 8. ხობი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-14 | 13 |
| 9. გურია | 11 | 3 | 3 | 5 | 15-21 | 12 |
| 10. ბათუმი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-21 | 9 |
| 11. მეშახტე | 11 | 0 | 2 | 9 | 6-28 | 2 |

**მომდევნო ტური**

**17 ნოემბერი, ორშაბათი**

ბაია-ტორპედო 2008
ხობი-ბათუმი
ჭიათურა-კოლხეთი (ფ)
სამტრედია-მეშახტე
ზესტაფონი 2-მარტვილი

*გურია ისვენებს*

ინტერვიუ გიორგი კიკნაძესთან

# ლოკომოტივის სუსტი რგოლი დაცვაა

## კიკნაძეს მოსწონს ვაწაძე, ვიტ ჯორჯია და დაბალანსებაზე ფიქრობს

**თბილისის „ლოკომოტივი" ეროვნულ ჩემპიონატს პირველივე ტურიდან ლიდერობდა. თუმცა „სიონსა" და „ოლიმპთან" ბოლო ორი საშინაო მატჩი წააგო და „ვიტ ჯორჯია"დაეწია. რატომ შეჩერდა გუნდის წინსვლა? ამის თაობაზე „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძეს ვესაუბრეთ...**

**- ბატონო გიორგი, ბოლო ორი საშინაო მარცხი დამაფიქრებელია. რა მოუვიდა „ლოკომოტივს"?**

- დაცვის ხაზში ნიკა გუშარაშვილის არყოფნა ძალიან დაგვეტყო. ის „ლოკომოტივისთვის" ძალიან დიდი ძალაა. ბოლო ტურში, „ოლიმპთან", ცქიტიშვილი, ჩხეტიანი და მახარაძეც არ გვყავდა. ამიტომაც გაგვიჭირდა. თუმცა მთავარი მინუსი ისაა, რომ სტაბილურად ვერ ვთამაშობთ და ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ვეძებთ. ალბათ, დღეისთვის ყველაზე სუსტი რგოლი დაცვაა.

**- სხვათა შორის, „ლოკომოტივში" თვალში საცემია ეგრეთ წოდებული მუშა ნახევარმცველების ნაკლებობა. ზვიად ჩხეტიანის არყოფნაც უცებ დაეტყო გუნდს...**

- მის პოზიციაზე მახარაძესაც ვიყენებდით, მაგრამ ის დისკვალიფიცირებული იყო. „მუშა" მოთამაშეები ფლანგებზეც გვყავს - ჩირიკაშვილი ყოველთვის ბევრს მოძრაობს და შეტევაშიც სასარგებლოა. თუმცა ორი აზრი არ არის - დაბალანსება გვჭირდება და ვეცდებით, ზამთრის პაუზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად გამოვიყენოთ.

**- „მგლებში" მშვენიერ სეზონს ატარებს „ლოკომოტივიდან" წასული გიორგი გულორდავა. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მისი გაშვება შეცდომა იყო?**



გიორგი კიკნაძე

- ნამდვილად არა. ის სამი თუ ოთხი წელი იყო „ლოკომოტივში" და არასტაბილურად თამაშობდა - ხან კარგად გამოიყურებოდა, ხან თამაშს ჩააგდებდა... ვფიქრობ, წასვლა მისთვისაც უკეთესი გამოსავალი იყო. გიორგი ზუგდიდელია. არის კატეგორია ფეხბურთელებისა, რომლებიც თბილისს ვერ ეგუებიან, დედაქალაქურ გუნდში ვერ თამაშობენ. ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი აღმოჩნდა გულორდავაც, თუმც მის ნიჭიერებაში ეჭვი არ მეპარება. სხვათა შორის, მსგავსი ფაქტები „დინამოდანაც" მახსოვს, როცა მე ვთამაშობდი. უცხო გარემოს ყველა ვერ ეგუება.

**- თქვენი აზრით, გააჩნია „ლოკომოტივს" საჩემპიონო რესურსი?**

- წინასწარ ამაზე ლაპარაკი არ მსურს. საჩემპიონო პოტენციალი კიდევ რამდენიმე გუნდს აქვს. მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს ამ პოტენციალს, ვინ როგორ იბრძოლებს... შემადგენლობიდან გამომდინარე, ნამდვილად შეგვიძლია სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა. საერთო ჯამში, პირველი წრე ჩვენთვის კარგად წარიმართა და სამომავლოდ ამბიციაც უნდა გვქონდეს. თუმცა, ვიმეორებ, ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა.

**- პირველი წრე მთავრდება. რომელი გუნდი და მოთამაშე მოგეწონათ?**

- ძალიან მომეწონა მათე ვაწაძე. მას დიდი ხანია ვაკვირდები და აშკარად ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. დღევანდელი ტემპით თუ გააგრძელა პროგრესი, დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**- ...და რაც შეეხება გუნდს?**

- გამორჩეულად სტაბილურია „ვიტ ჯორჯია" და ამიტომაც ყველაზე მეტად მომწონს. ვფიქრობ, ეს გუნდი ბოლო ტურამდე იბრძოლებს ჩემპიონობისთვის. მაგრამ „სიონისა" და „ოლიმპის" ჩამოწერაც ნაადრევია. მათ ისეთი ძლიერი მოთამაშეები ჰყავთ, აუცილებლად მოუმატებენ. თბილისის „დინამოზე" კი რა გითხრათ, ის ტრადიციულად ძლიერია. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა ზუგდიდის „მგლები", მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ დაბალანსებული შემადგენლობა არ ჰყავს და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა გაუჭირდება. ეგ არის, რომ „მგლებთან" მოგება იოლი არავისთვის იქნება, განსაკუთრებით, ზუგდიდში. რაც შეეხება „გაგრას", „ბორჯომსა" და „მესხეთს", ეს სამეული ხუთეულს მიღმა დარჩენილი ადგილებისთვის იბრძოლებს.

**- წლევანდელი ჩემპიონატი რომ დაძაბულია, ამას ყველა აღიარებს. სხვა საკითხია, ამ დაძაბულობამ დონე თუ გაზარდა?**

- ჩვენს ჩემპიონატს მაღალი დონის შემსრულებლები აკლია. ასეთები მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელია. ბრძოლა კი არის, მაგრამ კლასის ნაკლებობა აშკარად თვალში საცემია. ჩვენ დავიმატეთ ცქიტიშვილი, ალექსიძე, დარასელია და მათი კლასი თითქმის ყველა მეტოქესთან თავისას შვრება. ჩემი აზრით, აუცილებელია სწორედ ასეთი მოთამაშეების ჩამოყვანა, თუ გვსურს, ჩემპიონატის დონე ავამაღლოთ. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, კვალიფიციური ლეგიონერებიც მოვიზიდოთ. ასე, ჩემპიონატი კიდევ უფრო დაიძაბება და ეს კლასის მატებასაც შეუწყობს ხელს. ახალგაზრდა ფეხბურთელმა ვეტერანისგან უნდა აიღოს მაგალითი, მის გვერდით უნდა გაიზარდოს.

**- კიდევ რა ნაკლს ატყობთ ჩემპიონატს?**

- გუნდების დიდი ნაწილი ტაქტიკურად გაუმართავ ფეხბურთს აჩვენებს. ესეც აშკარაა. თუმცა ისევ მოთამაშეთა კვალიფიკაციას დავუბრუნდები - თუ მოთამაშემ დავალება ვერ შეასრულა, მწვრთნელს გენიალური ტაქტიკური ჩანაფიქრიც რომ ჰქონდეს, ვერ განხორციელდება.

მერაბ მამულაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo34@mail.ru

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
X ტურის მიმოხილვა

# ფორვარდების დაბრუნება


გიორგი მეგრელაძემ სეზონში პირველი გოლი გაიტანა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

...გამარჯვებამონატრებულ „გაგრას" რომ არ მოეგო, მეოცე ჩემპიონატის მორიგ მოულოდნელობასთან გვექნებოდა საქმე: ტურის ბოლო შეხვედრამდე ჩატარებულ ოთხ მატჩში მასპინძლებს მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდათ მოპოვებული! თუმცა, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდის საფიქრალი სტუმარმასპინძლობაზე მეტად ძვირფასი სამი ქულა გახლდათ და ამ გამარჯვებით „გაგრამ" ერთდროულად სამი საფეხურით წაიწია წინ.

ეს ტურის ბოლო მატჩი იყო, კვირას რომ გაიმართა; დანარჩენი ოთხი კი შაბათს ჩატარდა და ოთხივეში მრავლად იყო დასამახსოვრებელი თუ ღირსშესანიშნავი ფაქტი.

რალა თქმა უნდა, მეათე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩით უნდა დავიწყოთ. წესითა და რიგით, გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი რომ საკუთარ მოედანზე მარცხდება, სენსაციად უნდა შეფასდეს; უფრო მეტიც - მარცხდება გუნდთან, ცხრილში ბოლოსწინა ადგილი რომ უკავია! მაგრამ, გულახდილად ვთქვათ და ვაღიაროთ, რომ „ლოკომოტივის" საშინაო მარცხი „ოლიმპთან" სენსაციად არ უნდა მოვნათლოთ. ჰო, შაბათსაც ვწერდით და დღესაც გავიმეორებთ: ამ მატჩის შემხედვარე, მართლაც, ძნელი გასარკვევი იყო, ვინ გახლდათ ლიდერი და ვინ - აუტსაიდერი. მოკლედ, აშკარაა, რომ „ოლიმპმა" კრიზისი დაძლია: წინა ტურში „სპარტაკთან" გამარჯვებას უფრო „გემრიელი ლუკმა" მიაყოლა ზედ. თანაც, მოდით, ცხრილსაც დავხედოთ: ჯერ კიდევ ორი ტურის წინ უიმედო აუტსაიდერ „ოლიმპს" ამჟამად ექვსი ქულალა აშორებს პირველ სამეულთან! რუსთაველმა გუნდმა მეტოქე პირწმინდად დაჩაგრა და ჯერ მარტო პირველ ტაიმში, სულ მცირე, ოთხი-ხუთი რეალური მომენტიც შექმნა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილებაც გვრჩებოდა, რომ მასპინძელთაგან მხოლოდ **გიორგი ლომაიას** ჰქონდა წინააღმდეგობის გაწევის სურვილი. „ლოკომოტივი"-"ოლიმპის" მატჩზე დამსწრე მცირერიცხოვანი ქომაგი დაგვეთანხმება, რომ საქართველოს ნაკრების მეკარემ მორიგი გამორჩეული შეხვედრა ჩაატარა. გაშვებულ ორ გოლში კი ნამდვილად ვერ დავადანაშაულებთ: **გიორგი მეგრელაძემაც** და **შოთა ბაბუნაშვილმაც** ისეთი ბურთები დაურტყეს, აუღებელთა კატეგორიას რომ უნდა მივაკუთვნოთ. მოკლედ, „ოლიმპის" პროგრესი აშკარაა, რასაც ვერ ვიტყვით „ლოკომოტივზე"; ჯერ ის ვთქვათ, რომ **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდმა ზედიზედ მეორე შეხვედრა წააგო და ახლა უკვე ერთდროულად სამი მდევარი მიუახლოვდა. ყველაზე უცნაურად კი ის გვეჩვენება, რომ ჯერ კიდევ ერთპიროვნულ ლიდერს ჩემპიონატში სამივე წაგება... საკუთარ მოედანზე აქვს; მაშინ როცა, სტუმრად ქულათა მაქსიმუმი მოაგროვა. ამ შეხვედრის კიდევ ერთ მოვლენასაც გვერდს ვერ ავუვლით: „ოლიმპის" რიგებში 73-ე წუთზე მოედანზე შევიდა **კახა ალადაშვილი,** ვინც ეროვნულ ჩემპიონატს ხუთწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა. ალადაშვილს ახლა ხუთი მატჩიღა დარჩა და საიუბილეო, მესამასე მატჩსაც ჩაატარებს ჩვენს ჩემპიონატში!

ადრეც აღვნიშნეთ, რომ სამი ფეხბურთელიღა შემორჩა, ვინც... პირველ ჩემპიონატშიც ასპარეზობდა და დღესაც აგრძელებს კარიერას. ალადაშვილზე უკვე გითხარით, „სიონის" კარში **ზურაბ ქვაჩახია** გამოჩნდა, ხოლო უბერებელმა **ზურაბ იონანიძემ** მორიგი რეკორდითაც გაგვანებივრა. ჰო, ორი ტურის წინ ქართული ფეხბურთის მართლაც დამსახურებულმა ვეტერანმა ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხასე მატჩი ითამაშა (სარეკორდო მაჩვენებელია); ახლა კი, ჯერჯერობით, უკვდავ რეკორდსაც მისწვდა: იონანიძე ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც გოლი პირველ ჩემპიონატშიც გაუტანია და ახლაც, მეოცეში! თანაც, გოლსაც ხომ გააჩნია - „იონას" დარტყმა გადამწყვეტი აღმოჩნდა და „ზესტაფონმაც" მეორე ტურის მერე როგორც იქნა მოახერხა სტუმრად გამარჯვება. ბევრისთვის, მართლაც, მოულოდნელი გახლდათ „სპარტაკის" ასეთი წინააღმდეგობა - მანამდე აუტსაიდერმა ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო და ისედაც არცთუ სახარბიელო სატურნირო მდგომარეობა კიდევ უფრო გაიუარესა. თუმცა, ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტს მედგარი ბრძოლა გაუმართა და სტუმრებმაც ესოდენ რთული გამარჯვება ტაიმების ბოლოს გატანილი გოლების წყალობით მოიპოვეს. კვლავ გამოიჩინა თავი **ნიკა გელაშვილმა** - „ზესტაფონის" ცენტრფორვარდს ზედიზედ მეხუთე მატჩია გოლი გააქვს!

...თუ არ ვცდებით, მეშვიდე ტურში იყო, ნახევარმცველებმა „თავი რომ გაიგიჟეს" და ერთის გარდა, ყველა გოლი რომ მათ გაიტანეს. აი, ახლა კი უკვე ფორვარდებსაც გაახსენდათ თავიანთი უპირველესი მოვალეობა და მეტოქის მეკარეთა დამწუხრებაც დაიწყეს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია - ბევრი თავდამსხმელისთვის... სეზონში პირველი გოლი გახლდათ! მეგრელაძესა და იონანიძეზე უკვე ვთქვით და ჩემპიონატში პირველი გოლი კიდევ ერთ ფორვარდს გვინდა მივულოცოთ: ბოლოს და ბოლოს, **სანდრო იაშვილმა** შეძლო თავის გამოჩენა. ხეთვრამეტე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელსა და ბომბარდირს შარშანდელი უცხოური სეზონი აქტივში ნამდვილად არ ჩაეთვლება; ამიტომაც გაგვიხარდა, რომ ისევ საქართველოში დაბრუნდა ოპტიმალური ფორმის აღსადგენად. ნიჭიერი ფორვარდი ამბიციურ გუნდში მივიდა, მაგრამ „სიონის" სხვა თავდამსხმელებიც, თითქოს ჯადო ჰქონდათო, მეათე ტურამდე გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ. იმედია, იაშვილის მაგალითს სხვებიც მალე მიბაძავენ (**სულიკო დავითაშვილი, რეზო გოცირიძე, ირაკლი შენგელია**) და კიდევ ერთ ნავსსაც გატეხენ. ჰო, „ლოკომოტივისგან" საპირისპიროდ, **ოთარ კორღალიძის** გუნდი... საკუთარ მოედანზე უფრო უარესად ასპარეზობს, ვიდრე სტუმრად. თუმცა, ახლა „სიონს" ვერავინ დაძრახავს - მეტოქედ ხომ მეოცე ჩემპიონატის უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გუნდი „ვიტ ჯორჯია" ჰყავდა. თამაშიც ისეთი გამოდგა, ფავორიტებს რომ შეეფერებოდათ: გარდამავალი უპირატესობით და ორივე კართან შექმნილი უამრავი მომენტით. თუმცა, შეხვედრის ბოლოსკენ „სიონსა" და „ვიტ ჯორჯიასაც" დაღლა დაეტყოთ - ფეხბურთელებიც ადამიანები არიან და ყოველ მეოთხე დღეს თამაშიც გაუჭირდებოდათ. საბოლოოდ, ძნელი სათქმელია, რამდენად დააკმაყოფილებდათ ორივე გუნდის მწვრთნელებს ეს აშკარად არამშვიდობიანი ფრე; თუმცა, ფაქტია, რომ „ვიტ ჯორჯია" ქულებით წამოეწია „ლოკომოტივს", „სიონი" კი...ჯერაც ნანატრი საშინაო გამარჯვების მოლოდინშია. დაბოლოს, ამ მატჩზეც: სტუმართა მხრიდან „დუბლი" შეასრულა გიორგი ბერიაშვილმა; აღსანიშნავია, რომ „ვეტერინართა" თავდამსხმელი ამ სეზონში ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩნდება და აი, ახლა, დაბრუნება ერთდროულად ორი გოლით აღნიშნა...



მათე ვანაძე
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

მოქმედი ჩემპიონი ჩრდილიდან გამოდის - „დინამომ" საგრძნობლად გამოასწორა თამაშის ხარისხი და ეს მყისიერად აისახა შედეგზეც. შეგახსენებთ, რომ **რაინერ ცობელის** გუნდმა ნამეტნავად უხეირო სტარტი აილო - საწყის ხუთ ტურში სამი წაგება ჰქონდა. ამას კი ოთხმატჩიანი წაუგებელი სერია დაემატა (სულ ცოტა, ერთი თვე კიდევ რომ უნდა გაგრძელდეს) და „დინამოს" ერთგულ ქომაგებს მეოთხე ადგილზე ყოფნაც აღარ უნდა აღიზიანებდეთ. ჰო, ლიდერთან ჩამორჩენა, ფაქტობრივად, მინიმუმამდეა დაყვანილი; თანაც სამი ტურის მერე „დინამო" რომ ვიხილოთ ცხრილის სათავეში, არავის გაუკვირდეს. ბოლო ტურში ცობელის გუნდს არცთუ იოლი მატჩი ჰქონდა, მაგრამ სტუმრებმა კლასის და ცალკეული ფეხბურთელების საშემსრულებლო ოსტატობის ხარჯზე მაინც შეძლეს ზუგდიდიდან სამი ქულის წამოღება. მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა **მათე ვაწაძემ**, რომელსაც, ჩვენდა გასაკვირად, **ექტორ რაულ კუპერი** ნაკრებში არ იძახებს...

დაბოლოს, ტურის ბოლო მატჩზეც, სადაც ახალგაზრდულმა „გაგრამ" დამსახურებულად მოუგო გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „მესხეთს". ამ შეხვედრის და საერთოდ, ტურის მშვენება გახლდათ მასპინძელთა ახალგაზრდა ფეხბურთელის, 19 წლის **გიორგი გაბედავას** ზღაპრული ასპარეზობა. ერთი შეხედვით, ზუსტად ვერც იტყვით, გარემარბია თუ ფორვარდი, მაგრამ მთავარი ეს არ არის - გაბედავამ შთამბეჭდავი თამაშის ფონზე მეტოქის კარში სამი გოლი გაიტანა და „ტურის ფეხბურთელადაც" სამართლიანად დავასახელეთ.

**გია ტუხაშვილი**

## X ტურის სიმბოლური ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ტურის მწვრთნელი

ინტერვიუ ვარლამ კილასონიასთან

# ოლიმპის ძველ-ახალი ამბიციები

„ტურის მწვრთნელის“ არჩევაზე ბევრი არც გვიფიქრია - „ოლიმპმა“ სტუმრად ერთპიროვნულ ლიდერს მოუგო და რუსთაველთა გუნდის თავკაცი ვარლამ კილასონია ამ ნომინაციაში უკონკურენტო გახლდათ. „ოლიმპის“ მძიმე სტარტზე ბევრი დაიწერა, მერე გუნდში საკადრო ცვლილებაც მოხდა და, როგორც იქნა, პირველი გამარჯვების დროც დადგა. თუმცა, ამბიციური მიზნების მქონე „ოლიმპი“ მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და „სპარტაკთან“ მოგებას მეორე და ხმაურიანი გამარჯვებაც მოაყოლა. მეათე ტურის საუკეთესო მწვრთნელს, „ლოკომოტივთან“ მოგებული მატჩის გარდა, სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ.



ვარლამ კილასონია

**- ჯერ წინა ტურის მატჩი გავიხსენოთ...**

- მთავარი იყო, ნავსი გაგვეტეხა და სეზონში პირველი გამარჯვება მოგვეპოვებინა. შესაძლოა, თამაშის ხარისხი იდეალურთან მიახლოებული ნამდვილად არ იყო, მაგრამ უმთავრესი მაინც შედეგი გახლდათ. არადა, შემთხვევები ყოფილა, ბევრად უკეთ გვითამაშია, მაგრამ ვერ მოგვიგია.

**- ნავსის გატეხა ბიჭების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც აისახებოდა.**

- რა თქმა უნდა, მით უმეტეს, რომ ამ მოგებით საკუთარ ძალებში დარწმუნდნენ. ჩემი აზრით, ისეთი ჩემპიონატი გვაქვს, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება წარმატების მიღწევა. როცა შედეგი არ ჩანს, ფეხბურთელებიც, ცოტა არ იყოს, შებოჭილები თამაშობენ; აი, ახლა კი, იმ პირველი მოგების მერე, უკვე ლაღად გრძნობენ თავს.

**- შემადგენლობით „ოლიმპი“ თუ არ ალემატება, არც ერთ ლიდერს არ ჩამორჩება.**

- გეთანხმებით, თუმცა თანამედროვე ფეხბურთში „სახელი და გვარი“ აღარ თამაშობს. კონკრეტული მატჩისთვის სათანადოდ თუ არ მოემზადე, შესაძლოა, ვერც გამოცდილებამ გიშველოს და ვერც - კლასმა.

**- და მაინც, ელოდით, რომ ერთპიროვნულ ლიდერს სტუმრად დაამარცხებდით?**

- ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ მაქსიმალური შედეგის მისაღწევად გავდივართ. მიმაჩნია, რომ ძლიერ მოწინააღმდეგეს ყველა კომპონენტში ვაჯობეთ: ფიზიკურ მომზადებაში, ოსტატობაში, ბურთის ფლობაში. როგორც მწვრთნელს, გამიხარდა, რომ ჩემი გუნდის თამაშში გარკვეული რეზერვიც შეინიშნებოდა. ანუ, რომ მოგვენდომებინა, მეტსაც მივაღწევდით.

**- სეზონის დასაწყისიდან „ოლიმპის“ ფეხბურთელთა უმრავლესობა, რბილად რომ ვთქვათ, არადამაჯერებლად თამაშობდა.**

- ბიჭებს ბევრი კრიტიკის მოსმენამაც მოუწიათ; ახლა აღარ არის საჭირო იმაზე ლაპარაკი, რომელი იყო სამართლიანი და რომელი - უსაფუძვლო კრიტიკა. ფაქტია, რომ ყოველივე ამან ფეხბურთელების თავმოყვარეობაზე იმოქმედა; ანუ, საბოლოო ჯამში, კარგი გამღიზიანებელი აღმოჩნდა...

**- გუნდებს ყოველ მეოთხე-მეხუთე დღეს თამაშების ჩატარება უწევთ. როგორ ფიქრობთ, „ოლიმპი“ ბოლომდე „გაუძლებს“ ასეთ დატვირთვებს?**

- სეზონისწინა სამზადისი გუნდმა სხვა მწვრთნელის ხელმძღვანელობით ჩაატარა და ამიტომ ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდება. ამჟამად გუნდში 19 ფეხბურთელია და თითქმის ყველა მატჩში ორი-სამი კაცის როტაციას ვახერხებთ. გეთანხმებით, კალენდარი მართლაც, გადატვირთულია, მაგრამ სხვა გუნდებიც ხომ ჩვენ დღეში არიან?

**- ბოლო ორ შეხვედრაში მოპოვებულმა ექვსმა ქულამ „ოლიმპი“ ცხრილის ბოლოდან საგრძნობლად ზემოთ აასკუპა...**

- წელანაც გითხარით: ჩვენ ყველა მატჩზე მოსაგებად გავდივართ. სამწუხაროა, რომ „ბორჯომთან“ და „გაგრასთან“ დასანანი ქულები დავკარგეთ, თორემ უფრო წინ ვიქნებოდით. მეორე მომენტიც არ დავივიწყოთ - საკმაოზე მეტი მოულოდნელობები ხდება ჩემპიონატში და მჯერა, სამომავლოდ კიდევ ბევრი რამ შეიცვლება. ანუ, ჩემპიონატში ჩვენი მიზანი, რაც შეიძლება მაღალი ადგილის დაკავება, კვლავაც ძალაში რჩება.

**- ხვალ „ოლიმპს“ სათასო მატჩი ელოდება...**

- ჯერ იმას ვიტყვი, რომ სათასო პაექრობებში ფავორიტის ცნების განსაზღვრა ძნელია; მით უმეტეს, რომ, მართლაც „სათასო ტრადიციის“ მქონე გუნდს ვეთამაშებით. შეცდომაში არავინ შეიყვანოს იმ ფაქტმა, რომ „ამერი“ პირველ ლიგაში თამაშობს. ამას წინათ დავესწარი მატჩს „ამერის“მონაწილეობით და ერთობ მობილური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. არც იმ ფაქტმა უნდა მოგვადუნოს, ასაკით ახალგაზრდული გუნდი რომ არის. მოკლედ, სრული სერიოზულობით ვემზადებით.

**- ადრე გაიჟღერა, თითქოს „ოლიმპი“ ამ სეზონში ძირითად აქცენტს თასზე გადაიტანსო...**

- მოკლედ გიპასუხებთ: „ოლიმპის“ დღევანდელ შემადგენლობას რეალურად ხელეწიფება, რომ ჩემპიონატშიც და თასზეც მაქსიმალური მიზნებისთვის იბრძოლოს.

გია ტუხაშვილი

ტურის ფეხბურთელი

ინტერვიუ გიორგი გაბედავასთან

# გოლები გამქონდა, მაგრამ არც ერთ ნაკრებში არ ამიყვანეს

მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვამბობთ - უმაღლესი ლიგა გიორგი გაბედავას გამოჩენამ გაალამაზა. ამ ნიჭიერი ახალგაზრდის დამსახურებაცაა, „გაგრა“ ზოგჯერ ეფექტურ თამაშს რომ აჩვენებს. გუნდმა დღემდე 3 შეხვედრა მოიგო და 19 წლის ფორვარდი თითოეულ ამ მატჩში გამორჩეული იყო. თბილისის „დინამოსთან“ მისმა გოლმა სტუმრები დააბნია და ლიგის დებიუტანტი გაამხნევა. „მგლებთან“ აქტიურობით მცველებს თავგზა აუბნია, ბოლო ტურში კი, „მესხეთთან“, სულაც სამი გოლი გაიტანა და თავისი გუნდის გამარჯვებაში უმთავრესი როლი შეასრულა. გიორგის ბრძოლის ჟინი, უძლიერესი დარტყმა, შეუპოვრობა და, რაც მთავარია, ტალანტი გამოარჩევს. ვისაც არ გჯერათ, შეგიძლიათ ნახოთ და დარწმუნდებით - იქნებ ახალი ზაზა ჯანაშიაც გვეზრდება, ოღონდ, გაცილებით ჭკუადამჯდარი და მიზანმიმართული. „მესხეთთან“ მატჩში გაბედავამ არა მარტო სამი გოლი გაიტანა, ამდენივე რეალური მომენტიც შექმნა და მისი ნაქცევისთვის 11-მეტრიანის დანიშვნაც შეიძლებოდა. მოკლედ, ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ „ლელოს“ ვერსიით ის ტურის საუკეთესო მოთამაშე და, შესაბამისად, ჩვენი რესპონდენტია. თუმც ჩვენი გადაწყვეტილება საიდუმლოდ დავტოვეთ. ამდენად, გაბედავას სიურპრიზი ელის...

**- გიორგი, გულშემატკივარი თითქმის არც გიცნობს და გვითხარი, სად დაიწყე თამაში და როგორ მოხვედი, ასე ვთქვათ, დიდ ფეხბურთში.**

- ზუგდიდელი ვარ. ჩემი პირველი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანი იყო, ზუგდიდის კლუბის ყოფილი ფეხბურთელი. „ოდიში 2001“-ში ვთამაშობდი, მერე „მგლებში“ ამიყვანეს. ეს კლუბი რომ ჩამოყალიბდა, 15 წლის ვიყავი, რეგიონალლიგიდან უმაღლესამდე ავედით. პირველ ლიგაში 16 წლისამ ვითამაშე, უმაღლესში კი 17 წლისას მქონდა დებიუტი. პირველი წრე „მგლებში“ გავატარე, მერე „ოლიმპში“ მიმიწვიეს. თუმცა იქიდან წამოსვლამ მომიწია.

**- ზუგდიდელებმა „ოლიმპში“ რატომ ვერ გამოიჩინეთ თავი? შენ გარდა, ლადო ჯოჯუა გამოუშვეს...**

- ძალიან მარტივია ყველაფერი: კარგად თამაშობ იქ, სადაც იხსნები და თავს მშვენივრად გრძნობ. ვერც მე და ვერც ჯოჯუა რუსთავში ვერ გავიხსენით, ვერ შევეწყვეთ კლუბს... იყო კიდევ რაღაც ნიუანსები, რომლის გახსენება არ მსიამოვნებს... იმ დროს გუნდიც ვერ თამაშობდა და ამანაც იქონია გავლენა.

**- „გაგრაში“ როგორ აღმოჩნდი?**

- „გაგრისა“ და „მგლების“ პრეზიდენტები მეგობრობენ. სეზონის დაწყებამდე ზუგდიდურ კლუბში ფინანსური პრობლემები იყო, არავინ იცოდა, ვითამაშებდით თუ არა უმაღლეს ლიგაში. გვითხრეს, რომ კლუბს „ბაია“ ყიდულობდა, იმასაც გვეუბნებოდნენ, უმაღლესშიც არ ითამაშებს „მგლებიო“... აი, ასეთი გაურკვევლობა იყო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე და პრეზიდენტმა ლაშა დარასელიამ მითხრა - „გაგრაში“ გაგიშვებო. მანამდე უკრაინის ჩემპიონატის პირველი ლიგის გუნდზე იყო ლაპარაკი, გასინჯვაზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ ეს ვარიანტი აღარ გამოვიდა. იმ პერიოდში ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი, ფორმა რომ შემენარჩუნებინა.

**- ალბათ, სეზონისთვის ნორმალურად ვერც მოემზადე...**

- ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დრო არც იყო დარჩენილი. ისე, „გაგრაში“ გადასვლის დროს მითხრეს, რომ პირველი წრის შემდეგ უცხოეთში წამიყვანდნენ.

**- ანუ, მალე „გაგრიდან“ წახვალ?**

- არა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. „გაგრის“ პრეზიდენტი ბესო ჩიხრაძე იმდენად დიდი ადამიანია, მისი თანხმობის გარეშე არსად წავალ. „გაგრაში“ სამი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარე და მაშინვე ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. ასე რომ, სეზონის ბოლომდე გუნდში დავრჩები, შემდეგ კი გამიშვებენ, უცხოეთში კლუბის მოძებნაშიც დამეხმარებიან. ჩიხრაძესთან ისეთი ურთიერთობა მაქვს, ვენდობი და მჯერა ამ კაცის.

**- რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში გითამაშია? რაღაც არ გვახსენდები...**

- მხოლოდ 17-წლამდელთა შერჩევაში ვმონაწილეობდი. ეს იყო სამი წლის წინ, როცა დასავლეთ საქართველოსა და აჭარის ნაკრებები შეხვდნენ ერთმანეთს. მერე კიდევ რამდენჯერმე მიმიწვიეს და სულ გამქონდა გოლები, მაგრამ ნაკრებში ერთხელაც არ მითამაშია. წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არ მაქცევდნენ ყურადღებას. ყოველთვის ველოდი მიწვევას, მაგრამ ბოლოს მუდმივად იმედგაცრუებული ვრჩებოდი. სიმართლე გითხრათ, ისიც კი ვიფიქრე - რეგიონებს და, საერთოდ, იქაურ მოთამაშეებს სათანადოდ არ აფასებენ-მეთქი.

**- ანუ, ამ მიზეზის გამო არ იწვევენ ნაკრებ გუნდებში?**

- რა თქმა უნდა?!

**- გამოდის, რომ ჩაგრავენ?**

- არა, არა, ეს არც მიფიქრია. ქვეყანაში არსებულმა სიტუაციამ მოიტანა ასე. საქართველოში ინფორმაცია მხოლოდ თბილისურ კლუბებზე ვრცელდება, რაიონებზე კი თითქმის არაფერი ისმის, იქ მოთამაშე ბიჭებს ხალხი ნაკლებად იცნობს. არადა, რეგიონებში უამრავი ტალანტია და გული მწყდება, რომ ისინი არ ჩანან. ზუგდიდში ჩემი ტოლები არიან კუტალია, წურწუმია და კიდევ ბევრი. ეს ბიჭები არავისზე ნაკლებ ფეხბურთს არ თამაშობენ, მაგრამ, სამწუხაროდ, მათზე ვერსად ვერაფერს წაიკითხავთ. ამას ვგულისხმობდი და არა ჩაგვრას, თორემ, მენეჯერები რომ გაიგებენ, სადმე ნიჭიერი ბიჭი გამოჩნდა, იმას ხელიდან ვინ გაუშვებს?



გიორგი გაბედავა

**- შენს დარტყმებს მეკარეები შიშით ელიან. ასეთი დაყენებული დარტყმა ვარჯიშის შედეგია?**

- დიახ, ვვარჯიშობ და ვცდილობ, შორიდან დარტყმა დავხვეწო. თუმცა, ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ამ თვისებით თავიდანვე გამოვირჩეოდი. რაც უნდა ბევრი ივარჯიშო, რაღაც ბუნებამაც უნდა მოგანიჭოს - ძალა, გამძლეობა... ფეხბურთზე შვიდი წლის ასაკიდან დავდივარ და რაც თავი მახსოვს, სულ ძლიერი დარტყმა მქონდა.

**- „გაგრის“ არასტაბილურ თამაშს რით ახსნი?**

- ჩვენი თამაშები რომ გაიხსენოთ, ვერც ერთზე ვერ იტყვით, რომ ვინმემ აშკარად გვაჯობა, თვით „ზესტაფონმაც“ კი, რომელთანაც 0:3 წავაგეთ. ერთადერთი, „სპარტაკთან“ ვერ ვითამაშეთ კარგად. ისე, ვაღიარებ, რომ თბილისის „დინამოსთან“ ძალიან გაგვიმართლა, გადაღლილები თუ გამოფიტულები იყვნენ... რაც შეეხება არასტაბილურობას, ალბათ, მიზეზი განწყობაშია მოსაძებნი. ლიდერებთან უფრო მონდომებულები ვართ, აუტსაიდერებთან კი სათამაშოდ განწყობა გვიჭირს. საქმე ისაა, რომ ლიდერთან ყველას სურს თავის გამოჩენა, იქნებ, ვინმემ ყურადღება მიაქციოს, დაინტერესდეს... ბოლოს და ბოლოს, ყველას დაუმტკიცოს, რომ არავისზე ნაკლები მოთამაშე არ არის... თუმცა სხვა გზა არ გვაქვს - ყველა შეხვედრაში თუ არ მოვინდომეთ, არაფერი გამოგვივა.

**- 4 კუპერის დაინტერესება უკვე მოახერხე, მაგრამ ბოლო „სამშაბათობაზე“ რატომღაც არ მიგიწვია?**

- იმითაც ბედნიერი ვარ, ამხელა მწვრთნელმა ყურადღება რომ მომაქცია. ასეთი დონის სპეციალისტი რომ დაინტერესდება, ჩემთვის ეს უკვე დიდი სტიმულია. თუმცა პირველი ვარჯიშის შემდეგ, „მესხეთთან“ მატჩამდე გოლი არ გამიტანია, თავდამსხმელს კი გოლებით აფასებენ. სანერვიულო არაფერია, ეტყობა, ობიექტური კაცია და ველოდები, რომ შანსს კიდევ მომცემს. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონი | უქმეების მიმოხილვა

# იაშვილი ახტა და...

## არნახული მოსავალი: რვა ქართული გოლი

ამ უქმეებზე სეზონში პირველად გაისროლეს ალექსანდრე იაშვილმა (ბუნდესლიგაში) და სანდრო გურულმა (უკრაინულ ვიშა ლიგაში). ასევე პირველად გაიტანა წლევანდელ რუსულ პრემიერლიგაში დავით მუჯირმა, მისმა მოგვარე ამირან მუჯირმა კი აზერბაიჯანში დუბლი შეასრულა („კაბალის“ კარში). ქართული გოლები ამით არ სრულდება - უჩვეულოდ მოსავლიანი უქმეები კიდევ ლევან კორღალიძის (მოლდოვა), დავით გამეზარდაშვილისა და ვლადიმერ დვალიშვილის (ლატვია) გოლებით აღინიშნა.

### იაშვილის პირველი

ალექსანდრე იაშვილმა სეზონში პირველი გოლი ბუნდესლიგის მე-12 ტურში თავით გაიტანა. 174 სმ სიმაღლის ფორვარდისთვის ეს ძალზე იშვიათი მოვლენაა. ამ გოლით ქართველმა „კარლსრუეს“ ქულა გადაურჩინა. ერთ-ერთ ლიდერ ლევერკუზენის „ბაიერთან“ საშინაო მატჩის სასტარტო შემადგენლობაში ქართველი **ანტონიო და სილვამ** შეცვალა, იაშვილი მხოლოდ 61-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე **კარნელის** ნაცვლად. „კარლსრუე“ 0:3-ს აგებდა, თუმცა და სილვასა და **სებასტიანის** გოლების წყალობით მასპინძლებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. სწორედ ამ დროს შეიყვანა სათამაშოდ **ედმუნდ ბეკერმა** ალექსანდრე იაშვილი. ქართველს ზუსტად ერთ წუთში შეექმნა საგოლე მომენტი, მაგრამ ვერ ივარგა. თუმცა 76-ე წუთზე იაშვილმა **ჩელოცის** ჩაწოდებით თავურით გაათანაბრა - 3:3. „კარლსრუე“ 10 ქულით მე-15 ადგილზეა. „შპორტალმა“ იაშვილს გუნდში საუკეთესო შეფასება, 3 ბალი დაუწერა. შარშან ქართველმა ფორვარდმა ერთი გოლი კი შეაგდო, მაგრამ ოფიციალურად ის გოლი ვოლფსბურგელ მცველს მიაწერეს. გამოდის, რომ იაშვილმა ბუნდესლიგაში 2005 წლის 20 მაისის შემდეგ პირველად გაიტანა, მაშინ ფრაიბურგელმა ქართველმა „შალკეს“ გაუტანა. იაშვილმა ბუნდესლიგაში 31-ე გოლი შეაგდო.

„შალკეს“ ორი ქართველიდან „ბაიერნთან“ დაპირისპირებაში მხოლოდ **ლევან კობიაშვილმა** მიიღო მონაწილეობა (**ლევან ყენია** ტრავმირებულია). „შალკე“ „ბაიერნთან“ 1:2 დამარცხდა. ლევანი არ შეუცვლიათ, „შპორტალმა“ მისი თამაში 4 ბალით შეაფასა.

მეორე ბუნდესლიგაში **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენი“ შინ 0:1 დამარცხდა „ობერჰაუზენთან“. ღვინიანიძემ (4 ბალი „შპორტალისაგან“) შეუცვლელად ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო, ამ მარცხმა „ლომები“ (17 ქულა) მე-8 ადგილზე ჩამოაქვეითა. „აუგსბურგი“ „ფიურტს“ შინ 1:1 დაუზავდა, თუმცა მასპინძელთა გუნდში კვლავ ვერ ვიხილეთ **ოთარ ხიზანეიშვილი**. „აუგსბურგი“ 12 ქულით მე-15 ადგილზეა.

### ანელკასთან ვერას გახდა

სიცილიური კლუბი ჯერჯერობით კვლავ **ლევან მჭედლიძის** გარეშე ასპარეზობს, რომელმაც ბულგარეთის ნაკრებთან მატჩში ტვინის შერყევა მიიღო. ლევანმა ვარჯიში განაახლა, თუმცა ერთ-ერთ ვარჯიშზე თავი შეუძლოდ იგრძნო. შესაძლოა, ამ მიზეზით ვერ მოხვდა ჩვენებური „ტორინოსთან“ მატჩის განაცხადში, უქართველოდ „პალერმო“ 0:1 დამარცხდა.

„ლეჩე“-„მილანის“ ნუხანდელ მატჩში არ უთამაშია **კახა კალაძეს**. ნაკრების კაპიტანი განაცხადში იყო.

**ზურაბ ხიზანიშვილმა** კვლავ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშა, თუმცა ქართველმა ვერაფერი გააწყო „ჩელსის“ თავდასხმასთან. პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირმა **ნიკოლა ანელკამ** დუბლი მიითვალა - 0:2. ხიზანიშვილმა **რაიან ნელსენთან** ერთად დაცვის ცენტრში ითამაშა. „ჩელსის“ მეორე გოლისას ზურამ **უეინ ბრიჯის** ჩაწოდება ჩაჭრა, თუმცა **ფრენკ ლემპარდმა** ბურთს მიუსწრო და ანელკას საგოლე პასი მიაწოდა.



ზურაბ ხიზანიშვილი ნიკოლა ანელკას წინააღმდეგ

### შტურმის მორიგი გამარჯვება

ავსტრიულ ბუნდესლიგაში ქართველთა „შტურმი“ კვლავ მესამე ადგილზეა (32 ქულა). მორიგ ტურში „შტურმმა“ „სუპერფუნდს“ უმასპინძლა და 2:0 მოუგო. უკვე კარგ ტრადიციად იქცა, რომ „შტურმის“ დაცვის ორივე ფლანგზე შეუცვლელად ითამაშეს ჩვენებურებმა, **გიორგი შაშიაშვილმა და ილია კანდელაკმა**. ლუსტენაუს „აუსტრია“ კვლავ დამარცხდა მეორე ბუნდესლიგაში („ტრენკსვალდერთან“ - 0:1). **მირზა ბუალავას** გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა. ბუალავას პირველი 4 ტურის შემდეგ არ უთამაშია.

დანიაში მოგების გემო გაიხსენა „ვიბორგმა“, **გიორგი ფოფხაძის** გუნდმა „ლუნგბიუ“ 3:2 დაამარცხა. ქართველს ამ შეხვედრაში არ უთამაშია. ჩეხეთში „პლზენმა“ სტუმრად 2:1 დაამარცხა „ბრნო“. **დიმიტრი ტატანაშვილი** არ გამოჩენილა. „ნიტრა“ „ჟილინასთან“ 0:2 დამარცხდა. **ირაკლი ლილუაშვილი** 70-ე წუთზე შეცვალეს. „ნიტრა“ 14 ქულით მე-10 ადგილზეა.

### მუჯირმა პრემიერლიგას თავი შეახსენა

რუსეთის პრემიერლიგის 28-ე ტურში **დავით მუჯირის** გოლმა მოსკოვის „ლოკომოტივს“ პრინციპული მეტოქე, „სპარტაკი“ დაამარცხებინა - 1:0. გოლი შესანიშნავ კომბინაციას მოჰყვა, რომელიც **ბელიალეტდინოვმა** წამოიწყო. მუჯირმა ბურთი ეშმაკურად გაატარა, რომელიც **ოდემვინგიეს** მიუვიდა, ქართველი უმალ გაიხსნა, ბურთი დროულად მიიღო და „სპარტაკის“ კარი დალაშქრა. 78-ე წუთზე მუჯირი შეცვალეს. ეს პრემიერლიგაში ჩვენებურის პირველი გოლია „ლოკომოტივის“ მაისურით.

ვლადივოსტოკის „ლუჩი“ კატასტროფის პირასაა, გუნდმა კვლავ წააგო, ამჯერად, მოსკოვის „დინამოსთან“ - 0:2. **ლევან გვაზავამ** შეუცვლელად ითამაშა დამარცხებულთა რიგებში. ნალჩიკის „სპარტაკი“ „კრილია სოვეტოვს“ ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მატჩში მონაწილეობა არ მიუღია **გოგიტა გოგუას**. **ალექსანდრე ამისულაშვილმა** და **დავით სირაძემ** შეუცვლელად ითამაშეს (ორივეს - 5,5 შეფასება). სირაძემ ბევრი იაქტიურა და იბრძოლა, მას ხშირად ეუხეშებოდნენ მასპინძელთა მცველები, რის გამოც 72-ე წუთზე მან ტრავმა მიიღო, თუმცა ბრძოლის ჩამთავრება მაინც შეძლო. „ლუჩი“ 20 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და ფინიშამდე ორი ტურით ადრე უკვე 4 ქულით ჩამორჩება „ხიმკის“. ნალჩიკის „სპარტაკი“ 31 ქულით მეათე ადგილზეა. ჩემპიონი „რუბინი“ „ტერეკს“ მასპინძლობდა, **დავით კვირკველია** განაცხადშიც არ ყოფილა, ხოლო **ნუკრი რევიშვილი** და **ლაშა სალუქვაძე** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. „რუბინმა“ 1:3 წააგო.



დავით მუჯირი


სანდრო გურული გოლს ზეიმობს

### გურულის სადებიუტო

კიდევ ერთმა ქართველმა გახსნა თავისი გოლების ანგარიში უკრაინულ ვიშა ლიგაში - **სანდრო გურულმა** „კარპატის“ მაისურით პირველად გაიტანა. მან კიევის „არსენალის“ კარის ბადე უკვე მე-2 წუთზე შეარხია. გურულმა მეკარის შეცდომის შემდეგ ახლო მანძილიდან დალაშქრა სტუმართა კარი. ამის შემდეგ ქართველმა კიდევ 4-5-ჯერ სცადა გოლის გატანა, მაგრამ უზუსტოდ. მატჩი „კარპატიმ“ 3:2 მოიგო. **გიორგი ციმაკურიძის** „ზარიამ“ შინ 2:1 დაამარცხა „ილიჩივეცი“. გიორგიმ შეუცვლელად ითამაშა, ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო მასპინძელთა შორის. **ვასილ გიგიაძის** და **ლადო ბურდულის** „ტავრია“ სიმფეროპოლში „შახტართან“ დამარცხდა - 0:2. ბურდული ბოლომდე სათადარიგო დარჩა, ხოლო გიგიაძე 75-ე წუთზე შევიდა მოედანზე. „ვორსკლასთან“ მატჩში სათადარიგო იყო ოდესის „ჩერნომორეცის“ მცველი **კახა მჟავანაძე**. ხოლო „კრივბასთან“ სტუმრად 3:1 მოგებულ მატჩში „მეტალისტის“ განაცხადში არ ყოფილა **ლაშა ჯაკობია**. ტრავმამ არ მისცა თამაშის საშუალება კიევის „დინამოს“ მცველ **მალხაზ ასათიანს**. „დინამო“ 37 ქულით ლიდერობს, „მეტალისტი“ 30 ქულით მესამე ადგილზეა.

### ვირსლიგა ქართულად დასრულდა

**თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა“ შინაურ პირველობაზე შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, სტუმრად „ენოსისი“ 3:0 დაამარცხა. თემურმა არც ჩემპიონატის მატჩში ათამაშა **კლიმენტი ნიტაიშვილი**. „ანორთოსისი“ 19 ქულით მეორე ადგილზეა. **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა“ „ატრომიტოსი“ დაამარცხა - 2:1. არც მაღრაძეს უთამაშია.

ბოლოსწინა ტურში მინსკის „დინამოსთან“ მარცხის მიუხედავად ბატე ჩემპიონია. ბატე-ს ახალწვეულ **ლაშა დეკანოსიძეს** ძირითად გუნდში ჯერ არ უთამაშია. „მტზ-რიპომ“ შინ 3:1 მოუგო მინსკის „ლოკომოტივს“. **გივი კვარაცხელიამ** 90 წუთი ითამაშა. „მტზ-რიპოს“ დუბლებში 68 წუთი ითამაშა **ირაკლი მაისურაძემ**. სავარაუდოდ, „მტზ-რიპომ“ მინსკის „დინამოს“ მოგების შემდეგ მეორე ადგილზე გასვლის შანსიც დაკარგა.

ლატვიური ვირსლიგის ბოლო ტურში დაუგავპილსის დერბი წააგო **თამაზ პერტიას** „დინაბურგმა“, „დაუგავამ“ თანაქალაქელებს ტაიმში თითო გოლი გაუტანა - 2:0. უფრო საინტერესო რიგის დერბი გამოდგა, „სკონტომ“ 3:1 დაამარცხა „რიგა“. ორი გოლი ქართველების ანგარიშზეა, 32-ე წუთზე ჯერ კაპიტანმა **დავით გამეზარდაშვილმა** გაიტანა, ხუთ წუთში **ვლადიმერ დვალიშვილმა** შეაგდო. გამეზარდაშვილი 89-ე წუთზე შეცვალეს, დვალიშვილი 37-ე წუთზე გააფრთხილეს, გოლის გატანის აღნიშვნისას. ჩემპიონი „ვენტსპილსი“ 0:2 დამარცხდა „მეტალურგსთან“, **ზურაბ მენთეშაშვილს** არ უთამაშია. „ვენტსპილსმა“ ჩემპიონატი 63 ქულით პირველზე დაასრულა, „სკონტო“ 52 ქულით ბრინჯაოს მედლებს შესწვდა, „დინაბურგი“ 38 ქულით მეოთხეა. **ირაკლი ქორთუას** „ბლაზმა“ „ვინდავას“ დაუზავდა ბოლო ტურში. ქორთუამ 90 წუთი ითამაშა. „ბლაზმა“ 23 ქულით ბოლოსწინა ადგილზე გავიდა და გადათამაშება ელის. ვლადიმერ დვალიშვილმა ჩემპიონატი 9 გოლით დაასრულა. ლიტვაში იმარჯვა ქართველთა „კაუნასმა“, რომელმაც სტუმრად „სუდოვას“ მოუგო - 2:1. ითამაშა მხოლოდ **აკაკი ხუბუტიამ**. **ნუკრი მანჩხავა** არ გამოჩენილა.

მოლდოვის ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი „შერიფსა“ და „ზიმბრუს“ შორის გამოტოვა ტირასპოლელთა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა**, მიზეზი დისკვალიფიკაციაა. სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშა **მამუკა ლომიძემ**, მატჩი კი 1:1 დასრულდა. კიშინოვის „დაჩიამ“ სტუმრად 3:1 მოუგო ცსკა-ს. სტუმართა მესამე გოლი (90-ე წუთზე) **ლევან კორღალიძის** ანგარიშზეა. **სერგი ორბელაძემ** და **ლევან კორღალიძემ** 90-90 წუთი ითამაშეს, **ჯაბა დვალი** ჯერაც ტრავმირებულია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XI ტური



ასე გაიტანა სისინიომ გოლი... საკუთარ კარში

# ათამაშეთ სისინიო თავდასხმაში!

## დელ პიერომ საკუთარი დღეობისთვის საჩუქარზე თავადვე იზრუნა

შემოვდივარ წინადადებით - დაწესდეს ავტოგოლების კონკურსი! რა დააშავეს იმ ფეხბურთელებმა, რომელთა „შედევრები" დაუფასებელი რჩება? მსოფლიო ფეხბურთის მატიანესთვის ესეც საჭიროა, ვიტყოდი - საშვილიშვილო საქმეც კი. ერთი ეგ არის, რომ ავტოგოლი ადვილი გასატანია - არავინ შეგიშლის ხელს. ექსპერიმენტის სახით, კონკურსი ჯერ სერია A-ში ჩავატაროთ და ვნახოთ, როგორ გაამართლებს. ისე კი, ინტრიგა უკვე მკვდარი მგონია. რატომ? რა, ამ სეზონში აპენინებზე მეტ ავტოგოლს აღარ გაიტანენ? დარწმუნებული ვარ, უამისოდ არ იქნება, მაგრამ შაბათს **სისინიომ** იმდენად ლამაზი (სხვა მსგავსი ეპითეტის მოძებნაც შეიძლება) გოლი შეუგდო თავის მეკარეს, ნებისმიერი ექსტრაკლასის ფორვარდი რომ მოაწერდა ხელს. მოკლედ, „ბოლონია"-„რომას" მატჩის დასრულებას ბევრი არაფერი აკლდა, როცა მასპინძლებმა მარჯვენა ფლანგიდან კარის გასწვრივ ჩააწოდეს და სისინიომ ნახტომში სუპერთავური დასცხო - 1:1. „რომა" შოკში ჩავარდა. საფინალო სასტვენამდე მსაჯის მიერ წამატებული წუთებილა რჩებოდა...

„ჯალოროსი" სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში სხვადასხვა გუნდია და ამაში დავრწმუნდით კიდეც გასულ კვირაში - ხომ გახსოვთ, რა დღე აყარა „ჩელსის"? იქნებ, ბევრს ეს რენესანსის დასაწყისიც ეგონა. ისე, კაცმა რომ თქვას, პროგრესი სახეზეა - ზედიზედ 4 მარცხის შემდეგ, „რომამ" ქულა წაიღო ბოლონიიდან, სადაც **სინიშა მიხაილოვიჩის** დებიუტი შედგა. არადა, **ლუჩანო სპალეტის** ბიჭები ნამდვილად იმსახურებდნენ სამ ქულას. ვერ ვიტყვით, რომ ვიცე-ჩემპიონი ძველებურად ბრწყინავდა, მაგრამ სტარტიდან ფინიშამდე თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვია. ამას გარდა, პირველ ტაიმში **ვუჩინიჩმა** ორი 100-პროცენტიანი შანსიც გაატანა ქარს. მეორე ნახევარში „ბოლონია" ცოტათი კი გამოცოცხლდა და სიტუაციაც გაამწვავა, მაგრამ მოსაგები თამაში არ ჰქონია. თუმცა იყო ეჭვები - თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე **მარაცინას** ტყუილად აუფრიალეს ალამი, როცა კარის წინ უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაში ელოდა ბურთს - თამაშგარე არ ყოფილა! არ იყო პენალტი **დე როსიზეც**. მას ხელით განზრახ არ უთამაშია.

მანამდე კი ვნახეთ **ტოტის** (მე-400 მატჩი) გოლი და თავგატეხილი მეკარე **დონი**. შორეული საჯარიმო ჩაწოდების შემდეგ კაპიტანმა ცრუ მოძრაობით რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა და მახვილი კუთხიდან **ანტონიოლის** (სხვათა შორის, „რომას" ყოფილი მეკარე) ახლო ძელთან ძლიერად დაურტყა - 0:1. რაც შეეხება რომაელთა კიპერს, კარიდან წინ გამოსულს **დი ვაიომ** თავში ფეხი ჩასცხო (იმედია, უნებლიედ) და სისხლი ადინა. დონიმ თამაში ვერ გააგრძელა და თანამემამულე **არტურმა** შეცვალა...

რაც ბოლოს მოხდა, უკვე იცით. ასე იყო, თუ ისე, „რომამ" ვერ მოიგო და სპალეტიმ იქაურობა თავჩაქინდრულმა დატოვა. ეჰ, რა იცოდა, თორემ სისინიოს ნამდვილად არ ათამაშებდა...

იმ დღის პირველი მატჩი კი ტურინში გაიმართა, სადაც „გრანატამ" სიცილიელი სტუმარი თამაშის ბოლოსლა გატეხა. „ოლიმპიკოზე" დაძაბული ბრძოლა იყო. ვერ ვიტყვით, რომ **ჯანი დე ბიაზის** გუნდს რაიმე განსაკუთრებული უპირატესობა ჰქონდა მეტოქეზე, მაგრამ... ციხე შიგნიდან გატყდა - მატჩის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე „პალერმო" 10 კაცით დარჩა. **ნოჩერინომ** სახეში უთავაზა ტორინოელ **ჯემაილს**, რომელიც მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო და ეს თქვენი ნოჩერინო ნახევარდაცვაში პირწმინდადაც დაჩაგრა. როგორც ჩანს, სტუმრებმა ბოლო წუთებში გადაწყობა ველარ მოახერხეს და 20 მეტრიდან ავსტრიელი **ზოიმელის** ძლიერი დარტყმა გაეპარათ - 1:0.

ტურის ცენტრალური მატჩი გუშინ გაიმართა. „ინტერმა" „უდინეზეს" უმასპინძლა. თითქოს, ორივე გუნდი აქტიურობდა, გოლის გატანას ცდილობდა, მაგრამ საერთო ჯამში თამაში მაინც უსახური გამოვიდა. უდინელებს კაპიტანი და თავდასხმის ლიდერი **დი ნატალე** აკლდათ, **ჟოზე მოურინიომ** კი „ანორთოსისთან" თავშერცხვენილი **ბურდისო** კარგახანს უთამაშებელი **სამუელით** შეცვალა...

მატჩი განსაკუთრებით ბოლო ათ წუთში დაიძაბა, როცა „ნერაძური" გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა. მაგრამ „იერიში" ნამეტანი ხმამაღლა ნათქვამი ხომ არ არის? ამ ყველაფერში მომაბეზრებელი ქაოსი სჭარბობდა, თუმც **სტანკოვიჩმა** ძელის შეზანზარება მოახერხა, მთლად ბოლო წუთზე კი ყისმათა **კრუსმა** უდინელ მცველთა უყურადღებობით ისარგებლა და თავურით გამარჯვების გოლი გამოჭედა. მოურინიო სიხარულისგან ლამის ჭკუიდან გადავიდა, სახეგაბადრული **მასიმო მორატიც** გამოჩნდა ტრიბუნებზე... ეტყობა, კრუსის გოლმა ყველას ერთბაშად დაავიწყა, რომ 92 წუთის (დამატებიანად) განმავლობაში „ინტერი" ერთი ჩვეულებრივი გუნდი იყო, ყოველ შემთხვევაში, ის არა, თავად მორატის რომ უნდა...

**ალესანდრო დელ პიერო** ბრწყინვალე ფორმაშია. გუშინ ის 34 წლისა შესრულდა და საჩუქარზეც თავადვე იზრუნა. პირველი ტაიმის მიწურულს **იეპესმა** ის კარიდან 20 მეტრში წააქცია და ალექსმა კიდევ ერთი გენიალური ჯარიმა შეასრულა - 0:1. ნამატჩევს, **კლაუდიო რანიერი** ძირითადად დელ პიეროს ქებით იყო დაკავებული...

რაც შეეხება მეორე გოლს, ის **იაკვინტამ** შეაგდო, მას მერე, რაც თავისსავე გაფუჭებულ პენალტს დაამატა. არადა, 11-მეტრიანის შესრულებას დელ პიერო აპირებდა, მაგრამ მერე დიდსულოვნად გადაულოცა ეს უფლება თანაგუნდელს, რომელმაც, ასე თუ ისე, შეირგო საჩუქარი. ჰმ, ხედავთ? იუბილარმა საჩუქრები იქითაც დაარიგა. „კიევოს" კი ცუდად აქვს საქმე და ჯერჯერობით, ვერც ახალი „ცოცხი" შველის - გუშინ, ვერონელთა სამწვრთნელო სკამზე **მიმო დი კარლოს** მარცხიანი დებიუტი შედგა.

„ფიორენტინამ" პირველი ტაიმის შუა სამწუთიან მონაკვეთში დაახვია თავბრუ „ატალანტას" და დარჩენილ დროში უნარიანად ახერხებდა თამაშზე კონტროლის შენარჩუნებას. ეგ იყო, რომ **ფლოკარის** პენალტის შემდეგ ბერგამოელებს თამაშის გადარჩენის შანსი გაუჩნდათ. მაგრამ ბოლო წუთზე სასწაულით გადაურჩნენ მესამე გოლს - ჯილარდინო ორბურთიანი სხვაობის აღდგენა და სათავისოდ დუბლის შესრულება შეეძლო... და რაკი ასე არ მოხდა, ამით უმალ ისარგებლა **მილიტომ**, რომელმაც „რეჯინას" ჰეთ-თრიკით „ასიამოვნა" და ბომბარდირებს შორის 9 გოლით დაწინაურდა.

„ნაპოლი" ცოცხალი თავით არ კარგავს ქულებს (ხუთიდან ხუთი მოგება მიმდინარე სეზონში) „სან პაოლოზე", სადაც ამჯერად „სამპდორია" იქცა მსხვერპლად. ზღვა გამოცდილების მქონე **სალაიეტა** ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ახალგაზრდა **დენისსა** და **ლავეცის** არაფრით ჩამოუვარდება. სწორედ ამ უკანასკნელის პასით ისარგებლა ურუგვაელმა მოედანზე შესვლიდან ოთხ წუთში და ფაქტობრივად გადაწყვიტა კიდეც თამაშის ბედი. სხვათა შორის, **მანინის** გოლშიც ერთ-ერთი საკვანძო როლი ლავეციმ შეასრულა.

„ლაციო" ისევ ათამაშდა (ზედიზედ მესამე მოგება) და გოლის გემო გაიხსენა **სარატემაც**, რომელსაც პირველ ოთხ ტურში 6 ბურთი ჰქონდა გატანილი, მაგრამ მერე მოუკლო. თუმცა **დელიო როსის**, ეგებ, კაპიტან **ტომაზო როკის** დუბლი უფრო ახარებდეს. ვეტერანი ფორვარდი დიდხანს მკურნალობდა და გუშინ დუბლით შეახსენა ხალხს თავი..ამ დუბლმა მატჩის საბოლოო შედეგზე ყველა კითხვა მოხსნა.

გუშინვე, „მილანმა" ლიდერობა „ინტერს" გადაულოცა. „როსონერის" უზარმაზარი უპირატესობა ჰქონდა და მე-80 წუთზე **რონალდინიოსგან** გოლსაც (**პატოს** გადაცემის შემდეგ) ელირსა. თითქოს, **კარლო ანჩელოტის** გუნდი სამშვიდობოს იყო გასული, როცა შეცვლაზე შესულმა **ესპოზიტომ** **ძანკეტას** პასს თავური მიაყოლა და 1:1.

**გიორგი გელაშვილი**

### მომდევნო ტური

13 ნოემბერი. **იუვენტუსი-ჯენოა.** 15 ნოემბერი. **პალერმო-ინტერი.** 16 ნოემბერი. **მილანი-კიევო, რომა-ლაციო, სიენა-ბოლონია, უდინეზე-რეჯინა, სამპდორია-ლეჩე, კატანია-ტორინო, კალიარი-ფიორენტინა, ატალანტა-ნაპოლი.**

### ტორინო-პალერმო 1:0

**ტორინო:** კალდერონი-6, დიანა-6.5, დი ლორენტო-6, მ. პიზანო-6, ოგბონა-6, კოლომბო-6 (46. როზინა-6.5), ჯემაილი-7.5, ბარონე-6.5 (82. აბრუსკატო), პ. ძანეტი-6 (53. ზოიმელი-6.5), სტელონე-6.5, ამორუზო-6.5.

**პალერმო:** ა. ფონტანა-6.5, კასანი-6, კიაერი-6, ბოვო-6, ბალცარეტი-5.5 (62. ჩარამიტარო-6), ნოჩერინო-5, ლივერანი-5, მილიაჩო-5.5, სიმპლისიუ-5.5, მიკოლი-6.5 (88. ბუდანი), კავანი-5.5.

**გოლი:** 1:0 ზოიმელი (89)

**გაძევება:** ნოჩერინო (83. პალერმო)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 18-9 (5-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 18 000

### ბოლონია-რომა 1:1

**ბოლონია:** ანტონიოლი-5, ძენონი-5, ტერცი-6, მორასი-5, ლანა-5.5, ადაილტონი-6.5 (60. მარაცინა-6), მარკინი-5.5 (78. კოელიო), კარუსი-6, მუდინგაი-6, ვალიანი-5.5 (83. ბერნაჩი), დი ვაიო-6.5.

**რომა:** ა. დონი-6.5 (66. არტური), სისინიო-5, მექსე-6 (46. ტონეტო-5.5), ჟუანი-7, პანუჩი-6.5, დე როსი-6.5, პეროტა-6, ბრიგი-6.5, პისარო-6, ტოტი-7 (86. ბაპტიშტა), ვუჩინიჩი-6.

**გოლები:** 0:1 ტოტი (68), 1:1 სისინიო (90-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 9-10 (1-3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 22 000

### ინტერი-უდინეზე 1:0

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-5.5, კორდობა-6, სამუელი-6.5, მაქსველი-5.5, ხ. ძანეტი-6.5, კამბიასო-6.5, ვიეირა-6.5 (71. სტანკოვიჩი-6), კვარეშმა-4.5 (46. კრუსი-7), ბალოტელი-5.5 (63. ობინა-6.5), იბრაჰიმოვიჩი-5.

**უდინეზე:** პანდაროვიჩი-6.5, ფერონეტი-6, ა. კოდა-6, დომიცი-7, ლუკოვიჩი-6, ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-6.5, ისლა-6, პეპე-6 (89. მ. მოტა), კვალიარელა-5, ფლორო ფლორესი-6 (73. სანჩესი-6).

**გოლი:** 1:0 კრუსი (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 14-12; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 13-11 (5-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 55 627

### კიევო-იუვენტუსი 0:2

**კიევო:** სორენტინო-6.5, მალაგო-5.5, მანდელი-6, იეპესი-5.5, მანტოვანი-5, პინცი-6.5, ბენტივოლიო-5.5, მარკოლინი-6 (78. დ'ანა), ლანჯელა-6 (63. იუნკო-5.5), მ. ესპოზიტო-6 (74. ლუსიანო-6), პელისიერი-5.5.

**იუვენტუსი:** მანინგერი-6, მელბერგი-5.5, ლეგროტალიე-6, კიელინი-6.5, მოლინარო-6, მარკიონი-5.5, სისოკო-5.5 (46. ეკდალი-6), ტიაგო-6.5 (83. გრიგერა), დე ჩელიე-6.5, იაკვინტა-6.5, დელ პიერო-7 (87. ამაური).

**გოლები:** 0:1 დელ პიერო (40), 0:2 იაკვინტა (54)

*53-ე წუთზე იაკვინტამ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაფრთხილება:** 5-5; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 13-5; **კარში დარტყმა:** 7-11 (0-5); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 32 000

### ფიორენტინა-ატალანტა 2:1

**ფიორენტინა:** ს. ფრეი-6, კომოტო-5.5, დაინელი-6, გამბერინი-6.5, პასკუალი-6, კუჟმანოვიჩი-5.5 (77. დონადელი), ფელიპე მელუ-7, მონტოლივო-5.5, სემიოლი-6.5 (90. ძაუri), ჯილარდინო-6.5, იოვეტიჩი-6.5 (68. ოსვალდო).

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-5.5, დარიჩი-5.5 (46. პელეგრინო-5.5), რივალტა-5.5, კაპელი-5.5, ბელინი-6, პინტუ-6 (64. ვიერი-6), დე აშენტისი-5.5 (46. ბონავენტურა-5.5), გუარენტე-5.5, პადოინი-6.5, ჩერჩი-5.5, ფლოკარი-6.

**გოლები:** 1:0 ფელიპე მელუ (20), 2:0 ჯილარდინო (23), 2:1 ფლოკარი (77-პენ)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 5-0; **ჯარიმა:** 28-22; **თამაშგარე:** 7-5; **კარში დარტყმა:** 17-11 (3-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 27 884

### ნაპოლი-სამპდორია 2:0

**ნაპოლი:** იეცო-6.5, სანტაკროჩე-7, კანავარო-6.5, კონტინი-6.5, მანინი-7.5, ბლაზი-6.5 (79. პაციენცა), გარგანო-7, ჰამშიკი-6, ვიტალე-6.5, დენისი-5.5 (70. სალაიეტა-7), ლავეცი-8 (89. პია).

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, კამპანიარო-6 (77. სტანკევიჩუსი), გასტალდელო-6.5, აკარდი-6.5, პადალინო-7 (81. დესენა), დელვეკიო-6.5 (69. ბონაცოლი-5.5), დ. ფრანჩესკინი-6, სამარკო-6, პიერი-7, ბელუჩი-6, კასანო-6.

**გოლები:** 1:0 მანინი (23), 2:0 სალაიეტა (74)

**გაფრთხილება:** 4-5; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 28-25; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 9-10 (3-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 51 000

### ლაციო-სიენა 3:0

**ლაციო:** კარისო-6.5, ლიხტშტაინერი-6, სივილია-6, როზენალი-6, კოლაროვი-6, დაბო-6 (71. ბროკი-6), კ. ლედესმა-6.5, მეგნი-5.5 (46. როკი-7.5), მაური-6.5, ფოჯა-6.5 (83. დე სილვესტრი), სარატე-7.5.

**სიენა:** კურჩი-6, როსეტინი-6, სუნიგა-6.5, პორტანოვა-6, დელ გროსო-6, ვერგასოლა-6.5, კოდრეა-6 (85. კალაიო), გალოპა-6 (63. იაროლიმი-6), ხარჯა-6 (63. ფრიკი-5.5), გეზალი-5.5, მაკარონე-5.

**გოლები:** 1:0 სარატე (58), 2:0 როკი (86), 3:0 როკი (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 8-17; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 9-14 (5-5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 25 000

### ჯენოა-რეჯინა 4:0

**ჯენოა:** რუბინიო-6.5, ბიავა-6, ფერარი-6.5, ბოკეტი-5.5 (66. ვანდერ ბორე-5.5), მ. როსი-5, ტ. მოტა-6.5, იურიჩი-6, მესტო-5.5 (49. გასბარონი-7), სკული-7, მილიტო-8, პალადინო-6.5 (82. ოლივერა).

**რეჯინა:** კამპანიოლო-5.5, ჩირილო-6, კ. ვალდესი-5.5, სანტოსი-5, კოსტა-4, ბარეტო-6, კარმონა-5.5, ვიჯანი-7 (82. ჩერავოლო), ბრიენცა-6.5, კოცა-6 (59. ბარილა-5), კორადი-5.5 (68. რაკიჩი-4).

**გოლები:** 1:0 მილიტო (54-პენ), 2:0 მილიტო (74), 3:0 სკული (81), 4:0 მილიტო (90)

**გაძევება:** კოსტა (45. რეჯინა)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 21-11 (6-2); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 24 210

### კატანია-კალიარი 2:1

**კატანია:** ბიცარი-5, სარდო-5.5, სტოვინი-6.5, სილვესტრე-6, საბატო-6.5, კარბონი-6, პ. ლედესმა-5.5, ჯაკ. ტედესკო-5.5, მარტინესი-5.5 (88. ტერლიცი), პაოლუჩი-5.5 (72. პლასმატი-5.5), მასკარა-7 (82. იცკო).

**კალიარი:** მარკეტი-5.5, მატიო-5.5 (77. ფერი), ლოპესი-5.5, ბიანკო-5, აგოსტინი-6, ფინი-6, კონტი-6, ლაძარი-6, კოსუ-6.5 (84. მატრი), ჟედა-6.5, აკვაფრესკა-5.5 (72. ლარივეი-5).

**გოლები:** 0:1 ჟედა (6), 1:1 მასკარა (37), 2:1 საბატო (87)

**გაფრთხილება:** 4-4; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 25-18; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 17 000

### ლეჩე-მილანი 1:1

**ლეჩე:** ბენუსი-6.5, პოლენგი-5.5 (78. ა. ესპოზიტო-7), სტენდარდო-5.5, დიამუტენი-6.5, ანტუნეში-6.5, ჯაკომაცი-5.5 (66. კაზერტა-5), ძანკეტა-6, მუნარი-5.5 (58. არდიტო-6), არიატი-6, კაჩა-7, ტირიბოკი-6.

**მილანი:** აბიატი-6, ძამბროტა-5.5, ბონერა-6, ფავალი-6, იანკულოვსკი-6.5, ფლამინი-6.5, გატუზო-7, ზეედორფი-6, კაკა-5.5 (79. პატო-6.5), რონალდინიო-7 (84. ემერსონი), ბორიელო-5.5 (79. ფ. ინძაგი-5).

**გოლები:** 0:1 რონალდინიო (80), 1:1 ა. ესპოზიტო (90)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 9-21 (3-3); **ბურთის ფლობა:** 30%-70%.

**მაყურებელი:** 29 658

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 11 | 7 | 3 | 1 | 17-7 | 24 |
| 2. მილანი | 11 | 7 | 2 | 2 | 16-8 | 23 |
| 3. ნაპოლი | 11 | 7 | 2 | 2 | 16-8 | 23 |
| 4. ლაციო | 11 | 7 | 1 | 3 | 21-12 | 22 |
| 5. უდინეზე | 11 | 6 | 3 | 2 | 19-9 | 21 |
| 6. იუვენტუსი | 11 | 6 | 3 | 2 | 13-7 | 21 |
| 7. ჯენოა | 11 | 6 | 2 | 3 | 18-10 | 20 |
| 8. ფიორენტინა | 11 | 6 | 2 | 3 | 14-9 | 20 |
| 9. კატანია | 11 | 5 | 3 | 3 | 11-9 | 18 |
| 10. პალერმო | 11 | 5 | 1 | 5 | 15-15 | 16 |
| 11. ატალანტა | 11 | 4 | 2 | 5 | 10-11 | 14 |
| 12. ლეჩე | 11 | 2 | 6 | 3 | 10-12 | 12 |
| 13. სიენა | 11 | 3 | 3 | 5 | 8-11 | 12 |
| 14. ტორინო | 11 | 3 | 2 | 6 | 10-14 | 11 |
| 15. კალიარი | 11 | 3 | 1 | 7 | 11-15 | 10 |
| 16. სამპდორია | 10 | 2 | 4 | 4 | 7-13 | 10 |
| 17. რომა | 10 | 2 | 2 | 6 | 10-18 | 8 |
| 18. ბოლონია | 11 | 2 | 1 | 8 | 9-20 | 7 |
| 19. კიევო | 11 | 1 | 3 | 7 | 6-18 | 6 |
| 20. რეჯინა | 11 | 1 | 2 | 8 | 8-23 | 5 |

**ბომბარდირები:** 9 - მილიტო (ჯენოა); 8 - ჯილარდინო (ფიორენტინა); 7 - სარატე (ლაციო); 6 - მიკოლი (პალერმო); 5 - ამაური (იუვენტუსი), დენისი (ნაპოლი), დი ვაიო (ბოლონია), ფლოკარი (ატალანტა), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), პანდევი (ლაციო), კვალიარელა (უდინეზე), რონალდინიო (მილანი); 4 - აკვაფრესკა (კალიარი), კავანი (პალერმო), კორადი (რეჯინა), დი ნატალე (უდინეზე), ჰამშიკი (ნაპოლი), მასკარა (კატანია), სკული (ჯენოა).

## სერია B

### XIII ტური

**ტრევიზო-სალერნიტანა 2:2**

გოლები: 0:1 დი ნაპოლი (3), 1:1 პიოვაკარი (11), 1:2 ჩარჩა (35), 2:2 მისიროლი (73)

გაძევება: დალ კანტო (67. ტრევიზო)

**ანკონა-აველინო 0:1**

გოლი: 0:1 პელიკორი (82)

გაძევება: კამილუჩი (64. ანკონა)

**ალბინოლეფე-მანტოვა 1:2**

გოლები: 1:0 კარობიო (37), 1:1 კორონა (79), 1:2 გოდეასი (83)

**ბრეშა-პიაჩენცა 0:1**

გოლი: 0:1 მოსკარდელი (79)

**გროსეტო-მოდენა 2:1**

გოლები: 0:1 ოლივეირა (41), 1:1 სანსოვინი (47), 2:1 აბრუცეზე (77)

**ფროზინონე-ემპოლი 0:1**

გოლი: 0:1 ლოდი (78)

**პიზა-ასკოლი 1:1**

გოლები: 0:1 სონჩინი (53), 1:1 ვივიანი (90)

გაძევება: ტაიბი (90. ასკოლი)

**სასუოლო-ჩიტადელა 3:1**

გოლები: 1:0 პოლი (30), 2:0 პაგანი (56), 3:0 სალვეტი (82), 3:1 მანუჩი (90)

გაძევება: პეზოლი (64. ჩიტადელა)

**რიმინი-ტრიესტინა 0:2**

გოლები: 0:1 დელა როკა (9), 0:2 ტესტინი (24)

**ვიჩენცა-ლივორნო 0:1**

გოლი: 0:1 დიამანტი (78)

**პარმა-ბარი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გროსეტო | 13 | 7 | 3 | 3 | 26-18 | 24 |
| 2. ემპოლი | 13 | 7 | 3 | 3 | 18-12 | 24 |
| 3. სასუოლო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-12 | 23 |
| 4. ლივორნო | 13 | 5 | 7 | 1 | 19-11 | 22 |
| 5. ვიჩენცა | 13 | 5 | 5 | 3 | 15-7 | 20 |
| 6. ტრიესტინა | 13 | 5 | 5 | 3 | 19-16 | 20 |
| 7. ბარი | 12 | 5 | 5 | 2 | 12-10 | 20 |
| 8. მანტოვა | 13 | 5 | 4 | 4 | 13-11 | 19 |
| 9. ბრეშა | 13 | 5 | 4 | 4 | 14-15 | 19 |
| 10. სალერნიტანა | 13 | 5 | 4 | 4 | 13-15 | 19 |
| 11. პარმა | 12 | 4 | 6 | 2 | 16-11 | 18 |
| 12. ალბინოლეფე | 13 | 4 | 6 | 3 | 13-13 | 18 |
| 13. პიზა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-15 | 17 |
| 14. ანკონა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-15 | 16 |
| 15. პიაჩენცა | 13 | 4 | 4 | 5 | 9-11 | 16 |
| 16. ფროზინონე | 13 | 4 | 4 | 5 | 15-18 | 16 |
| 17. აველინო | 13 | 2 | 6 | 5 | 10-18 | 12 |
| 18. რიმინი | 13 | 3 | 3 | 7 | 12-21 | 12 |
| 19. ასკოლი | 13 | 2 | 5 | 6 | 8-14 | 11 |
| 20. ტრევიზო | 13 | 2 | 6 | 5 | 14-20 | 8* |
| 21. ჩიტადელა | 13 | 2 | 5 | 6 | 9-16 | 8 |
| 22. მოდენა | 13 | 1 | 4 | 8 | 14-25 | 7 |

*შენიშვნა: * - ტრევიზოს დაკლებული აქვს 4 ქულა*

**ბომბარდირები:** 9 - მასტრონუნციო (ანკონა); 7 - ლოდი (ემპოლი), კ. ლუკარელი (პარმა), სანსოვინი (გროსეტო), ტავანო (ლივორნო); 6 - ედერი (ფროზინონე); 5 - ბრუნო (მოდენა), დი ნაპოლი (სალერნიტანა), ნასი (ანკონა), ნოსელი (სასუოლო), პიხლმანი (გროსეტო), ზგრინია (ვიჩენცა), ვანტაჯატო (რიმინი).

## სერია C1/A

### XI ტური

პრო სესტო-ვერონა 2:2; ლეკო-რეჯანა 1:2; პრო პატრია-ჩეზენა 3:1; ლენიანო-ლუმეცანე 1:0; მონცა-პორტოგრუარო 2:0; რავენა-პადოვა 1:2; კრემონეზე-სამბენედეტეზე 2:1; ნოვარა-პერგოკრემა 1:1; ვენეცია-სპალ 1:2.

## სერია C1/B

### XI ტური

ბენევენტო-ფოლინიო 2:1; პესკარა-პაგანეზე 1:0; კავეზე-პოტენცა 1:0; პისტოიეზე-ტარანტო 1:1; კროტონე-ვირტუს ლანჩანო 5:3; რეალ მარჩანიზე-არეცო 1:0; პერუჯა-ფოჯა 1:1; სორენტო-იუვე სტაბია 1:2; ტერნანა-გალიპოლი დღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. X ტური

# ორი პოკერის ტური

## იგუაინმა და ეტოომ 17 წლის წინანდელი შედეგი გაიმეორეს

პრიმერა დივიზიონის გასული ტური **გონსალო იგუაინისა** და **სამუელ ეტოოს** პოკერების გამო განსაკუთრებით საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა. დაგვეთანხმებით, ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა "რეალისა" და "ბარსელონის" ფეხბურთელებს ერთსა და იმავე ტურში ოთხი ბურთი გააქვთ. მეტი სიცხადისთვის მოგახსენებთ, რომ შაბათამდე ასეთი რამ ზუსტად 17 წლის წინ მოხდა. 1991/92 წლების სეზონის 31-ე ტურში სამეფო კლუბმა "ესპანიოლი" გაანადგურა. დედაქალაქელებმა კატალონიელებს შვიდი გოლი გაუტანეს. აქედან ოთხი **ფერნანდო იეროს** ანგარიშზე ჩაიწერა. "ბარსელონაში" კი **ხრისტო სტოიჩკოვმა** გაიბრწყინა. ბულგარელმა სუპერფორვარდმა პოკერი "ალბასეტესთან" მატჩში შეასრულა.

"რეალის" ახალგაზრდა ფორვარდმა გონსალო იგუაინმა კარიერის ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. შესაძლოა, "მალაგასთან" მატჩში ნაჩვენები შედეგი მან ველარასოდეს გაიმეოროს. უდავოა, იგუაინს კარიერის დასრულებამდე კიდევ უამრავი ფანტასტიკური შეხვედრა ექნება, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ პოკერის შესრულება იოლი არ არის. ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. ბევრისთვის მოულოდნელად სამეფო კლუბი ანდალუსიელებთან პაექრობაში ძალიან ბევრ პრობლემას წააწყდა. რთული გამარჯვება იმიტომაც იყო მოულოდნელი, რომ მსოფლიო ფეხბურთის გრანდი "მალაგას" "სანტიაგო ბერნაბეუზე" ეთამაშებოდა. სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც მასპინძელთა იოლ გამარჯვებას ელოდნენ, თუმცა "რეალი" მდევრის როლში სამჯერ მოგვევლინა. ამ თამაშში სამეფო კლუბის დაცვამ, რბილად რომ ვთქვათ, ამაზრზენად ითამაშა. **კანავაროს, ჰაინცეს, სერხიო რამოსისა** და **მარსელოს** კვარტეტს შავი დღე ჰქონდათ. ეს განსაკუთრებით რამოსზე ითქმის. პირველი ტაიმის მიწურულს სერხიომ უხეშად ითამაშა და მსაჯს წითელი ბარათის ჩვენება მოუხდა. ახალგაზრდა მცველმა საკუთარი გუნდი ათი კაცით დატოვა და ამით, რა თქმა უნდა, ურთულეს მდგომარეობაში ჩააგდო. შეხვედრის 70-ე წუთზე **აპონიომ** 11-მეტრიანი შეაგდო და "მალაგა" დააწინაურა. საფინალო სასტვენამდე 20 წუთი რჩებოდა, მასპინძლები უმცირესობაში იყვნენ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, იმ წამს "რეალის" გამარჯვებაზე, ალბათ, აღარავინ ფიქრობდა. ყველაზე თამამი ოცნება, ფრე გახლდათ... მაგრამ იგუაინმა სასოწარკვეთილებაზე იზეიმა და მცირე მონაკვეთში პირველ ტაიმში გატანილ ორ გოლს კიდევ ორი ბურთი დაუმატა. არგენტინელმა ფანტასტიკური თამაშით **ბერნდ შუსტერი** სერიოზული უსიამოვნებისგან იხსნა. "იუვენტუსთან" ზედიზედ ორი მატჩის წაგების გამო გერმანელ სპეციალისტს ისედაც დიდი პრობლემები აქვს და ძნელი მისახვედრი არ არის, რომ "მალაგასთან" საშინაო შეხვედრის წაგება მის პოზიციებს მნიშვნელოვნად შეარყევდა. ახლა კი შუსტერი ჩინებულ ხასიათზეა და აცხადებს, რომ მისმა გუნდმა ექსტრაორდინალური თამაში მოიგო. გერმანელის თქმით, ფეხბურთი ლოგიკის კალაპოტიდან ხშირად ვარდება და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს გუნდს მაქსიმალური სარგებლის მიღება შეეძლოს.

გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება **პეპ გვარდიოლა**. მისი ბიჭები ჩემპიონთა ლიგაშიც ჩინებულად ასპარეზობენ („ბაზელთან" საშინაო ფრის მიუხედავად) და პრიმერა დივიზიონშიც არაჩვეულებრივად გამოიყურებიან. სამუელ ეტოოს ოთხი გოლის გასატანად ერთი ტაიმიც ეყო. გულშემატკივრები შიშობდნენ, რომ **ანდრეს ინიესტას** ტრავმის გამო "ბარსას" ჩვეულ სტილში თამაში და გამარჯვება გაუჭირდებოდა, თუმცა სკეპტიციზმი არ გამართლდა. ინიესტა, ფაქტობრივად, შეუცვლელი მოთამაშეა, მაგრამ კატალონიელებმა "ვალიადოლიდი" მის გარეშეც მარტივად გაანადგურეს. ესპანელი ჟურნალისტები ახლა უკვე ხმამაღლა აცხადებენ, რომ "ბარსელონა" პრიმერა დივიზიონში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. პრინციპში არაფრის თქმა არ არის საჭირო, ისედაც ხომ ყველაფერი ნათელია. თავად განსაჯეთ, კატალონიურმა გიგანტმა წლევანდელ პრიმერა დივიზიონში მეხუთე მატჩი მოიგო დიდი ანგარიშით. ამას "ბაზელთან" გასვლით საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში მოპოვებულ ტრიუმფალურ გამარჯვებასაც (5:0) თუ დავამატებთ, მივხვდებით, რომ გვარდიოლას გუნდი ჯერჯერობით მართლაც საუკეთესოდ გამოიყურება. ახალგაზრდა სპეციალისტი "ბარსას" ლაღად და ლამაზად ათამაშებს. შესაძლოა, ვინმემ თქვას, "ვალიადოლიდის" განადგურებას დიდი ამბავი არ უნდაო, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ კატალონიელები წარმატებებს გასაოცარი კლასის ხარჯზე აღწევენ. ფეხბურთელები იმდენად კარგ ფორმაში არიან, ფაქტობრივად, ყველაფერი გამოსდით. კი ბატონო, "ვალიადოლიდი" არ არის გრანდი, მაგრამ "ბარსას" ბიჭები ორ-სამ კაცს ისე ატყუებდნენ და აბითურებდნენ, რომ ეს გამარჯვება მათი ოსტატობის დამსახურება უფროა, ვიდრე მეტოქის სისუსტის შედეგი. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ვარსკვლავების ინდივიდუალიზმი და ოსტატობა გუნდურ თამაშთან დისონანსში არ მოდის. პირიქით, "ბარსელონა" ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ გუნდური ფეხბურთი ინდივიდუალიზმს შეუხამოს.

შთამბეჭდავი გამარჯვების მიუხედავად, პეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ ასეთი ანგარიში ძალთა რეალურ თანაფარდობას არ ასახავს და შედეგი მაცდუნებელია. რაც შეეხება სამუელ ეტოოს მიმდინარე სეზონში პრიმერა დივიზიონში მან უკვე 13 გოლის გატანა მოასწრო. მთლიანობაში კი "ბარსელონის" მაისურით კამერუნელმა ფორვარდმა პრიმერაში 89 ბურთი შეაგდო. ამ მაჩვენებლით სამუელი კატალონიური გრანდის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა ჩამონათვალში მეხუთე ადგილზე იმყოფება. ეტოოს კიდევ ორი ბურთი სჭირდება იმისთვის, რომ **პატრიკ კლუივერტს** გადაასწროს და მეოთხე ადგილზე დამკვიდრდეს. აბსოლუტური რეკორდი ლეგენდარულ **სესარ როდრიგესს** ეკუთვნის (195), შემდეგ ასევე ლეგენდარული **ლადისლაო კუბალა** (131), **მარიანო მარტინი** (97) და ხსენებული კლუივერტი (90) მოდიან.

"ოსასუნისა" და "ატლეტიკოს" შეხვედრაში დაფიქსირებული ფრე არც ერთ გუნდს არ აძლევდა ხელს. მასპინძლები იმიტომ დარჩნენ იმედგაცრუებული, რომ მიმდინარე სეზონში ჯერ ერთი შეხვედრაც არ მოუგიათ. დიდი იმედებით დანიშნული **ხოსე ანტონიო კამაჩო** გაცემულ ავანსებს ვერ ამართლებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. "ატლეტიკოს" რაც შეეხება, ამ გუნდის პრობლემები ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. დედაქალაქელებმა სეზონი რიხიანად დაიწყეს და ამბიციური საჩემპიონო მიზნები გაახმაურეს, თუმცა შემდეგ პოზიციები დათმეს და კრიზისში აღმოჩნდნენ. ცხადია, რომ პამპლონური ფრე **ხავიერ აგირეს** სავარძელს კიდევ უფრო შეარყევს.

"ვილიარეალის" შეჩერებას ისევ ვერავინ ახერხებს. სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ **მანუელ პელეგრინის** ბიჭებს პრობლემები აქვთ, თუმცა ყველაფრის მიუხედავად ისინი წინ მიიწევენ და მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებენ. ისინი ძალზე ამაყობენ, რომ მიმდინარე სეზონში ერთი შეხვედრაც არ წაუგიათ.

"რასინგმა" ზედიზედ მეორე თამაში მოიგო. სანტანდერელებმა უეფას თასზე "შალკესთან" არ წააგეს. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ კანტაბრიელებმა მცირე კრიზისი დაძლიეს. შთამბეჭდავია მასპინძელთა ფორვარდის **მოჰამედ ჩიტეს** მიღწევები. გამარჯვების გოლი სწორედ მან შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ჩიტემ ბოლო რვა დღეში 5 ბურთი გაიტანა. პრიმერა დივიზიონის დებიუტანტმა "სპორტინგმა" კი ზედიზედ ოთხი მატჩის მოგების შემდეგ პირველად წააგო.

"სევილიას" უეფას თასსა და პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ოთხი თამაში ჰქონდა წაგებული. ამის გათვალისწინებით, ანდალუსიურ დერბიში გამარჯვება **მანოლო ხიმენესის** ბიჭებისთვის განსაკუთრებით ღირებული და სასიხარულოა. უნდა აღინიშნოს, "სევილიამ" საკმაოდ ცუდად იასპარეზა, თუმცა ამის გამო ახლა არავინ წუხს. მთავარი, რა თქმა უნდა, გამარჯვება იყო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### მომდევნო ტური

15 ნოემბერი. ვალენსია-სპორტინგი, ვალიადოლიდი-რეალი. 16 ნოემბერი. ბილბაო-ოსასუნა, ატლეტიკო-დეპორტივო, ბეტისი-რასინგი, ესპანიოლი-ნუმანსია, ალმერია-მალიორკა, ხეტაფე-სევილია, მალაგა-ვილიარეალი, რეკრეატივო-ბარსელონა.




სამუელ ეტოო




გონსალო იგუაინი

### რეალი-მალაგა 4:3

**რეალი:** კასილიასი, ჰაინცე, კანავარო, მარსელო, სერხიო რამოსი, გაგო, სნეიდერი (46. მიჩელ სალგადო), გუტი, დრენტე (73. სავიოლა), იგუაინი, ვან დერ ვაარტი (83. დიარა).

**მალაგა:** არნაუ, ველიგტონი, ელდერ როსარიო, კალეხა, გამესი, მიგელ ანხელი (82. ფერნანდო), აპონიო, ადრიანი (82. ლუკე), ბაა, ელისეუ (63. პერეს ნაჩო), დუდა.

**გოლები:** 0:1 ელისეუ (6), 1:1 იგუაინი (8), 1:2 ბაა (18), 2:2 იგუაინი (37-პენ), 2:3 აპონიო (70-პენ), 3:3 იგუაინი (71), 4:3 იგუაინი (78)

*78-ე წუთზე იგუაინმა ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაძევება:** სერხიო რამოსი (44. რეალი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 25(12)-20(9); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 21-14; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 70 000

### ბარსელონა-ვალიადოლიდი 6:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, დანი ალვეში, პიკე, მარკესი (68. კასერესი), პუიოლი, ტურე, გუდიონსენი (72. კეიტა), ჩავი, მესი, ანრი, ეტო'ო (75. გლები).

**ვალიადოლიდი:** ასენხო, პედრო ლოპესი, ნანო, გარსია კალვო, მარკოსი, მედუნიანინი (46. აგირე), ალვარო რუბიო, პედრო ლეონი (46. კანობიო), სესმა (84. ესკუდერო), ვივარ დორადო, გოიტომი.

**გოლები:** 1:0 ეტო'ო (12), 2:0 ეტო'ო (31), 3:0 ეტო'ო (43), 4:0 ეტო'ო (44), 5:0 გუდიონსენი (71), 6:0 ანრი (83)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 22(13)-3(2); **კუთხური:** 9-5; **თამაშგარე:** 5-1; **ჯარიმა:** 9-9; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 58 276

### მალიორკა-ბილბაო 3:3

**მალიორკა:** ლუქსი, ნუნიესი, ივან რამისი, კორალესი, ხოსემი, კლებერ სანტანა, მარიო სუარესი, ადურისი (88. ტრეხო), ხურადო, არანგო (83. ვებო), ვარელა.

**ბილბაო:** ირაისოსი, უსტარიტსი, აიტორ ოსიო, ბალენსიაგა, ირაოლა, ხავიერ მარტინესი, ორბაისი, ფ. ლორენტე, ხ. ეჩებერია (46. იესტე), გაბილონდო (59. ველესი), დავიდ ლოპესი (77. სუსაეტა).

**გოლები:** 1:0 კლებერ სანტანა (12), 1:1 ირაოლა (43-პენ), 2:1 არანგო (58), 3:1 ალანგო (75), 3:2 ველესი (79), 3:3 ფ. ლორენტე (90)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 17(7)-17(7); **კუთხური:** 3-9; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 25-17; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 10 000

### ვილიარეალი-ალმერია 2:1

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, გონსალო როდრიგესი, გოდინი, კაპდევილია, მარკო სენა, ბრუნო (64. ეგურენი), სანტი კასორლა, პირესი, როსი (71. იბაგასა), ხ. ლორენტე (57. ფრანკო).

**ალმერია:** დიეგო ალვეში, ბრუნო, ჩიკო, პელერანო, მანე, ხუანიტო, უჩე (61. სორიანო), პიატი (69. ორტისი), ხულიო ალვარესი, კრუსატი, ნეგრედო (73. სოლარი).

**გოლები:** 1:0 როსი (1), 2:0 ხ. ლორენტე (14), 2:1 პიატი (59)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 7(5)-10(3); **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 18-22; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 20 000

### რასინგი-სპორტინგი 1:0

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, სესარ ნავასი, მარკანო (36. ორიოლი), სესპი, მუნიტისი, კოლსა, ლასენი, სერანო (46. ხუანხო), პერეირა (82. ვარელა), ჩიტე.

**სპორტინგი:** კუელარი, სასტრე, ხერარდი, ნერუ, კანელია, მატაბუენა (67. მიჩელი), კამაჩო, ლუის მორანი (57. ბარალი), კიკე მატეო (74. ომარი), დიეგო კასტრო, ბილიჩი.

**გოლი:** 1:0 ჩიტე (58)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 9(1)-9(2); **კუთხური:** 5-4; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 19-23; **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 24 000

### ნუმანსია-ბეტისი 2:4

**ნუმანსია.** ხუან პაბლო, ხუანრა, პავონი, ბორისი (82. მარიო), სისმა, ნაგორე, დელ პინიო (67. გორკა ბრიტო), მორენო, ბარკერო, ალვარო ანტონი (24. კერო), გოირია.

**ბეტისი:** კასტო, ნელსონი, არსუ, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, მეჰმეთ აურელიო, კაპი (71. რივერა), ემანა, დამია (70. ხოსე მარი), პავონე, ხუანმა (85. მელი).

**გოლები:** 1:0 დე პინიო (27), 1:1 ემანა (32-პენ), 1:2 ხუანიტო (46), 1:3 მეჰმეთ აურელიო (46), 2:3 ბარკერო (55), 2:4 მეჰმეთ აურელიო (84)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 13(7)-15(6); **კუთხური:** 4-1; **თამაშგარე:** 0-1; **ჯარიმა:** 22-15; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 7 000

### დეპორტივო-ესპანიოლი 1:0

**დეპორტივო:** არანსუბია, მანუელ პაბლო, ლოპო, ზე კასტრო (73. პისჩუ), ფილიპე ლუისი, სერხიო, ხუან როდრიგესი, ლაფიტა, ვერდუ (85. ვალერონი), გუარდადო, რიკი (67. ბოდიპო).

**ესპანიოლი:** კამენი, სერხიო სანჩესი, პერახა (46. ანხელი), ლაკრუსი, ბერანჟე, მოისეს ურტადო, რომან მარტინესი (82. ლოლა), კორო, ლუის გარსია, ნენე (64. ვალდო), ტამუდო.

**გოლი:** 1:0 გუარდადო (37)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(3)-10(4); **კუთხური:** 6-5; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 11-17; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 12 000

### ოსასუნა-ატლეტიკო 0:0

**ოსასუნა:** რობერტო, ასპილიკუეტა, როვერსიო, მიგელ ფლანიო, ოიერი, ვადოჩი, ნექუნამი (80. ექტორ ფონტი), ხუანფრანი (71. მასუდი), ესკერო, პლასილი, პორტილიო (71. პანდიანი).

**ატლეტიკო:** კუპე, პერეა (15. პაბლო), ჰეიტინგა, უიფალუში, პერნია, პაულო ასუნსაო (53. ფორლანი), მაქსი როდრიგესი, რაულ გარსია, მანიშე (86. ევერი), სიმაო, აგუერო.

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 15(6)-14(6); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 23-21; **ბურთის ფლობა:** 25%-75%

**მაყურებელი:** 17 954

### სევილია-რეკრეატივო 1:0

**სევილია:** პალოპი, ესკუდე, სკილაჩი, ფერნანდო ნავარო, მოსკერა, რომარიკი (46. დიეგო კაპელი), მარესკა, კანუტე, რენატო (90. ფასიო), ადრიანო (85. დე მული), ხესუს ნავასი.

**რეკრეატივო:** რიესგო, ბეტო, სესარ არსო, პოლი, მორისი, ხესუს ვასკესი, ხავი ფუეგო, სისი, ტორნავაკა (65. აკალე), მარკო რუბენი (67. მარტინი), ხავი გერერო (74. კოლუნგა).

**გოლი:** 1:0 კანუტე (63)

*78-ე წუთზე კანუტემ ვერ გამოიყენა პენალტი*

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 10(3)-13(3); **კუთხური:** 6-7; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 18-18; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 42 000

### ხეტაფე-ვალენსია 0:3

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, მარიო, დანიელ დიასი, პოლანსკი, ლიხტი (46. ხაიმე მარტინესი), კონტრა, კასკერო, გრანერო (61. გერონი), მანუ (72. უჩე), ალბინი, სოლდადო.

**ვალენსია:** რენანი, მარჩენა, რაულ ალბიოლი, მორეტი, მიგელი, ალბელდა, მანუელ ფერნანდესი, ბარახა (63. ედუ), მატა (74. ვისენტე), ხოაკინი (80. ანგულო), ვილია.

**გოლები:** 0:1 მანუელ ფერნანდესი (25), 0:2 ხოაკინი (69), 0:3 ვისენტე (81)

**გაძევება:** სოლდადო (45. ხეტაფე)

**გაფრთხილება:** 5-4; **დარტყმა:** 9(2)-7(4); **კუთხური:** 4-2; **თამაშგარე:** 1-11; **ჯარიმა:** 15-28; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 10 | 8 | 1 | 1 | 34-8 | 25 |
| 2. ვილიარეალი | 10 | 7 | 3 | 0 | 19-9 | 24 |
| 3. ვალენსია | 10 | 7 | 2 | 1 | 23-9 | 23 |
| 4. რეალი | 10 | 7 | 2 | 1 | 28-16 | 23 |
| 5. სევილია | 10 | 6 | 2 | 2 | 16-8 | 20 |
| 6. დეპორტივო | 10 | 4 | 3 | 3 | 9-9 | 15 |
| 7. ატლეტიკო | 10 | 4 | 2 | 4 | 19-16 | 14 |
| 8. მალაგა | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 9. ხეტაფე | 10 | 3 | 4 | 3 | 10-12 | 13 |
| 10. რასინგი | 10 | 3 | 3 | 4 | 10-12 | 12 |
| 11. მალიორკა | 10 | 3 | 3 | 4 | 11-15 | 12 |
| 12. ესპანიოლი | 10 | 3 | 3 | 4 | 7-11 | 12 |
| 13. ალმერია | 10 | 3 | 3 | 4 | 11-16 | 12 |
| 14. სპორტინგი | 10 | 4 | 0 | 6 | 16-23 | 12 |
| 15. ბეტისი | 10 | 3 | 2 | 5 | 13-13 | 11 |
| 16. ვალიადოლიდი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-17 | 10 |
| 17. რეკრეატივო | 10 | 1 | 4 | 5 | 5-15 | 7 |
| 18. ნუმანსია | 10 | 2 | 1 | 7 | 10-21 | 7 |
| 19. ბილბაო | 10 | 1 | 3 | 6 | 10-20 | 6 |
| 20. ოსასუნა | 10 | 0 | 5 | 5 | 3-9 | 5 |

**ბომბარდირები:** 13 - ეტო'ო (ბარსელონა); 10 - ვილია (ვალენსია); 9 - იგუაინი (რეალი); 6 - ბილიჩი (სპორტინგი), მესი (ბარსელონა); 5 - ნეგრედო (ალმერია), რაული (რეალი), ჩიტე (რასინგი), ხ. ლორენტე (ვილიარეალი).

### II დივიზიონი

### XI ტური

**კორდობა-სელტა 3:4**

**გოლები:** 0:1 სებალიოსი (4-საკ. კარში), 1:1 კასასი (23), 1:2 დინეი (38), 2:2 ასენი (54), 2:3 გილასი (64), 2:4 დინეი (83), 3:4 იორდი (86)

**მურსია-ხირონა 2:0**

**გოლები:** 1:0 კაპდევილია (22), 2:0 ბრუნო (88)

**ვალეკანო-უესკა 1:0**

**გოლი:** 1:0 მიჩელი (2)

**ერკულესი-ხერესი 0:0**

**ლევანტე-ტენერიფე 2:1**

**გოლები:** 1:0 ნადალი (30), 1:1 კომე (51), 2:1 პალარდო (61)

**ალავესი-სევილია II 2:2**

**გოლები:** 0:1 ბელა (5), 0:2 პუკი (14), 1:2 კუევასი (25), 2:2 იგორი (69)

**სოსიედადი-ეიბარი 0:0**

**ელჩე-ალბასეტე 0:0**

**ლას პალმასი-ხიმნასტიკი 2:2**

**გოლები:** 0:1 კამპანიო (15), 1:1 ხერარდო (34), 1:2 დიოპი (52), 2:2 მარკესი (66-პენ)

**სალამანკა-ალიკანტე 2:0**

**გოლები:** 1:0 ასკორა (50), 2:0 დანობეიტია (59)

**სარაგოსა-კასტელონი 1:1**

**გოლები:** 0:1 ულოა (14), 1:1 ევერტონი (42)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სალამანკა | 11 | 7 | 2 | 2 | 14-8 | 23 |
| 2. ერკულესი | 11 | 5 | 6 | 0 | 15-5 | 21 |
| 3. ვალეკანო | 11 | 5 | 4 | 2 | 18-14 | 19 |
| 4. სარაგოსა | 11 | 5 | 3 | 3 | 21-14 | 18 |
| 5. ხერესი | 11 | 5 | 3 | 3 | 16-12 | 18 |
| 6. კასტელონი | 11 | 4 | 5 | 2 | 17-13 | 17 |
| 7. ტენერიფე | 11 | 5 | 1 | 5 | 20-18 | 16 |
| 8. ალბასეტე | 11 | 4 | 4 | 3 | 13-12 | 16 |
| 9. ლევანტე | 11 | 4 | 4 | 3 | 14-16 | 16 |
| 10. სოსიედადი | 11 | 3 | 6 | 2 | 11-9 | 15 |
| 11. ხიმნასტიკი | 11 | 3 | 5 | 3 | 18-15 | 14 |
| 12. უესკა | 11 | 3 | 5 | 3 | 15-13 | 14 |
| 13. ხირონა | 11 | 3 | 5 | 3 | 10-10 | 14 |
| 14. სელტა | 11 | 3 | 5 | 3 | 12-13 | 14 |
| 15. ალავესი | 11 | 3 | 4 | 4 | 15-19 | 13 |
| 16. ეიბარი | 11 | 3 | 4 | 4 | 8-14 | 13 |
| 17. ლას პალმასი | 11 | 2 | 6 | 3 | 13-12 | 12 |
| 18. კორდობა | 11 | 3 | 3 | 5 | 11-14 | 12 |
| 19. მურსია | 11 | 3 | 2 | 6 | 10-16 | 11 |
| 20. ელჩე | 11 | 1 | 5 | 5 | 8-13 | 8 |
| 21. ალიკანტე | 11 | 1 | 4 | 6 | 9-18 | 7 |
| 22. სევილია B | 11 | 1 | 4 | 6 | 7-17 | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტური


არსენალი-მანჩესტერ იუნაიტედი. ეშმაკებმა სამირ ნასრის შეჩერება ვერ მოახერხეს

# კრიზისის საუკეთესო გადაწყვეტა

## ანელკამ სკოლარის 60 წლისთავი ბომბარდიროზით მიულოცა

„მანჩესტერთან" შეხვედრამდე „არსენალს" ზედიზედ სამ მატჩში არ ჰქონდა მოგებული. „ტოტენჰემთან" ფრესა (4:4, „მეთოფეებმა" ორი გოლი თამაშის მიწურულს გაუშვეს) და „სტოკ სიტისთან" წაგებას ჩემპიონთა ლიგაში „ფენერბაჰჩასთან" 0:0 დაერთო. ლონდონელებმა ამ კრიზისიდან საუკეთესო გამოსავალი ნახეს - ჩემპიონებს სძლიეს და ცხრილში მესამე ადგილამდე ალზევდნენ.

„არსენალს" თავდასხმაში უმნვავესი პრობლემები ჰქონდა. **ემანუელ ადებაიორი** დაშავებული იყო, **რობი ვან პერსი** - დასჯილი. მათი მაგივრობა **სამირ ნასრიმ** გასწია და დუბლი მიითვალა. ფრანგმა ნახევარმცველმა ამ სეზონში უკვე ხუთი გოლი შეაგდო.

ამ სეზონში "მეთოფეები" დიდი ოთხეულის წარმომადგენელს პირველად შეხვდნენ. მთავარ მსაჯ **ჰოვარდ ვებს** უთვალავი საქმე ჰქონდა. მან ხუთი ყვითელი ბარათი ჩამოარიგა და რამდენიმე ეპიზოდში როგორც „არსენალის", ისე „იუნაიტედის" კარში, ერთი შეხედვით, ასპროცენტიანი პენალტი არ დადო. ვგულისხმობთ ეპიზოდებს, როდესაც **დენილსონი** (საჯარიმოში) **დიმიტარ ბერბატოვს** შეეჯახა, **ვიდიჩი** - ნასრის, ხოლო **გარი ნევილი** და **გაელ კლიში** ბურთს ხელით შეეხნენ.

თამაში გახურებული არ იყო, როდესაც „არსენალის" კარში კურიოზული ჯარიმა დაინიშნა. „იუნაიტედის" ყოფილმა მცველმა **მიკაელ სილვესტრმა** **მანუელ ალმუნიას** გაუგორა ბურთი. ესპანელმა გოლკიპერმა ის ხელში აილო. ვები არცკი დაფიქრებულა: მან მასპინძელთა კარიდან 10 მეტრში თავისუფალი დანიშნა. **ანდერსონის** დარტყმულს მისივე თანაგუნდელი **ჯი სუნ პარკი** გადაელობა. **მაიკლ ქერიკმა** დაამატა, მაგრამ ააცილა. ერთი სიტყვით, „მეთოფეები" აცრილი გოჭებივით გადარჩნენ.

მომდევნო იერიშისას **რუნიმ** ალმუნიას შორიდან დაურტყა. მეკარემ ბურთი გაჭირვებით მოიგერია. ბურთთან ბერბატ ვი გაჩნდა და ცარიელ კარში შეაგორა ის. გვერდითმა მსაჯმა ალამი აღმართა. რუნის დარტყმისას ბულგარელი თამაშგარეში იმყოფებოდა. გოლი არ ჩაითვალა. თამაშგარე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ გაუქმებული გოლის გამო არავის უკამათია.

მალე "არსენალმაც" გამოილო ხელი. გაელ კლიშის ჩაწოდებას **ნიკლას ბენდტნერი** გამოეხმაურა, მაგრამ ბურთი კარს ზემოდან გადაავლო. სამირ ნასრის პასს ის საერთოდ ვერ შესწვდა. გოლის გატანის საუცხოო შანსი ჰქონდა **აბუ დიაბის**. **ედვინ ვან დერ სარს** ბურთი ხელიდან გაუვარდა, დიაბიმ ცარიელი კარის დალაშქვრა მოინდომა, მაგრამ მის დარტყმას ქერიკი გადაელობა.

რუნიმ **რონალდოს** პასით ვერ ისარგებლა და ხელსაყრელი მომენტი ქარს გაატანა. ამასობაში, დადგა 22-ე წუთი. შეტევის მარჯვენა ფლანგზე **პატრის ევრამ ბაკარი სანია** მოცელა. „მეთოფეებმა" ბურთი საჯარიმოში ჩააწოდეს. ბერბატოვმა ის თავით გამოიტანა. ბურთს ნასრი დაეუფლა და ძლიერად დასცხო. სანამ კარში შევარდებოდა, ბურთი გარი ნევილს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. ვან დერ სარმა გუნდის გადარჩენა ვერ მოახერხა.

მანჩესტერელთა საპასუხო შეტევისას კლიშიმ კინალამ ავტოგოლი გაიფორმა. საჯარიმო **ვილიამ გალასის** უხეშობას მოჰყვა. მან ევრა მოცელა და ყვითელი ბარათი მიილო. „ეშმაკებმა" კარის სიახლოვეს ჩაჰკიდეს. კლიშიმ ყველას დაასწრო. ფრანგ მცველს გაუმართლა - ბურთმა მისი კარის ხარიხას მილიმეტრებში გადაუფრინა.

ტაიმის მიწურულს ევრამ და სანიამ ყვითელი ბარათები გამოიწერეს. **ფრანსესკ ფაბრეგასმა** ოდნავ ააცილა, ხოლო ვან დერ სარმა ყოფილი თანაგუნდების მიკაელ სილვესტრის თავური დარტყმა უკუაგდო.

შესვენებიდან სამ წუთში „არსენალმა" მეორე გოლი შეაგდო. ფაბრეგასი ნევილს იოლად გასცდა და უმეთვალყურეოდ დატოვებულ ნასრის გაუკეთა გადაცემა. ფრანგ ნახევარმცველს ბურთის დასამუშავებლად დროც საკმარისი ჰქონდა და სივრცეც. მან ის ცხრიანში გაახვია. ვან დერ სარს კარის გადარჩენის არავითარი შანსი არ ჰქონდა.

„მანჩესტერი" გააქტიურდა. მან თამაშის გადარჩენა სცადა. პარკის პასის შემდეგ რონალდომ ბურთი ძელს გარედან მოარტყა. მომდევნო იერიშისას კლიშიმ კრისტიანო წესების დარღვევით შეაჩერა და ყვითელი ბარათი მიილო. ალმუნიამ რუნის თავური დარტყმა აილო. 78-ე წუთზე „არსენალის" მეკარე შესაცვლელი შეიქნა. მას ქერიკი შეეჯახა. „იუნაიტედის" ნახევარმცველმა ალმუნიას ფეხი ყბაში უთავაზა. „არსენალის" კარი **ლუკაშ ფაბიანსკის** ჩააბარეს. 90-ე წუთზე რაფაელმა პოლონელ მეკარეს საუცხოო გოლი გაუტანა. ჰოვარდ ვებმა თამაშს ექვსი წუთი დაამატა, მაგრამ მასპინძლებმა მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცეს...

მორიგი გამარჯვება მოიპოვა „ლივერპულმა". მერსისაიდელებმა „ვესტ ბრომვიჩს" უმასპინძლეს და სამი უპასუხო გოლი გაუტანეს. **რობი კინმა** დუბლი შეასრულა (სულ ამ სეზონში ოთხი გოლი აქვს). ეს გამარჯვება 150-ე იყო **რაფა ბენიტესის** ლივერპულურ კარიერაში. 72-ე წუთზე ირლანდიელი თავდამსხმელის ნაცვლად **ფერნანდო ტორესი** გამოვიდა. ესპანელმა გოლეადორმა ექვსმატჩიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა. ბენიტესმა თადარიგში გაამწესა **ჩაბი ალონსო**. მის ნაცვლად ძირითადში **იოსი ბენაიუნი** მოხვდა...

გაიმარჯვა „ჩელსიმაც". **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შეგირდებმა „ბლექბერნი" დაამარცხეს. ორივე გოლი ნიკოლა ანელკამ გაიტანა. ბოლო ორ მატჩში ფრანგმა თავდამსხმელმა ხუთი გოლი შეაგდო. ერთი კვირის წინ მან „სანდერლენდს" ჰეთ თრიკი შეუსრულა. ანელკა 12 მატჩი გატანილი 10 გოლით პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირია. მისი წარმატება **დიდიე დროგბას** პოზიციებს ასუსტებს. „ბლექბერნთან" მატჩისას ის განაცხადშიც კი არ ყოფილა.

გუშინ სკოლარის 60 წელი შეუსრულდა. ის სამ ქულაზე უკეთეს საჩუქარს ვერ ინატრებდა. რაც შეეხება „ბლექბერნს", **პოლ ინსის** შეგირდებმა პრემიერლიგაში ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხვეს...

დანარჩენი მატჩებიდან ალსანიშნავია „ტოტენჰემის" მორიგი გამარჯვება - ამჯერად სტუმრად „მანჩესტერ სიტისთან". **ჰარი რედნაპის** შეგირდებს უკვე ხუთმატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ...

**შალვა ბიბილაშვილი**

### მომდევნო ტური

15 ნოემბერი. არსენალი-ასტონ ვილა, ბლექბერნი-სანდერლენდი, ბოლტონი-ლივერპული, ევერტონი-მიდლსბრო, ფულჰემი-ტოტენჰემი, ჰალი-მანჩესტერ სიტი, მანჩესტერ იუნ-სტოკი, ნიუკასლი-ვიგანი, ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი, ვესტ ჰემი-პორტსმუთი.

### არსენალი-მანჩესტერ იუნ. 2:1

**არსენალი:** ალმუნია (78. ფაბიანსკი), სილვესტრი, გალასი, სანია, დენილსონი, ფაბრეგასი, ნასრი, უოლკოტი (78. სონგი), ბენდტნერი, დიაბი (86. კოლო ტურე).

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ვიდიჩი, ფერდინანდი, ევრა, გარი ნევილი (63. რაფაელი), ანდერსონი (72. გიგზი), ქერიკი, პარკი, რონალდო, რუნი (77. ტევესი), ბერბატოვი.

**გოლი:** 1:0 ნასრი (22), 2:0 ნასრი (48), 2:1 რაფაელი (90).

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 15(5)-23(6); **ჯარიმა:** 18-8; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 60106

### ვიგანი-სტოკი 0:0

**ვიგანი:** კერკლანდი, ბრემბლი, ბოისი, ფიგეროა, მელხიოტი, პალასიოსი, კატერმოული, კუმასი, ვალენსია, ზაქი, ჰესკი (57. კამარა).

**სტოკი:** სორენსენი: შოკროსი, აბდულაიე ფაიე, ჰიგინბოთემი, გრიფინი, ამდი ფაიე (84. კრესველი), ოლოფინიანა (86. ველანი), დელაპი, დიაო, სიდიბე (48. კიტსონი), ფულერი.

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 25(6)-2(1); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 6-3; **ბურთის ფლობა:** 65%-36%.

**მაყურებელი:** 15 881

### ჰალ სიტი-ბოლტონი 0:1

**ჰალი:** მაიპილი, ზაიათი, ტერნერი, დოსონი (65. რიკეტსი), მაკშეინი, ეშბი, მარნი, ჯოვანი, ჯორჯ ბოატენგი (73. ფოლანი), კუზენი (54. მენდი), მარლონ კინგი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ენდი ობრაიენი, კაჰილი, სამუელი, სტეინსონი, მაკენი, მუამბა, რიკარდო გარდნერი, მეტიუ ტეილორი, ელმანდერი (78. სმოლიარეკი), კევინ დევისი.

**გოლი:** 0:1 მეტიუ ტეილორი (50)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 20(6)-13(2); **ჯარიმა:** 16-13; **კუთხური:** 6-7; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 24 903

### სანდერლენდი-პორტსმუთი 1:2

**სანდერლენდი:** ფულოპი, ნოსვორთი, ანტონ ფერდინანდი, კოლინსი, ბერდსლი, რიჩარდსონი, ვაითჰედი, რიდი (80. ჰილი), მალბრანკი (80. ლიდბიტერი), დერილ მერფი (46. დიუფი), სისე.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, დესტენი, კემპბელი, პამარო, გლენ ჯონსონი, შონ დევისი, დიარა, ბელჰაჯი, კრანჩარი (76. უტაკა), კრაუჩი (69. კანუ), დეფო (90. ჰიუზი).

**გოლი:** 1:0 სისე (4), 1:1 ბელჰაჯი (51), 1:2 დეფო (90-პენ).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 9(5)-11(4); **ჯარიმა:** 10-10; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 37 712

### ვესტ ჰემი-ევერტონი 1:3

**ვესტ ჰემი:** გრინი, აპსონი (57. კოლისონი), ჯეიმს კოლინსი, ილუნგა, ნილი, ბოუიერი, პარკერი (87. დი მიკელე), ბოა მორტე (58. ეთერინგტონი), ფობერი, ბელამი, სიერსი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჟაგიელკა, იობო, ლესკოტი, ფილ ნევილი, როდველი (66. ვოგანი), ტიმ კაჰილი, არტეტა, ოსმანი, ანიჩებე (86. ბაინესი), საა (90. ჰიბერტი).

**გოლი:** 1:0 კოლისონი (63), 1:1 ლესკოტი (82), 1:2 საა (85), 1:3 საა (87).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 17(5)-17(5); **ჯარიმა:** 10-10; **კუთხური:** 9-4; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 33 961

### ლივერპული-ვესტ ბრომვ. 3:0

**ლივერპული:** რეინა, აგერი, კარაგერი, აურელიო, არბელოა, მასკერანო, ჯერარდი (80. ჩაბი ალონსო), რიერა (66. ბაბელი), ბენაიუნი, რობი კინი (72. ტორესი), კუიტი.

**ვესტ ბრომვიჩი:** კარსონი, ოლსონი, დონკი, რობინსონი, ცუივერლოონი, გრინინგი, ვალეროკიმი (56. ტეიშეირა), კორენი, ბედნარი (56. მური), მილერი (71. ბრანტი).

**გოლი:** 1:0 რობი კინი (34), 2:0 რობი კინი (43), 3:0 არბელოა (90).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 14(9)-6(2); **ჯარიმა:** 10-8; **კუთხური:** 3-7; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 43 451

### ბლექბერნი-ჩელსი 0:2

**ბლექბერნი:** რობინსონი, ნელსენი, ხიზანიშვილი, ოლსონი, სიმპსონი, უორნოკი, გრელა (46. მოკოენა), პედერსენი, ვილიანუევა, რობერტსი (78. ფაულერი), ენდრიუსი (46. დერბიშირი).

**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, ალექსი, ბრიჯი, ბოსინგვა, ობი მიკელი, ლემპარდი, დეკუ (90. პაულუ ფერეირა), მალუდა, ანელკა, კალუ (62. ბელეტი).

**გოლი:** 0:1 ანელკა (39), 0:2 ანელკა (68).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 8(2)-19(10); **ჯარიმა:** 14-11; **კუთხური:** 5-9; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 670

### ასტონ ვილა-მიდლსბრო 1:2

**ვილა:** ფრიდელი, ლაურსენი, კერტის დევისი, შორი (70. ჰერვუდი), კუელიარი, ბერი, სიდველი, მილნერი, იანგი, რეო კოკერი, აგბონლაჰორი.

**მიდლსბრო:** ტერნბული, პოგატეცი, რიგოტი, ენდრიუ ტეილორი, ჰოიტი, ონილი, დიგარდი, დაუნინგი, ალიადიერი, აფონსო ალვეში (83. არკა), თუნჯაი.

**გოლი:** 0:1 თუნჯაი (34), 1:1 სიდველი (37), 1:2 თუნჯაი (88)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 17(8)-16(6); **ჯარიმა:** 12-8; **კუთხური:** 8-4; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 36 672

### მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი 1:2

**სიტი:** ჰარტი, დანი, რიჩარდსი, გარიდო, საბალეტა, ირლანდი, ჟელსონი, რობინიო, რაიტ-ფილიპსი, მვარუვარი, ვასელი (31. ჰამანი).

**ტოტენჰემი:** გომესი, ლედლი კინგი, ვუდგეიტი, ასუ-ეკოტო, ჩორლუკა, ზოკორა, ჰადლსტონი, ჯენასი, ბენტლი, დარენ ბენტი, მოდრიჩი (71. ლენონი).

**გოლი:** 1:0 რობინიო (16), 1:1 დარენ ბენტი (29), 1:2 დარენ ბენტი (64).

**გაძევება:** ჟელსონი (26. მანჩესტერ სიტი), ასუ-ეკოტო (89. ტოტენჰემი), დანი (83. სიტი)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 9(7)-16(6); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 41 893

### ფულჰემი-ნიუკასლი 2:1

**ფულჰემი:** შვარცერი, ჰანგელანდი, აარონ ჰიუზი, კონჩესკი, პანტსილი, დენი მერფი, ბულარდი, გერა (64. დემპსი), საიმონ დევისი, ზამორა (74. ნევლანდი), ენდი ჯონსონი.

**ნიუკასლი:** გივენი, კასაპა, კოლოჩინი, ხოსე ენრიკე, ბეიე, ბარტონი, ბატი, დაფი, გუტიერესი (71. ოუენი), მარტინსი, ამეობი.

**გოლი:** 1:0 ენდი ჯონსონი (23), 1:1 ამეობი (57), 2:1 დენი მერფი (66-პენ).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 11(4)-11(4); **ჯარიმა:** 11-11; **კუთხური:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 24 740

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 29-4 | 29 |
| 2. ლივერპული | 12 | 9 | 2 | 1 | 19-8 | 29 |
| 3. არსენალი | 12 | 7 | 2 | 3 | 25-13 | 23 |
| 4. მანჩესტერ იუნ. | 11 | 6 | 3 | 2 | 20-10 | 21 |
| 5. ასტონ ვილა | 12 | 6 | 2 | 4 | 20-16 | 20 |
| 6. ჰალ სიტი | 12 | 6 | 2 | 4 | 17-19 | 20 |
| 7. ევერტონი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-20 | 18 |
| 8. მიდლსბრო | 12 | 5 | 2 | 5 | 13-17 | 17 |
| 9. პორტსმუთი | 12 | 5 | 2 | 5 | 13-18 | 17 |
| 10. ფულჰემი | 11 | 4 | 2 | 5 | 10-10 | 14 |
| 11. ბოლტონი | 12 | 4 | 2 | 6 | 11-13 | 14 |
| 12. სტოკ სიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-19 | 14 |
| 13. მანჩესტერ სიტი | 12 | 4 | 1 | 7 | 24-20 | 13 |
| 14. ვესტ ჰემი | 12 | 4 | 1 | 7 | 16-22 | 13 |
| 15. ბლექბერნი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-22 | 13 |
| 16. ტოტენჰემი | 12 | 3 | 3 | 6 | 15-18 | 12 |
| 17. ვიგანი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-16 | 12 |
| 18. ნიუკასლი | 12 | 3 | 3 | 6 | 15-20 | 12 |
| 19. სანდერლენდი | 12 | 3 | 3 | 6 | 10-18 | 12 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 12 | 3 | 2 | 7 | 10-21 | 11 |

**ბომბარდირები:** 10 - ანელკა (ჩელსი); 8 - ზაქი (ვიგანი); 7 - დარენ ბენტი (ტოტენჰემი), რობინიო (მანჩესტერ სიტი), დეფო (პორტსმუთი); 6 - აგბონლაჰორი (ასტონ ვილა), რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი).

### ჩემპიონატი

### XVI ტური

**ბარნსლი-შეფილდ იუნ. 1:2**

**გოლები:** 0:1 ბიტი (20), 0:2 ბიტი (85-პენ)

**გაძევება:** ფრანკა (29. ბარნსლი), ეჰიოგუ (29. შეფილდ იუნ)

**ბლექპული-იფსვიჩი 0:1**

**გოლი:** 0:1 ნორისი (42)

**ქოვენთრი-კრ. პალასი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჰილი (9), 0:2 უოტსონი (53)

**ნორვიჩი-პრესტონი 2:2**

**გოლები:** 0:1 ბრაუნი (2), 1:1 ლიტა (14), 2:1 კენედი (62), 2:2 მელორი (81)

**გაძევება:** რასელი (80. ნორვიჩი)

**ნოტინგემი-ბირმინგემი 1:1**

**გოლები:** 0:1 მაკფადენი (13), 1:1 პერჩი (52)

**პლიმუთი-ჩარლტონი 2:2**

**გოლები:** 1:0 დუმბე (39), 1:1 იუგა (86), 2:1 მპენზა (90), 2:2 გრეი(90-პენ).

**ქუინზ პარკი-კარდიფი 1:0**

**გოლი:** 1:0 მაჰონი (80)

**გაძევება:** პერსი (27. კარდიფი), კომინგესი (87. კარდიფი)

**რედინგი-დერბი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჰანტი (20), 2:0 დოილი (68), 3:0 დოილი (75).

**შეფილდ უენს.-დონკასტერი 1:0**

**გოლი:** 1:0 კლარკი (43)

**ვულვერჰემპტონი-ბარნლი 2:0**

**გოლები:** 1:0 კაიტლი (31), 2:0 კაიტლი (75)

**საუთჰემპტონი-ბრისტოლი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჯონსონი (58)

**სვონსი-უოტფორდი 3:1**

**გოლები:** 0:1 ვილიამსონი (33), 1:1 ბოდე (34), 2:1 სკოტლანდი (59), 3:1 ბაუსა (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვულვერჰემპტ. | 16 | 12 | 1 | 3 | 37-23 | 37 |
| 2. ბირმინგემი | 16 | 9 | 4 | 3 | 19-11 | 31 |
| 3. რედინგი | 16 | 9 | 3 | 4 | 36-16 | 30 |
| 4. შეფილდ იუნ. | 16 | 8 | 4 | 4 | 20-9 | 28 |
| 5. ბარნლი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-20 | 26 |
| 6. კარდიფი | 16 | 6 | 7 | 3 | 19-14 | 25 |
| 7. ქუინზ პარკი | 16 | 7 | 4 | 5 | 15-14 | 25 |
| 8. იფსვიჩი | 16 | 6 | 6 | 4 | 24-16 | 24 |
| 9. სვონსი | 16 | 6 | 6 | 4 | 21-18 | 24 |
| 10. ბრისტოლი | 16 | 6 | 6 | 4 | 18-16 | 24 |
| 11. პლიმუთი | 16 | 6 | 4 | 6 | 20-20 | 22 |
| 12. შეფილდ უენ. | 16 | 6 | 4 | 6 | 17-25 | 22 |
| 13. დერბი | 16 | 5 | 6 | 5 | 19-20 | 21 |
| 14. პრესტონი | 16 | 6 | 3 | 7 | 20-22 | 21 |
| 15. ბლექპული | 16 | 5 | 6 | 5 | 17-20 | 21 |
| 16. კრ. პალასი | 16 | 5 | 5 | 6 | 19-17 | 20 |
| 17. ქოვენთრი | 16 | 5 | 5 | 6 | 17-19 | 20 |
| 18. ბარნსლი | 16 | 5 | 3 | 8 | 15-19 | 18 |
| 19. ნორვიჩი | 16 | 4 | 5 | 7 | 18-23 | 17 |
| 20. ჩარლტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 17-23 | 16 |
| 21. საუთჰემპტ. | 16 | 4 | 4 | 8 | 15-25 | 16 |
| 22. უოტფორდი | 16 | 4 | 3 | 9 | 24-30 | 15 |
| 23. ნოტინგემი | 16 | 2 | 5 | 9 | 13-25 | 11 |
| 24. დონკასტერი | 16 | 2 | 3 | 11 | 7-23 | 9 |

### კონფერენსი

### გამოტოვებული მატჩები

ნორთვიჩი-ბარტონი 0:1, რაშდენი-ვიმუთი 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XII ტური

# ჰოფე ბერლინში დაეცა!

ყოველთვის ვწერდით, რომ „ჰერტა" დიდად უცნაური და ამოუცნობი გუნდია. ეს მოსაზრება მე-12 ტურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. „ჰოფენჰაიმი" უკვე არაერთ ძლიერ გუნდს ეთამაშა, მაგრამ **რალფ რანგნიკის** სამწყსოს დამარცხებას ვერავინ ახერხებდა. ბერლინელებმა კი ეს ისე შეძლეს, თითქოს „ჰოფე" ბუნდესლიგის სენსაციური ლიდერი კი არა, ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო. ისე, ოდესმე ხომ უნდა დაესრულებინა „ჰოფეს" მოგებათა სერია?

„ჰოფენჰაიმს" დამარცხებით „ლევერკუზენმა" იხეირა და „ფარმაცევტების" მთავარი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** კვირას ალბათ იდაყვებს იკბენდა, რადგან „ბაიერს" „კარლსრუესთვის" რომ მოეგო, ახლა „ჰოფეს" მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობის გამო კი არ აჯობებდა, მთელი 2 ქულით გაასწრებდა. როგორც მიხვდით, ლიდერი უკვე „ლევერკუზენია", მაგრამ ვაი ასეთ ლიდერობას, რადგან ლაბადიას გუნდსა და „ჰოფენჰაიმის" მიუნხენის „ბაიერნი" უკვე მხოლოდ 1 ქულითღა ჩამორჩება! ასე რომ, ვინც თვენახევრის წინ **იურგენ კლინსმანის** გუნდი ჩამოწერა, ძალიან მწარედ შეცდა. ბავარიელებმა უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვეს - რეკორდმაისტერმა გელზენკირხენში „შალკეს" მოუგო (2:1).

რაც უნდა მძიმე კრიზისში იყოს „ბაიერნი", არასდროს არ უნდა ჩამოწერო. კლინსმანის გუნდმა მძიმე დროება მარტივად დაძლია და აჰა, ბავარიელები ლიდერობასთან ძალიან ახლოს არიან. „ფელტინს არენაზე" რეკორდმაისტერისა და ადგილობრივი „შალკეს" დაპირისპირება მასპინძელი გუნდის ქომაგებისთვის ძალიან ცუდად დაიწყო: უკვე მესამე წუთზე **ლუკა ტონიმ** ანგარიში გახსნა და სტუმრები დააწინაურა. თუმცა შალკელებმა ძალიან მალე გაათანაბრეს: მეხუთე წუთზე **ჯეფერსონ ფარფანმა** წონასწორობა აღადგინა. ფარფანის გოლით „შალკესთვის" ამ მატჩში საუკეთესო პერიოდი დაიწყო. **ლევან კობიაშვილმა** და კომპანიამ მრისხანე მეტოქე მის ნახევარზე მიაჯაჭვა, მაგრამ **რენზინგის** კარის დალაშქვრას ვერა და ვერ ახერხებდა. „ბაიერნი" კი იძულებული იყო, კონტრშეტევებზე ემოქმედა - ამ მხრივ ყველაზე მეტად **ზე რობერტო** და **რიბერი** აქტიურობდნენ. სწორედ ფრანგმა გაიტანა გამარჯვების გოლი 31-ე წუთზე. ასე რომ, რეკორდმაისტერმა ზედიზედ მეოთხე გასვლითი მატჩი მოიგო და „ჰოფენჰაიმსა" და „ლევერკუზენს" თავის სუნთქვა აგრძნობინა.

*„მორჩა, „ბაიერნი" ბრუნდება! ცოტაც და ჩვენ ისევ იქ ვიქნებით, სადაც ჩვენი ადგილია!"* - ემოციებს ვერ იკავებდა მიუნხენელთა გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი**. სხვა დროს ძალიან ემოციური კლინსმანი კი შედარებით მშვიდი გახლდათ. მშვიდი და კმაყოფილი.

ზედიზედ ხუთი მოგების შემდეგ, რამაც „ჰოფენჰაიმი" გერმანიის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერად აქცია, „სოფლელების" წარმატებული სვლა დედაქალაქში დასრულდა. „ჰოფემ" ვეღარ ითამაშა ის ალვირახსნილი ფეხბურთი, რითაც გერმანიაში უკვე ძალიან ბევრ გუნდს სცემს შიშის ზარს. თუმცა, თუ რომელიმე გუნდზე ითქმის, საგოლე შანსი მრავლად ჰქონდაო, პირველ რიგში სწორედ „ჰოფენჰაიმზე". საუკეთესო მომენტი ქარს **დემბა ბამ** გაატანა, რომლის დარტყმაც **დრობნიმ** მოიგერია. „ჰერტას" ეს ძალიან მნიშვნელოვანი და რაც მთავარია, ხმაურიანი გამარჯვება უკრაინელი **ანდრეი ვორონინის** გოლმა მოუტანა. აქვე გეტყვით, რომ ბერლინელებმა **მარკო პანტელიჩი** დაკარგეს (ტრავმა), მაგრამ მათ ეს არ აღელვებთ, რადგან „ჰერტა" მეხუთე ადგილამდე ამაღლდა. ჰოფენჰაიმელებმა კი, ვინიცობაა, ლიდერობასთან ერთად საკუთარი ძალების რწმენაც დაკარგონ და ვინ იცის, როგორ წაუვათ ამიერიდან საქმეები.

კვირასვე, „აინტრახტი" „შტუტგარტს" მასპინძლობდა და 2:0-ს უგებდა. ორივე გოლი **ლიბეროპულოსმა** გაიტანა და უნდა ითქვას, რომ დროა, ფრანკფურტელთა მთავარმა მწვრთნელმა **ფრიდჰელმ ფუნკელმა** ეს თავდამსხმელი დააფასოს. შვაბებმა ძალები მოიკრიბეს და ქულა გადაარჩინეს. ჯერ **მარტინ ლანიგმა** სხვაობა შეამცირა, მერე კი **მარიო გომესმა** გამათანაბრებელი გოლი გაიტანა. ეს „სუპერმარიოს" მეექვსე გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში და გომესი უკვე ბომბარდირებშია გარეული. თუმცა ლიდერ **იბიშევიჩამდე** (13 გოლი) მაინც ბევრი უკლია.

შაბათს, „ჰამბურგმა" მცირე კრიზისიდან გამოსვლა მოახერხა, დაამარცხა რა დორტმუნდის „ბორუსია" ანგარიშით 2:1. **მარტინ იოლის** გუნდს გამარჯვება თავდასხმის ხორვატულმა ტანდემმა მოუტანა. ერთი გოლი **მლადენ პეტრიჩის** ანგარიშზეა, მეორე კი **ივიცა ოლიჩისა** და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პეტრიჩი ყოფილი დორტმუნდელია. ამიტომაც იყო, ამ უკანასკნელმა თავისი გოლი ძალიან ემოციურად რომ აღნიშნა. სხვათა შორის, „ბორუსიაშიც" თამაშობდა ყოფილი ჰამბურგელი და თანაც, ისიც თავდამსხმელი: **მოჰამედ ზიდანი**. მაგრამ ეგვიპტელმა თავი ვერაფრით გამოიჩინა. მეტიც, ზიდანი მოედანზე ერთ-ერთი უსუსტესი წერტილი გახლდათ, რის გამოც იქნა კიდეც შეცვლილი ვესტფალიელთა დამრიგებლის, **იურგენ კლოპის** მიერ.

„კარლსრუეს" და „ლევერკუზენს" ამ ტურამდე ფრე არ ჰქონდათ ნათამაშები, რაზეც წინასატურო მიმოხილვაშიც ვწერდით და აი, პირველი ფრე ერთმანეთში ითამაშეს. და ის, რომ ბადენური კლუბი მომავალ ლიდერთან (მატჩი შაბათს ჩატარდა) არ დამარცხდა, **ალექსანდრე იაშვილის** დამსახურებაა, რომელიც **ედმუნდ ბეკერმა** მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა და რომელმაც ანგარიში 76-ე წუთზე, თავური დარტყმით გაათანაბრა. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში გავიდა სეზონის ჯერჯერობით ყველაზე სწრაფი გოლი, რომელიც **პატრიკ ჰელმესის** ანგარიშზეა. ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე მყოფმა ჰელმესმა (9 გოლი) ანგარიში 33-ე წამზე გახსნა.

უეფას თასზე „ჰერენვენის" განადგურების შემდეგ (5:1), **ფელიქს მაგათის** „ვოლფსბურგმა" ამჯერად ბუნდესლიგის აუტსაიდერი „კოტბუსი" დაიბრიყვა. „მგლებმა" „ენერგი" გვარიანად დაგლიჯეს, მაგრამ მხოლოდ სამი გოლი იკმარეს და სამივე ბრაზილიელი თავდამსხმელის, **გრაფიტეს** ანგარიშზეა. აქედან, ამ უკანასკნელმა ერთი გოლი პენალტით გაიტანა.

როგორც ჩანს, „ვერდერი" ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ნაღდად ვერ იბრძოლებს. „ბაიერნისგან" განსხვავებით, „ვერცხლის სინის" კიდევ ერთმა პრეტენდენტმა კრიზისიდან გამოსვლა ვერაფრით შეძლო. „მუსიკოსები" ამჯერად ბოხუმში თამაშობდნენ და უგოლო ფრეს დასჯერდნენ, თანაც **მესუთ იოზილი** დაკარგეს, რომელმაც ნერვები ვეღარ მოთოკა, წითელი ბარათი დაიმსახურა და ახლა თანაგუნდელებს მინიმუმ ორ მატჩში ვეღარ დაეხმარება. მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" კი **ჰანს მაიერის** თაოსნობით, მეოთხე მატჩში მეორე გამარჯვების მოპოვება მოახერხა. „გლადბახმა" ახალგაზრდა **მარკო მარინის** დუბლით „არმინიას" 2:0 მოუგო. ამით „ბორუსია" გასავარდნ ზონას მოშორდა და იქ ბილეფელდურ კლუბს მიუჩინა ადგილი.

დაბოლოს, პარასკევს „კიოლნმა" „ჰანოვერი" დაამარცხა (2:1) და ნახეთ, **კრისტოფ დაუმის** გუნდი უკვე მერვე ადგილზეა.

**გოტფრიდ ლენცი**

### მომდევნო ტური

14 ნოემბერი. ჰანოვერი-ბოხუმი. 15 ნოემბერი. შტუტგარტი-არმინია, ლევერკუზენი-შალკე, ჰერტა-ჰამბურგი, ბორუსია (დ)-აინტრახტი, კოტბუსი-კარლსრუე, ბორუსია (მ)-ბაიერნი, ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი. 16 ნოემბერი. ვერდერი-კიოლნი.



ბაიერნი გალიდერებულ ლევერკუზენს ერთი ქულითღა ჩამორჩება!

### კიოლნი-ჰანოვერი 2:1

**კიოლნი:** მონდრაგონი-3, ბრეჩკო-3.5, გერომელი-3, მოჰამადი-3.5, ვომე-4.5, პეცონი-3, პეტიტი-3.5, ანტარი-4.5, რადუ-5 (59. სანუ-3), ვუჩიჩევიჩი-4 (87. მაკენა), ნოვაკოვიჩი-4 (92. შერცი).

**ჰანოვერი:** ფრომლოვიტცი-3.5, ჩერუნდოლო-3.5, ფარენჰორსტი-3.5, კ. შულცი-3, რაუში-4, ბალიტში-2.5 (77. იანკოვი), ბ. შულცი-3.5 (84. ეგიმანი), შტაინერი-4.5, შლაუდრაფი-3.5, ჰუშტი-3.5, ფორსელი-4 (66. ჰანკე-4.5).

**გოლები:** 0:1 შლაუდრაფი (16), 1:1 გერომელი (42), 2:1 სანუ (71)

**გაძევება:** შტაინერი (89. ჰანოვერი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 12(7)-10(2); **ჯარიმა:** 18-19; **კუთხური:** 10-3; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 47 000

### ჰამბურგი-ბორუსია (დ) 2:1

დღის ბოლო მატჩში ნახევრად აზერბაიჯანულმა „ნტდ\თბილისმა" „დინამოსთან" კარგი სტარტი აიღო – პირველივე მეოთხედში 10 ქულით დაწინაურდა, მაგრამ მესამე პერიოდის დასაწყისში დინამოელებმა 4 სამქულიანი (2 ხიზანიშვილმა, 2 კორკოტაძემ) ჩააგდეს და ბაქოელებს 50:46 გადაასწრეს. ამის შემდეგ **ნუგზარ კანდელაკის** „თბილისი" კვლავ გამოფხიზლდა და უმთავრესად ფარქვეშიდან გააზრებული თამაშის წყალობით შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა – 80:66.

მეტ-ნაკლებად თანაბარი შეხვედრა გამოდგა შსს-„ბათუმის" დაპირისპირება.

ამ მატჩის პირველ ტაიმში უპირატესობა ზღვისპირელთა მხარეს იყო (39:20), თუმცა მეორე ნახევარში **ზურაბ ტომარაძის** შსს-ელებმა თამაში გამოასწორეს - მესამე ათწუთეული 16:9 მოიგეს, თუმცა საბოლოო გამარჯვებისთვის ძალა აღარ ეყოთ.

სატურნირო ცხრილის ზედა საფეხურზე მყოფმა „სასოფლომ" აუტსაიდერ „მაკაბის" პირველივე მეოთხედი 28:13 მოუგო და არც მომდევნო სამ მეოთხედში დაუთმია უპირატესობა. სტუდენტთა მიერ „მაკაბის" დაჯაბნა მოსალოდნელი იყო, რადგან განვლილ ტურში **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებმა თსუ-საც მოუგეს და „დინამოსაც".

მატჩის ოქმს თუ გადავხედავთ, სასოფლოელთა უპირატესობა ყველა კომპონენტში აშკარაა. მაკაბელებმა მეტოქეს მხოლოდ სამქულიანებში აჯობეს - 7:5.

„სასოფლოს" მწვრთნელმა თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მისცა, რომლებმაც დაგვანახეს, რომ გუნდის სრულფასოვანი წევრები არიან. ხოლო მატჩის სნაიპერი და მთავარი მომხსნელი გამოცდილი სათადარიგო **ლევან ტყეშელაშვილი** გახდა. მის ანგარიშზე 19 ქულა და 15 მოხსნაა.

9 ნოემბერი. თბილისი. სპორტის სასახლე

**მაკაბი–სასოფლო 59:78**

13:28, 15:14, 15:22, 16:14

მაკაბი: კილაძე (11 ქ), ანთაძე (5 ქ), ლონდარიძე (10 ქ. 8 მ. 5 ფ), იოსელიანი (7 მ), ახმედიანი (10 ქ. 5 მ. 3 პ), ელიკაშვილი (2 ქ), ჯანგველაძე (4 ქ), ბიბილური (8 ქ. 7 მ), ივანეიშვილი, არონია (2 ქ), სუდაძე (5 ქ), მჭედლიშვილი (2 ქ)

სასოფლო: გულისაბედაშვილი (4 ქ), თვაური, მ. ბერიშვილი (13 ქ. 6 მ. 4 ჩ), მარხვაშვილი (3 პ), გამხიტაშვილი (6 ქ), ცერცვაძე, ტყეშელაშვილი (14 ქ. 15 მ), ათანელიშვილი (8 ქ. 6 მ), გვიმრაძე (14 ქ. 6 მ), ჩაჩიბაია (13 ქ. 5 მ), ბოქოლიშვილი (6 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

**შსს–ბათუმი 62:73**

9:15, 11:24, 16:9, 26:25

შსს: მიქაბერიძე (7 ქ. 5 მ), ბერუაშვილი (3 ქ. 8 მ). ბ. ნოზაძე (2 ქ. 5 ფ), ნინუა (13 ქ. 3 პ), პატარაია (6 ქ. 3 პ. 5 ფ), გოლეთიანი (18 ქ), ფაიქრიძე (1 ქ), აბულაძე (10 ქ. 10 მ), ი. ბაქრაძე (2 ქ), ბერია

ბათუმი: თავართქილაძე (8 ქ. 3 პ. 5 ფ. 4 ჩ), ჩხატარაშვილი (8 ქ. 5 მ), დოლიძე (3 ქ), ნ. ნოზაძე (5 ქ), კეშელავა (13 ქ. 6 მ. 3 პ. 4 ჩ), მ. ბოლქვაძე (4 ქ. 6 მ. 5 ფ), იმნაძე (17 ქ. 14 მ. 5 ფ), ელიაშვილი (8 ქ. 7 მ), კვერნაძე (7 ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე

**თსუ–ენერჯი 69:81**

21:29, 15:10, 10:20, 23:22

თსუ: დ. ბერიშვილი (8 ქ. 5 პ), გაფრინდაშვილი (2 ქ), გ. ბარბაქაძე (7 ქ), კოხრეიძე, შანიძე (10 ქ. 5 ჩ), მარკოიშვილი (21 ქ. 5 მ), ყველაშვილი, ხეცურიანი (2 ქ. 5 პ), ახალკაცი, დ. ბარბაქაძე (9 ქ. 3 ჩ)

ენერჯი: გამყრელიძე (13 ქ. 3 პ), ბაბიაშვილი (5 მ), ლეჟავა (19 ქ. 7 მ), დიდია (6 ქ), ტულუში (17 ქ. 11 მ. 7 პ), უგრეხელიძე (13 ქ. 5 მ), არწივიძე (3 ქ), ტუჯანი (6 ქ. 5 მ. 5 ფ), ჭოჭუა (4 ქ. 3 პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**დინამო–ნტდ/თბილისი 66:80**

14:22, 20:17, 22:24, 10:17

დინამო: ბაქრაძე (6 პ), ნანიტაშვილი, სორდია (20 ქ. 6 მ. 5 ფ. 3 ჩ), ლაფანაშვილი (5 ქ. 5 მ. 4 პ), სიგუა (4 ქ. 3 პ. 3 ჩ), ხიზანიშვილი (13 ქ. 5 მ), კორკოტაძე (12 ქ), ქადარია (4 ქ. 9 მ), ხანიაშვილი (8 ქ. 3 პ)

თბილისი: ჩიტაშვილი (8 ქ. 8 პ. 6 მ), ფაშაევი (4 ქ. 5 ჩ. 5 მ. 5 პ), სარიევი (17 ქ), ნაფტალიევი (12 ქ. 7 მ. 3 პ), მამაცაშვილი, როდუმტა (2 ქ), რუსიშვილი (6 ქ. 5 მ), კეიდია (2 ქ), კოლუაშვილი (8 ქ. 6 მ), ბახშიევი (19 ქ), ტეტელაშვილი, გლოველი

მსაჯები: ხ. გაბედავა, დ. არეშიძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. სასოფლო | 4 | 3 | 1 | 7 |
| 2. ნტდ | 3 | 3 | 0 | 6 |
| 3. ენერჯი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 4. ავიამშენი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 5. თსუ | 4 | 1 | 3 | 5 |
| 6. შსს | 4 | 1 | 3 | 5 |
| 7. დინამო | 4 | 1 | 3 | 5 |
| 8. ბათუმი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 9. მაკაბი | 4 | 0 | 4 | 4 |

საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტური მეტად „კონსერვატიული" გამოდგა: ვერ ვიხილეთ სენსაციური ანგარიშები, არც მსაჯთა მიმართ ხმამაღალი მი-

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი NBA-ში

# ზაზა ორზე ჩამოვიდა, ატლანტა ოთხზე ავიდა

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტა ჰოქსმა" NBA-ს წლევანდელ გათამაშებაში მეოთხე მატჩი ჩაატარა და ლიგაში ერთადერთი გუნდია, წაგება რომ არ აქვს. ამჯერად ჯორჯიელებს კანადური "ტორონტო" სტუმრობდა და შინ 92:110 მარცხით გაბრუნდა.

ბევრი რამ გადაწყვიტა პირველმა პერიოდმა. საწყის 12 წუთში **მაიკ ბიბიმ** 19 ქულა ჩააგდო, ატლანტელთა წინ გაჭრას ჩაუყარა საფუძველი და, მართალია, ბიბის დარჩენილ დროში ქულაც არ ჩაუგდია, მასპინძლებმა მატჩი გამარჯვებამდე მაინც მიიყვანეს.

მწვრთნელმა **მაიკ ვუდსონმა** ზაზა ფაჩულიას სათამაშო დრო ცოტა შეუზღუდა, 12 წუთით ენდო და ქართველისგან მხოლოდ 2 ქულა, 1 პასი და ამდენივე მოხსნა მიიღო. ზაზამ 2-დან 1 ორქულიანი ჩააგდო. მატჩის ბომბარდირობა ტორონტოელმა **კრის ბოშმა** იკისრა – 26 ქულა მიითვალა. "ატლანტის" რიგებში კი საუკეთესო მაიკ ბიბი იყო. მან 19 ქულას 12 შედეგიანი გადაცემა მიამატა.

"ჰოქსი" მომდევნო მატჩს დღეს, გამთენიისას, ოკლაჰომაში მართავდა. მის შესახებ ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში გესაუბრებით.

ვაჟა სიმონიშვილი







ნიკა ცქიტიშვილი (მარცხნივ)




ვლადიმერ ბოისა

ლეგიონი

# ცქიტიშვილი VS ბოისა

ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში შედგა ქართული დუელი: **ნიკა ცქიტიშვილი ვლადიმერ ბოისას** დაუპირისპირდა. ცქიტოს "ფუენლაბრადამ" ვოვას "მენორლას" უმასპინძლა და 90:81 დაამარცხა.

ბოისას თანაგუნდელებმა მატჩი კარგად დაიწყეს, პირველი მეოთხედი 23:20 მოიგეს, მაგრამ მეორე ათწუთეულში "ფუენლაბრადამ" თამაში გამოასწორა, წინ გაიჭრა და საქმე გამარჯვებამდე ისე მიიყვანა, რომ მოგებულის ვინაობის გამორკვევის საკითხისთვის კითხვის ნიშანი არ დაუსვამს.

ნიკა და ვოვა ნაკრებში ერთ პოზიციაზე თამაშობენ. ისინი მძიმე ფორვარდები არიან. ამიტომ გუშინდელი მატჩისას ერთმანეთსაც ხშირად მეურვეობდნენ.

ნიკა ცქიტიშვილმა მოედანზე 20 წუთი გაატარა და ისეთი ეფექტური სტატისტიკა აღარ ჰქონია, როგორც წინა ტურში, "ბარსელონასთან". მან მხოლოდ 4 სამქულიანი ისროლა და ტყორცნების 50 პროცენტი გამოიყენა. ნიკამ 6 ქულას 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიამატა.

ვლადიმერ ბოისამ 17 წუთი ითამაშა. მას "ფუენლაბრადას" კალათის ალების შედარებით მეტი მცდელობა ჰქონდა (4 ორქულიანი და 2 სამიანი), მაგრამ მატჩი 0 ქულით დაასრულა. ვოვას აქტივში თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრა დაფიქსირდა.

მენორკელთა სნაიპერი გახდა გამთამაშებელი **პუხ ჯეტერი**, ხოლო მატჩის ბომბარდირობა ორმა მადრიდელმა გაიყო: **ბლანკომა** და **ოლესონმა** 22-22 ქულა ჩააგდეს.

7 ტურის შემდეგ "ფუენლაბრადას" ექვსი მატჩი აქვს ჩატარებული და 3 მოგების წილ ამდენივე წაგება უწერია. მადრიდელები სატურნირო ცხრილში მე-9 ადგილზე არიან. ვლადიმერ ბოისას "მენორკა" დედაქალაქში წაგების შემდეგ ბოლო, მე-17 ადგილამდე დაქვეითდა. მას 6 წაგება და 1 მოგება უწერია.

ვაჟა სიმონიშვილი

კრივი

# მძიმე ბრძოლის შემდეგ...

როგორც ვივარაუდეთ, ლივერპულში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის მერვედფინალში **კობა ფხაკაძეს** მძიმე ბრძოლა გადახდა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველი მოკრივე პირველ წრეში ისვენებდა, მერვედფინალში კი მისი მეტოქე სომეხი **არა პულუზიანი** იყო. შერკინება გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ფხაკაძემ მინიმალური სხვაობით, 7:6 გაიმარჯვა. მეოთხედფინალში კობას მეტოქე უნგრელი **მიკლოშ ვარგა** იქნება. დაუმარცხებელი არც მას ეთქმის.

ძალიან დასანანია, რომ ბანალური მიზეზის, უვიზობის გამო კონტინენტის პირველობას ორი გამორჩეული ქართველი მოკრივე, **კახა ჟვანია** და **ლევან ლვამიჩავა** დააკლდა. უდავოა, რომ მედლებისთვის ისინიც იბრძოლებდნენ.

იმასაც შევახსენებთ, რომ 81 კილოგრამში **რევაზ ქარელიშვილი** პირველივე წრეში დამარცხდა.

ლევან ჯანეზაშვილი



კობა ფხაკაძე — ავტორის ფოტო

ჩოგბურთი

# მეოთხედფინალი აკმარეს

16 წლის **ეკა გორგოძემ** (700) დაასრულა მალიორკას (ესპანეთი) საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობა. შეჯიბრება კურორტ კალა მილორის კორტებზე იმართებოდა. ჩვენმა თანამემამულემ პირველ წრეში ტურნირის პირველი ჩოგნის, **ანა ფლორისის** (240) ძლევით სენსაცია გამოაცხო, რასაც ეკამ მერვედფინალური გამარჯვებაც მიაყოლა. გორგოძე მეოთხედფინალში შეაჩერეს, სადაც ცაცია ქართველი უკრაინელ **კატერინა ავდიენკოს** (595) ეთამაშებოდა – 4:6, 6:2, 3:6. ეკა კვლავ კალა მილორში რჩება, რადგან პირველ ტურნირს ეგრევე ანალოგიური შეჯიბრება შეცვლის. გორგოძე ისევ ძირითად ბადეშია, ხოლო **ანა ჯიქიამ** კვლავ წარუმატებლად შეეცადა საკვალიფიკაციო ბატალიების მოგებას. ამჯერად, ანა პირველივე წრეში დამარცხდა ესპანელ **არაბელა ფერნანდესთან** ბრძოლაში – 4:6. 2:6.

ახალი კვირის ყველაზე მსხვილი ტურნირები სან-დიეგოსა (აშშ) და მინსკში (ბელარუსი) გაიმართება. თითოეული მათგანის საპრიზო ფონდი 50 ათასი ამერიკული დოლარია. **ანა ტატიშვილს** (167) გარანტირებული აქვს სან-დიეგოს ტურნირში განთესილთა შორის ყოფნა, ხოლო მინსკში ძირითად ბადეში მოხვდა **სოფიო შაფათავა** (250). მინსკში კიდევ ერთი ქართველი იბრძოლებს ძირითად ბადეში გასასვლელად, დიდი ხნის პაუზის შემდეგ საერთაშორისო ასპარეზზე **მანანა შაფაქიძე** (683) ვიხილეთ. საქართველოს ჩემპიონი პირველ წრეში რუს **მარია ჟარკოვას** (641) ეთამაშება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ასოციაციაში დიდი ტრავმიანობაა




კიდევ რამდენიმე კვირით გადაიდო "იუტა ჯაზის" გამთამაშებლის **დერონ უილიამსის** მოედანზე დაბრუნება. როგორც იცით, პეკინის თამაშების ჩემპიონს ამ კვირაში უნდა ჰქონოდა ახალ სეზონში დებიუტი, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ დერონი დაახლოებით 4-6 კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

უილიამსს ისევ აწუხებს ფეხის ტკივილი. ამის გამო მცველმა დასახმარებლად სხვა ექიმს მიმართა და ასეთი პესიმისტური პროგნოზი სწორედ ახალი სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გახდა ცნობილი.

*"თავის დროზე, ორ კვირაში გამოჯანმრთელების იმედი იმის გამო მომცეს, რომ არ მოვისურვებდი 4-6 კვირას მკურნალობას. მაგრამ სჯობდა თავიდანვე სიმართლე ეთქვათ და ფუჭი იმედი არ მოეცათ ჩემთვის"*, - განაცხადა კალათბურთელმა.

დერონმა უკვე გამოტოვა სეზონის საწყისი ხუთი შეხვედრა და სავარაუდოდ, "იუტას" 5-მატჩიან გასვლით ტურნეში არ გაჰყვება.

■ ■ ■

ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა "სან ანტონიო სპურსი". სეზონის ერთ-ერთმა ფავორიტმა რეგულარული ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყო - **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებს ხუთიდან მხოლოდ ერთი მოგება აქვთ, რაც არგენტინელი მცველის **მანუ ჯინობილის** ტრავმას დაბრალდა. ახლა კი "დეზებს" კიდევ ერთი წამყვანი მცველი **ტონი პარკერი** გამოაკლდათ. ფრანგმა გამთამაშებელმა "მაიამისთან" მატჩის პირველ ტაიმში ფეხი დაიზიანა და ექიმების დიაგნოზით, დაახლოებით 2-4 კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

არადა, პარკერი წინა მატჩებში "სან ანტონიოს" ლიდერად მოგვევლინა. მაგალითად, "მინესოტასთან" მატჩში ფრანგმა ლეგიონერმა 55 ქულის დაგროვება მოახერხა.

"სან ანტონიოსთვის" სეზონის საწყის ტურებში ხუთიდან ოთხი წაგება ყველაზე უარესი სტარტია ბოლო 10 წლის განმავლობაში. "სპურსს" დეკემბრის დასაწყისამდე გაუჭირდება - სწორედ ამ დროისთვის არის დაგეგმილი პარკერისა და ჯინობილის დაბრუნება.

■ ■ ■

კიდევ უფრო ცუდად აქვს "ჩიკაგო ბულზის" მცველ **კირკ ჰინრიხს**. ამ კალათბურთელმა მარჯვენა ხელზე მყესები გაიწყვიტა და ამ მიზეზით თითქმის სამი თვე ვერ შეძლებს თამაშს. გამთამაშებელმა ეს ტრავმა "ფინიქსთან" შეხვედრაში მიიღო.

კალათბურთელს უახლოეს დღეებში ოპერაცია ელის და სავარაუდოდ, მწყობრში იანვარის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში ჩადგება. აღსანიშნავია, რომ ჰინრიხს ხუთი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 21 მატჩი აქვს გამოტოვებული.

■ ■ ■

გასულ უიქენდზე არ გაუმართლა "ატლანტა ჰოქსის" ერთ-ერთ ლიდერს **ჯოშ სმითს**, რომელმაც მარცხენა ფეხზე მყესი დაიჭიმა, რის გამოც 2-4 კვირის გამოტოვება მოუწევს. კალათბურთელმა ტრავმა "ტორონტოსთან" მატჩის პირველ ნახევარში მიიღო. იმ მომენტისთვის სმითის ანგარიშზე 6 ქულა იყო.

სეზონის პირველ სამ მატჩში ჯოშმა საშუალოდ 14.7 ქულა და 10.0 მოხსნა დააგროვა. "ატლანტას" ჯერჯერობით ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს, რაც ამ გუნდის საუკეთესო სტარტია 1997-98 წლების სეზონის შემდეგ.

# ვარშავაში წილი ყარეს

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. პირველობის პირველ ეტაპზე 16 ნაკრები (რომელთაგან 15 გუნდის ვინაობა ცნობილია და ერთი ვაკანტური საგზური საკვალიფიკაციო ტურნირში გათამაშდება) ოთხ ჯგუფში გადანაწილდა.

A **ჯგუფი**: მაკედონია, ხორვატია, ისრაელი, საბერძნეთი;

B **ჯგუფი**: რუსეთი, გერმანია, ლატვია, საკვალიფიკაციო;

C **ჯგუფი**: ესპანეთი, სლოვენია, სერბეთი, ბრიტანეთი;

D **ჯგუფი**: ლიტვა, თურქეთი, პოლონეთი, ბულგარეთი.

მეორე ჯგუფურ ტურნირში თამაშის უფლებას ჯგუფების სამ-სამი საუკეთესო გუნდი მიიღებს. ამ ეტაპზე ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება და აქ პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები გათვალისწინებული იქნება. ამის შემდეგ, თითოეული ჯგუფიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო მეოთხედფინალში გავა და ბრძოლა ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება. ფინალური ეტაპი 7 სექტემბერს დაიწყება და ფინალი 20 სექტემბერს არის დაგეგმილი.

საკვალიფიკაციო ეტაპს რაც შეეხება, ის 5-30 აგვისტოს გაიმართება. ერთადერთი საგზურისთვის ექვსი გუნდი იბრძოლებს. ისინი ორ ჯგუფში ასე არიან განაწილებულნი:

A **ჯგუფი**: პორტუგალია, ბოსნია, ბელგია;

B **ჯგუფი**: იტალია, საფრანგეთი, ფინეთი.

# ჯორდანს შარლოტის ყიდვა მოუნდა

„შარლოტ ბობკეტსის" თანამფლობელმა, ლეგენდარულმა **მაიკლ ჯორდანმა** განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, მთლიანად დაეუფლოს კლუბის აქციებს, თუ „ბობკეტსის" ამჟამინდელი მეპატრონე **ბობ ჯონსონი** გუნდის გაყიდვას გადაწყვეტს.



*„როცა ბობი „შარლოტის" გასხვისებას დააპირებს, სიამოვნებით შევისყიდდი კლუბის აქციათა სრულ პაკეტს. მაგრამ ის ჯერ არ აპირებს ამის გაკეთებას, რადგან ძველებურად მოსწონს საკალათბურთო კლუბის პატრონობა"*, - განაცხადა ჯორდანმა Charlotte Observer-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

ჯორდანი „შარლოტის" თანამფლობელი 2006 წელს გახდა და ჯონსონმა მას საკალათბურთო ოპერაციების ხელმძღვანელობა დაავალა. სხვათა შორის, ბობ ჯონსონი პროფესიული სპორტული გუნდის პირველი შავკანიანი მფლობელია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ახალი რეკორდები

"ნიუ ორლეანის" ლიდერი **კრის პოლი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ახალი რეკორდის ავტორი გახდა. ამ გამთამაშებელმა ზედიზედ მეექვსე მატჩში ერთდროულად 20 ქულაზე და 10 შედეგიან გადაცემაზე მეტი დააგროვა, რაც აქამდე არც ერთ კალათბურთელს არ გაუკეთებია. წინა რეკორდის მფლობელი ლეგენდარული **ოსკარ რობერტსონი** იყო, რომელმაც 1968 წელს ზედიზედ ხუთი ასეთი მატჩი ჩაატარა.

თავად კრის პოლი ამ ფაქტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს: *"უცნაური სტატისტიკაა, რომელიც მხოლოდ ჩემზე არ არის დამოკიდებული. თუ პარტნიორები ჩემს გადაცემებს ვერ გამოიყენებენ, შესაბამისად არც ეს რეკორდი შედგება"*.

■ ■ ■

"იუტა ჯაზის" დამრიგებელი **ჯერი სლოუნი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში პირველი მწვრთნელი გახდა, ვისაც ერთ გუნდში მუშაობისას 1000 გამარჯვება დაუგროვდა.

ჯერი ისტორიაში მეხუთე მწვრთნელია, ვისაც კარიერაში 1000 მოგება დაუგროვდა, მაგრამ მისი წინამორბედებიდან არც ერთს ამ შედეგისთვის ერთ გუნდში მუშაობისას არ მიუღწევია. ლეგენდარულ **რედ აუერბახს** "სელტიქსში" 795 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, **გრეგ პოპოვიჩმა** კი "სან ანტონიოს" 633-ჯერ მოაგებინა.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**7 ნოემბერი**

**შარლოტი-ნიუ ორლეანი 92:89**
26:28, 21:7, 19:26, 26:28
შ: ჯერ. რიჩარდსონი (20), ფელტონი (20), ავგუსტინი (11), ოკაფორი (10+10 მოხსნა).
ნ-ო: პოლი (20+10 პასი+6 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (20+7 მოხსნა), დ. უესტი (11), პოუზი (11), პიტერსონი (10).

**ვაშინგტონი-ნიუ იორკი 108:114**
28:29, 30:35, 30:25, 20:25
ვ: კ. ბატლერი (30+7 მოხსნა), ჯეიმისონი (24+12 მოხსნა), იანგი (16), მაკგი (12+10 მოხსნა), დიქსონი (5+8 მოხსნა+11 პასი).
ნ-ი: კროუფორდი (23), ზ. რენდოლფი (22+13 მოხსნა), რობინსონი (17+6 პასი+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (17), დ. ლი (13), დუჰონი (6+7 მოხსნა+12 პასი).

**ატლანტა-ტორონტო 110:92**
31:26, 31:24, 21:19, 27:23
ა: ბიბი (19+12 პასი), ჯო ჯონსონი (17+7 მოხსნა+6 პასი), მიურეი (16), მ. ევანსი (15), მერვინ უილიამსი (14), ს. ჯონი (6+9 მოხსნა+3 დაფარება).
ტ: ბოში (26+8 მოხსნა), ჯ. ო'ნილი (17+3 დაფარება), კალდერონი (6+12 პასი).

**ბოსტონი-მილუოკი 101:89**
23:30, 32:17, 20:23, 26:19
ბ: პირსი (18+10 მოხსნა+7 პასი), გარნეტი (16+9 მოხსნა), რ. ალენი (13), პაუსი (11+3 ჩაჭრა), პოუ (10), რონდო (8+8 პასი+3 ჩაჭრა), პერკინსი (6+8 მოხსნა+7 დაფარება).
მ: რ. ჯეფერსონი (20), ვილანუევა (13+12 მოხსნა), რიდნური (12), ბოგუტი (11+8 მოხსნა), სეშენსი (11), მბა-ა-მუტე (9+9 მოხსნა).

**კლივლენდი-ინდიანა 111:107**
20:29, 23:17, 28:28, 40:33
კ: ლ. ჯეიმსი (27+9 მოხსნა+8 პასი+4 დაფარება), მო უილიამსი (21), ვარეჯაო (18+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ილგაუსკასი (17+3 დაფარება), დ. უესტი (12), შჩერბიაკი (11).
ი: გრეინჯერი (33), დენიელსი (17+11 მოხსნა+7 პასი), ფორდი (13), ჰიბერტი (11+9 მოხსნა), ჯეკი (7+6 პასი), მერფი (6+9 მოხსნა).

**იუტა-ოკლაჰომა სიტი 104:97**
29:15, 29:14, 20:34, 26:34
ი: ბუზერი (21+9 მოხსნა), ოქური (16), კირილენკო (16+12 მოხსნა), კორვერი (13), ბრიუერი (11), ნაითი (4+11 პასი+3 ჩაჭრა).
ო: დურანტი (24), ჯეფ გრინი (22+3 ჩაჭრა), დ. მეისონი (18), ა. უოტსონი (13).

**ნიუ ჯერსი-დეტროიტი 103:96**
14:27, 25:17, 33:26, 31:26
ნ-ჯ: დ. ჰარისი (38), ვ. კარტერი (18+7 პასი), ბუნი (18+14 მოხსნა), იი იანლიანი (12+9 მოხსნა).
დ: აივერსონი (24+6 პასი), ჰემილტონი (22), პრინსი (19+11 მოხსნა), რ. უოლასი (11+7 მოხსნა).

**სან ანტონიო-მაიამი 83:99**
12:26, 20:24, 24:25, 27:24
ს-ა: დანკანი (22+11 მოხსნა), რ. მეისონი (18+6 პასი), უდოკა (14).
მ: უეიდი (33+10 მოხსნა+9 პასი+3 ჩაჭრა), მ. ბიზლი (20+8 მოხსნა), ჰასლემი (15+10 მოხსნა), ქუინი (15), დ. კუკი (10), ჩელმერსი (2+7 პასი).

**ჩიკაგო-ფინიქსი 100:83**
20:17, 28:17, 31:25, 21:24
ჩ: გორდონი (23+6 პასი), დ. როუზი (18+6 პასი), ტ. ტომასი (14+7 მოხსნა), დენგი (14), გუდენი (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნოა (9+14 მოხსნა).
ფ: ა. სტაუდმაიერი (26+7 მოხსნა), რ. ლოპესი (14+7 მოხსნა), დიაო (11).

**საკრამენტო-მინესოტა 121:109**
36:27, 26:28, 30:24, 29:30
ს: მარტინი (26+6 პასი), სალმონსი (23), უდრიხი (15), ჰოუსი (13+8 მოხსნა), მური (12), ბ. მილერი (11+10 მოხსნა).
მ: ლავი (20+8 მოხსნა), მ. მილერი (16), ტელფეირი (15+7 პასი), უ. ჯეფერსონი (14+9 მოხსნა), ფოიე (11).

**დენვერი-დალასი 108:105**
26:23, 22:26, 31:23, 29:33
დენ: ენტონი (28+8 მოხსნა+6 პასი), ნენე (19+7 მოხსნა), ბილაპსი (15+3 ჩაჭრა), სმიტი (15).
დალ: ნოვიცკი (23+10 მოხსნა), კიდი (22+10 მოხსნა+9 პასი), ტერი (20+7 პასი), ჯერალდ გრინი (13), ბასი (12+10 მოხსნა), ჰოვარდი (11).

**გ. სტეიტი-მემფისი 104:109**
30:28, 20:20, 24:33, 30:28
გ-ს: ს. ჯექსონი (27), ბიედრინსი (23+12 მოხსნა), აზუბუიკე (21), ს-ჯ. უოტსონი (9+8 მოხსნა+8 პასი).
მ: გეი (23), მაიო (20+9 მოხსნა), უორიკი (19+10 მოხსნა), არტური (13+12 მოხსნა+3 დაფარება), კონლი (10+6 პასი).

**კლიპერსი-ჰიუსტონი 83:92**
18:25, 23:24, 25:22, 17:21
კ: ბ. დევისი (23+8 პასი), კამანი (23+11 მოხსნა), ტორნტონი (10), კემბი (6+13 მოხსნა).
ჰ: არტესტი (23+8 მოხსნა), ლენდრი (20+9 მოხსნა), იაო მინი (16+9 მოხსნა+5 დაფარება), სკოლა (14+7 მოხსნა), ელსტონი (12+8 პასი).

**8 ნოემბერი**

**ინდიანა-ნიუ ჯერსი 98:80**
32:27, 17:24, 25:15, 24:14
ი: გრეინჯერი (23), მერფი (17+10 მოხსნა), დენიელსი (14), ფორდი (13+9 მოხსნა+9 პასი), ფოსტერი (12+13 მოხსნა), ჯეკი (10).
ნ-ჯ: ვ. კარტერი (31), დულინგი (17), იი იანლიანი (2+11 მოხსნა).

**ორლანდო-ვაშინგტონი 106:81**
27:21, 31:18, 26:19, 22:23
ო: დუაიტ ჰოვარდი (31+16 მოხსნა+3 დაფარება), პიეტრუსი (18), ბოგანსი (13), თურქოგლუ (11).
ვ: იანგი (20), სტივენსონი (14), კ. ბატლერი (10).

**ნიუ ორლეანი-მაიამი 100:89**
24:23, 23:13, 27:30, 26:23
ნ-ო: პოლი (21+7 მოხსნა+13 პასი+4 ჩაჭრა), დ. უესტი (21+9 მოხსნა), ჩენდლერი (13+10 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (12), პიტერსონი (10), მ. ჯეიმსი (10).
მ: უეიდი (30+10 პასი), ქუინი (14), ჰასლემი (12), მ. ბიზლი (10), მერიონი (10+8 მოხსნა).

**ჩიკაგო-კლივლენდი 97:106**
28:32, 29:22, 20:20, 20:32
ჩ: გორდონი (29), დენგი (20+7 მოხსნა), დ. როუზი (17+9 პასი), ნოჩიონი (16).
კ: ლ. ჯეიმსი (41+13 მოხსნა), ილგაუსკასი (16), ვარეჯაო (13+3 დაფარება), მო უილიამსი (11+7 პასი+4 ჩაჭრა).

**მილუოკი-ფინიქსი 96:104**
19:29, 23:23, 25:24, 29:28
მ: სეშენსი (23+6 პასი), ბელი (16), მბა-ა-მუტე (14+7 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (14), ბოგუტი (5+11 მოხსნა).
ფ: შ. ო'ნილი (29+11 მოხსნა), ა. სტაუდმაიერი (24), ნეში (16+7 პასი), ჰილი (13+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**პორტლენდი-მინესოტა 97:93**
18:24, 25:25, 26:21, 28:23
პ: როი (24+9 პასი), ოლდრიჯი (24+13 მოხსნა+3 დაფარება), ფერნანდესი (11), პრჟიბილა (4+9 მოხსნა), ოუტლოუ (11).
მ: უ. ჯეფერსონი (27+3 დაფარება), მ. მილერი (14), მაკენტსი (13), ფოიე (11), კ. სმიტი (10).

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**7 ნოემბერი**

**კაროლინა-ოტავა 2:1**
0:0, 0:1, 2:0
გოლები: 0:1 ფიშერი-2 (ალფრედსონი-11, შუბერტი-2), 1:1 სამუელსონი-2 (რეი უიტნი-9, კორვო-4), 2:1 კორვო-3 (ბრინდამორი-5, გლისონი-6).

**კოლამბუსი-მონრეალი 4:3 (ბ)**
1:1, 0:0, 2:2, 0:0
გოლები: 1:0 უმბერგერი-5 (ჩიმერა-6, ნეში-5), 1:1 ტანგეი-7 (ჰიგინსი-2, ლანგი-4), 1:2 ბრისბუა-1 (კოვალიოვი-6, პლეკანეცი-5), 2:2 მეტროპი-3 (ნეში-6, პეიდა-1), 3:2 მოდინი-2 (ტიუტინი-5, პეიდა-2), 3:3 ა. კოსტიცინი-3 (ა. კოსტიცინი-3, პლეკანეცი-6).
ბულიტები გაიტანეს: ჰუსელიუსი (კოლამბუსი), ბრასარი (კოლამბუსი).

**ბაფალო-ატლანტა 4:5 (ო)**
2:1, 2:2, 0:1, 0:1
გოლები: 0:1 ჯეისონ უილიამსი-4 (კოვალჩუკი-6, ე. კრისტენსენი-6), 1:1 მაკარტური-6 (ტალინდერი-3), 2:1 კოტალიკი-5 (რუა-5, კონოლი-2), 2:2 ლიტლი-7 (ვიაჩ. კოზლოვი-4, ენსტრომი-5), 3:2 აფინოგენოვი-1 (ნუმინენი-5), 3:3 ლიტლი-8 (ვიაჩ. კოზლოვი-5, ჰაველიდი-5), 4:3 ვანეკი-12 (კონოლი-3, რუა-6), 4:4 ტ. უაიტი-4 (ლიტლი-6, ვიაჩ. კოზლოვი-6), 4:5 ჯეისონ უილიამსი-5 (კოვალჩუკი-7, ჰეინსი-6).

**ანაჰაიმი-დალასი 2:5**
1:2, 0:2, 1:1
გოლები: 0:1 ბრუნსტრომი-6 (რიბეირო-12, მოროუ-9), 0:2 პერიში-1 (ციველი-6, ბუშე-2), 1:2 ბ. მორისონი-1 (რ. კარტერი-4, სელიანე-6), 1:3 პერიში-2 (რიბეირო-13, ბ. რიჩარდსი-6), 1:4 პერიში-3, 1:5 ბ. რიჩარდსი-4 (ოტი-2, დელეი-3), 2:5 ს. ნიდერმაიერი-2 (პრონგერი-10, გეტცლაფი-13).

**8 ნოემბერი**

**ბოსტონი-ბაფალო 3:1**
1:1, 2:0, 0:0
გოლები: 0:1 კონოლი-1 (პომინვილი-6, როვე-4), 1:1 ვიდემანი-4 (იელე-2, კობესიუ-3), 2:1 კობესიუ-1 (მ. ტორნტონი-2), 3:1 სავარი-6 (კესელი-2).

**ტორონტო-მონრეალი 6:3**
1:0, 3:3, 2:0
გოლები: 1:0 ჰაგმანი-5 (გრაბოვსკი-3, ფინგერი-2), 2:0 გრაბოვსკი-7 (კულემინი-6, ი. უაიტი-2), 2:1 ლანგი-4 (ტანგეი-6, მარკოვი-13), 2:2 პლეკანეცი-4 (ს. კოსტიცინი-3, კოვალიოვი-7), 3:2 ჰაგმანი-6 (კუბინა-6, ტ. კაბერლე-7), 3:3 ს. კოივუ-5 (ტანგეი-7, ჰიგინსი-3), 4:3 ანტროპოვი-6 (პონიკაროვსკი-7, სტაიანი-7), 5:3 კუბინა-3 (ანტროპოვი-7, ტ. კაბერლე-8), 6:3 პონიკაროვსკი-4 (ანტროპოვი-8, სტაიანი-8).

**აილენდერსი-პიტსბურგი 3:4 (ბ)**
1:0, 2:2, 0:1, 0:0
გოლები: 1:0 უეიტი-3 (გერინი-5, ჰილბერტი-3), 1:1 ტ. კენედი-4 (ზიგომანისი-1, კუკი-3), 2:1 ჯეკმენი-1 (უეიტი-10, სატონი-2), 3:1 ჰილბერტი-3 (ოკპოსო-3, სატონი-3), 3:2 ჯ. სტაალი-2 (მალკინი-18, ლეტანგი-7), 3:3 ტ. კენედი-5 (გოლიგოსკი-3, ზიგომანისი-2).
ბულიტები გაიტანეს: სიკორა (პიტსბურგი).

**ფილადელფია-ტამპა ბეი 1:2**
1:0, 0:2, 0:0
გოლები: 1:0 ბრიერი-4 (საიმონ განიე-7, მ. რიჩარდსი-12), 1:1 ი. იოკინენი-5 (რეკი-6, გ. რობერტსი-1), 1:2 პროსპალი-3 (ლეკავალიე-5, სენტ ლუისი-7).

**ვაშინგტონი-რეინჯერსი 3:1**
2:0, 0:0, 1:1
გოლები: 1:0 ლეიჩი-3 (სიომინი-10, ბექსტრომი-6), 2:0 პოტი-1 (გორდონი-3), 2:1 ჟორონსი-6 (დუბინსკი-9, ჟირარდი-9), 3:1 სიომინი-11 (მულტცი-5).

**დეტროიტი-ნიუ ჯერსი 3:1**
1:0, 1:1, 1:0
გოლები: 1:0 მარიან ჰოსა-7 (რაფალსკი-10), 1:1 პარიზე-10 (ოდუია-5, ზაიაცი-7), 2:1 მარიან ჰოსა-8 (დაციუკი-10), 3:1 მიოლტბი-1 (ლილია-1, კოპეცკი-2).

**კოლამბუსი-კალგარი 3:1**
1:0, 1:1, 1:0
გოლები: 1:0 ჩიმერა-5, 1:1 იგინლა-9 (ბერტუცი-6, ფანოფი-9), 2:1 ბრასარი-6 (კომოდორი-7, პეიდა-3), 3:1 მალორტა-2.

**კოლორადო-ნეშვილი 1:0**
0:0, 1:0, 0:0
გოლი: 1:0 ტაკერი-3 (ჰენსიკი-2, რ. სმიტი-5).

**ფინიქსი-ფლორიდა 4:1**
0:1, 2:0, 2:0
გოლები: 0:1 ზედნიკი-2 (ბოინტონი-4, პელტონენი-1), 1:1 მიულერი-4 (ო. იოკინენი-8, იენდლი-4), 2:1 ბოდკერი-4 (ვინიკი-1, იენდლი-5), 3:1 ო. იოკინენი-5, 4:1 ბოდკერი-5 (ჰანზალი-5).

**ვანკუვერი-მინესოტა 2:0**
1:0, 0:0, 1:0
გოლები: 1:0 სალო-1 (ბიეკსა-7, პ. სედინი-10), 2:0 დ. სედინი-5 (პ. სედინი-11, ბიეკსა-8).

**სან ხოსე-დალასი 2:1**
1:0, 0:0, 1:1
გოლები: 1:0 ბოილი-3 (ჯ. ტორნტონი-11, მარლო-9), 1:1 ლ. ერიქსონი-6 (ოტი-3), 2:1 მარლო-7.

**ლოს ანჯელესი-სტ. ლუისი 5:3**
1:0, 2:0, 2:3
გოლები: 1:0 კოპიტარი-2 (დ. ბრაუნი-5, დაუტი-3), 2:0 ფროლოვი-5 (კუინსი-5, მოლერი-3), 3:0 პრისინგი-3 (გოტიე-1, ფროლოვი-4), 3:1 ე. მაკდონალდი-4 (ბოიესი-6, ტკაჩუკი-2), 4:1 დაუტი-2 (კოპიტარი-8, პრისინგი-3), 4:2 ბერგლუნდი-4 (ბეკსი-3, კ. იანსენი-1), 4:3 ბოიესი-8 (ე. მაკდონალდი-12, სტემპნიაკი-5), 5:3 დ. ბრაუნი-5 (კალდერი-3, კოპიტარი-9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. შემოდგომის ტესტები

# 3:1 სამხრეთელთა სასარგებლოდ



საშემოდგომო ტესტებზე ჩვეულებისამებრ სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლა სარაგბო ქვეყნები ევროპის ექვსი ერის ქვეყნებს სტუმრობენ. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი შეხვედრები სამხრეთელთა უპირატესობით წარიმართა. ოთხიდან მათ სამი მოიგეს და მხოლოდ ერთი, არგენტინა დამარცხდა საფრანგეთში 6:12.

არგენტინის ნაკრებს ახლა რთული ხანა უდგას. გუნდში თაობათა ცვლის პროცესია და საფრანგეთშიც თითქმის მთლიანად გადახალისებული შემადგენლობით იასპარეზეს. თუმცა, უძლიერესი გუნდით არც მასპინძელ „ლე ბლოს" უთამაშია. შეხვედრაც დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა. **დავიდ სკრელას** სამ საჯარიმოსა და ერთ არეკნს **ფილიპე კონტეპომიმ** მხოლოდ ორი საჯარიმოთი უპასუხა.

ბევრად უფრო საინტერესო გამოდგა შეხვედრები ბრიტანეთში. შოტლანდიის ნაკრები ზელანდიას დიდხანს კარგად კი ეჭიდავა, მაგრამ მის ფერხმარდ უკანა ხაზთან ვერაფერს გახდა. თანაც, „ოლ ბლექსის" წამყვანი მოთამაშეები **რიჩი მაკქოუ** და **დენ კარტერი** სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. „დიდი დენის" შემცვლელმა **სტეფან დონალდმა** თავისი ფუნქცია თითქმის იდეალურად შეასრულა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბლედისლოუს თასის ბოლო შეხვედრაში ავსტრალიის ნაკრების წინააღმდეგ ათი ნომერი სწორედ დონალდი იყო, უნდა ვივარაუდოდ, რომ ზელანდიელებს მალე ორი თანაბარი ძალის ათი ნომერი ეყოლებათ, რაც საშუალებას მისცემს გუნდს, საჭიროების შემთხვევაში ორი ათი ნომრით ითამაშოს. თუმცა დონალდს თავისი ჯერ კიდევ დასამტკიცებელი აქვს.

საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიო თასის მფლობელ სამხრეთ აფრიკას უელსის ნაკრებმა. ბოკემ სრულ უპირატესობას პირველი და მეორე ტაიმის საწყის წუთებში მიაღწია. დანარჩენ დროს კი, თამაშის საშუალებას მოწინააღმდეგესაც აძლევდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს აფრიკელები დაცვაში თამაშს ვარჯიშობდნენ.

52-ე წუთისთვის სამხრეთ აფრიკა მასპინძლებს 17 ქულის სხვაობით - 20:3 უგებდა. უელსელებმა სხვა რომ ვერაფერი მოახერხეს, შერკინების მოკლე დარტყმებით სცადეს მოწინააღმდეგის შევიწროება. ამ ხერხმა თითქოს გაამართლა კიდეც. ბოკე ხშირად ჯარიმდებოდა და უელსელებს საშუალება მიეცათ ჩამორჩენა ხუთ ქულამდე შეემცირებინათ - 15:20. თამაშის დასრულებამდე 7 წუთი რჩებოდა. დრო საკმარისი იყო თუნდაც ფრეს გასახერხებლად. მაგრამ აფრიკელებმა სიმძლავრეები ისევ მაქსიმალურად აამოქმედეს და უელსელებს შეტევის განხორციელების საშუალება მთლიანად მოუსპეს.

სენსაციურად ვითარდებოდა მოვლენები იტალიაში. აძური შინ ვოლაბებს დაუხვდა და 59-ე წუთისთვის ანგარიში საყაიმო იყო 20:20. გადამწყვეტ უპირატესობას ავსტრალიელებმა დასკვნით ათ წუთში მიაღწიეს. 71-ე წუთზე ლელო **ქუადე კუპერმა** გაიტანა, რომელიც **მეტ გიტომ** გარდასახა. მანვე 7 წუთში საჯარომოდანაც ზუსტად დაარტყა და იტალიელებს მატჩის გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაუწურა 30:20.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**შემოდგომის ტესტები**

**უელსი-ს. აფრიკა 15:20**

**უელსი:** 5ს - ჰალგპენი, ჰუკი (4).
**ს. აფრიკა:** 2ლ: იაკობს, დეფილიერსი. 2გ, 2ს - პეინაარი.

**ინგლისი-კუნძულელები 39:13**

**ინგლისი:** 5ლ- სეისკი (2), კიპრიანი, კენედი, მეარსი. 4გ, 2ს - კიპრიანი.
**კუნძულელები:** ლ: რაბენი. 2ს - ჰოლა, ბაი. გ - ჰოლა.

**შოტლანდია-ზელანდია 6:32**

**შოტლანდია** : 2ს - პეტერსონი
**ზელანდია:** 4ლ - ტუიტავაკე, ვეპუ, კაჰუი, ბორიჩი. 3გ: დონალდი (2), კარტერი. 2ს - დონალდი.

**ირლანდია-კანადა 55:0**

**ირლანდია:** 8ლ - ეარლზი, კეარნი (2), ჰასლიპი, ბოუვი (2), დ. ვოლესი, ქუინლანი. 6გ - ოგარა (5), პ. ვოლესი. ს - ოგარა.

**იტალია-ავსტრალია 20:30**

**იტალია** : ლ - მირ. ბერგამასკო. 4ს - მარკატო (2), ურკუერა (2). ა - მარკატო.
**ავსტრალია:** 2ლ - ტერნერი, კუპერი. 6ს - მორთლოქი (3), გიტო (3). გ - გიტო.

**საფრანგეთი-არგენტინა 12:6**

**საფრანგეთი:** 3ს - სკრელა. ა - სკრელა.
**არგენტინა:** 2ს - კონტეპომი.

**აშშ-ურუგვაი 43:9**

**14 ნოემბერი**

უელსი-კანადა

**15 ნოემბერი**

შოტლანდია-ს. აფრიკა
იტალია-არგენტინა
საფრანგეთი-კუნძულელები
ინგლისი-ავსტრალია
ირლანდია-ზელანდია

**16 ნოემბერი**

იაპონია-აშშ

**ევროპის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-ესპანეთი | 42:15 |

რაგბი ლიგა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ავსტრალია ჯერჯერობით დაუმარცხებელია



A ჯგუფის ბოლო ტურის შეხვედრებში ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტმა - ზელანდიის ნაკრებმა ინგლისის ეროვნული გუნდი 36:24 დაამარცხა. ეს გუნდები 15 ნოემბერს ისევ წარდგებიან ერთმანეთის წინაშე ნახევარფინალურ შეხვედრაში. ძნელი სავარაუდოა, ხუთ დღეში რამე შეიცვალოს და ზელანდიამ ბრიტანელებს რამე დაუთმოს.

თუმცა გამორიცხული არაფერია. ჯგუფური ტურნირის ამ მატჩში პირველი ნახევარი ინგლისელებმა 24:8 მოიგეს. მაგრამ მერე მოედანზე რისთვის გავიდნენ ძნელი სათქმელია. შესაძლებელია ძალები დაზოგეს. ან ვინ იცის, იქნებ მეტი არც შეუძლიათ. ყოველივეს 15 ნოემბერს მოეფინება ნათელი.

რაც შეეხება ზელანდიას, მათ დაშხოშიანად იბურთავეს. პირველ ტაიმში გატანილ ორ ლელოს კიდევ ხუთი მიუმატეს. აქედან ოთხი გარემარბის **მანუ ვატუვეის** ანგარიშზეა. ინგლისელთაგან ორი გატანილი ლელოთი გამთამაშებელი **რობ ბაროუ** გამოირჩა.

დიდი ანგარიშით - 46:6 დაამარცხა გვინეას ნაკრები შეჯიბრების მასპინძელმა და ფავორიტმა ავსტრალიამ, რომელიც ერთადერთი გუნდია, ვინც ჯერ არ დამარცხებულა. კენგურუები ახლა ნახევარფინალში ფიჯისა და ირლანდიას შორის გამარჯვებულს დაუპირისპირდებიან. ეს შეხვედრა დღეს გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ავსტრალია-გვინეა 46:6**

**ავსტრალია:** 8ლ - ვილიამსი (3), მონაგანი (2), პრაისი (2), ტუპოუ. 7გ - თურსტონი.
**გვინეა:** ლ - იერე. გ - ვილშერე.

**ინგლისი-ზელანდია 24:36**

**ინგლისი:** 4ლ - იგამი, ბაროუ (2), გლესონი. გ - პურდჰამი (4).
**ზელანდია** : 7ლ - ვატუვეი (4), ჰოჰაია, ნაითინგალე, ფიენი. 4გ - ლუკე (3), სმითი.

**საჯგუფო მდგომარეობა**

**A ჯგუფი**

ავსტრალია - 6 ქულა, ზელანდია - 4, ინგლისი -2, გვინეა - 0

**B ჯგუფი**

ფიჯი - 2 ქულა, შოტლანდია - 2, საფრანგეთი -2.

**C ჯგუფი**

ირლანდია - 2 ქულა, ტონგა - 2, სამოა - 2.

**10 ნოემბერი**

ფიჯი-ირლანდია

**15 ნოემბერი**

ინგლისი-ზელანდია

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| გერმანია | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ტრირი | 76:53 |
| ბრაუნშვაიგი-ტიუბინგენი | 73:56 |
| ტელეკომი-ულმი | 94:66 |
| ჰესენი-გეტინგენი | 86:92 |
| ოლდენბურგი-ჯაიანტსი | 85:78 |
| ერტლანდი-ლუდვიგსბურგი | 81:54 |
| ჯაიანტსი-ბროზე | 83:94 |
| კიოლნი-ბრემერჰავენი | 100:71 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| ოლიმპია-არისი | 55:73 |
| პანათინაიკოსი-ტრიკალა | 81:62 |
| აეკ-პანელინიოსი | 59:72 |
| მარუსი-ლარისა | 87:69 |
| კავალა-ოლიმპიაკოსი | 51:82 |
| კოლოსოსი-პანიონიოსი | 88:71 |
| პაოკ-ეგალეო | 88:65 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| სარაგოსა-მანრესა | 77:73 |
| ხუვენტუდი-რეალი | 68:79 |
| ბარსელონა-ესტუდიანტესი | 71:72 |
| ბილბაო-კახასოლი | 70:65 |
| ფუენლაბრადა-მენორკა | 91:81 |
| გრან კანარია-უნიკახა | 74:68 |
| მურსია-ბრუესა | 104:95 |

| იტალია | |
|---|---|
| სნაიდერო-რომა | 104:100 |
| მონტეპასკი-ფორტიტუდო | 109:82 |
| კანტუ-ტერამო | 91:88 |
| მონტეგრანარო-ბიელა | 70:66 |
| რიეტი-ბენეტონი | 65:66 |
| ფერარა-მილანი | 61:63 |
| ვირტუსი-აველინო | 71:78 |
| კასერტა-სკავოლინი | გადაიდო |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ბეზანსონი-სტრასბური | 74:72 |
| ჰავრი-რუანი | 86:88 (ო) |
| დიჟონი-ლე მანი | 82:80 |
| ორლეანი-გრაველენი | 76:89 |
| პო ორტეზი-ვიში | 66:80 |
| ტულონი-რუანი | 59:48 |
| შოლე-ნანსი | 77:88 |

**ჰოკეი**

| ევროტური | |
|---|---|
| შვედეთი-ჩეხეთი | 1:4 |
| ფინეთი-რუსეთი | 2:6 |
| რუსეთი-ჩეხეთი | 0:0 |
| ფინეთი-შვედეთი | 0:2 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| საფრანგეთი-იტალია | 3:1 |
| შვეიცარია-კანადა | 0:3 |
| ნორვეგია-ავსტრია | 4:5 |
| გერმანია-სლოვაკეთი | 5:2 |
| ლიტვა-სერბეთი | 7:2 |
| სლოვაკეთი-შვეიცარია | 1:1 |
| გერმანია-კანადა | 0:3 |

**ხელბურთი**

| ჩემპიონთა ლიგა | |
|---|---|
| ჰამარბიუ-პივოვარნა | 27:31 |
| ვეჟპრემი-ზაპოროჟიე | 33:22 |
| მეტალურგი (ს)-ბარსელონა | 22:29 |
| ბოსნა-სიუდადი | 21:34 |
| ვისლა-ზაგრები | 24:27 |
| კოპერი-სტიაუა | 29:30 |
| პორტლენდი-ჩეხ. მედვედი | 33:27 |
| ჰაფნარი-ფლენსბურგი | 25:35 |

| გერმანია | |
|---|---|
| მინდენი-დორმაგენი | 30:24 |
| ნორდჰორნი-ჰამბურგი | 29:33 |
| შტრალცუნდი-ვეტცლარი | 17:30 |
| ბალინგენი-მაგდებურგი | 24:28 |
| კეპინგენი-ფიუხსე | 23:27 |
| კილი-ლემგო | 33:23 |
| გუმერსბახი-ესენი | 32:30 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-ოსტავიო | 36:37 |
| გრანოლერსი-კუენკა | 37:32 |
| ალმერია-ტორევიეხა | 23:30 |
| ტეუკრო-ალკობენდასი | 27:26 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ალინგსასი-ლინესბერგი | 32:29 |
| ჰ43-ტუმბა | 33:31 |
| ისტადსი-ისტადი | 31:27 |
| ტრელებორგი-სკოვდე | 29:33 |

**ჩოგბურთი**

| ATP. შანხაი | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-დელ პოტრო | 7:5, 6:3 |
| ცონგა-დავიდენკო | 7:6, 4:6, 6:7 |

| WTA. დოჰა | |
|---|---|
| ზვონარევა-დემენტიევა | 7:6, 3:6, 6:3 |
| ვ. უილიამსი-იანკოვიჩი | 6:2, 2:6, 6:3 |
| ვ. უილიამსი-ზვონარევა | 6:7, 6:0, 6:2 |

TV სპორტი

**10 ნოემბერი. ორშაბათი**

**იმედი**

01:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ჩელსი.
09:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ლილი.
11:10 არგენტინის ჩემპიონატი. არსენალი-ბოკა ხუნიორსი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რეკრეატივო.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
19:05 ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ვალენსია.
20:55 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 საფეხბურთო ღამე
00:30 ინგლისის ჩემპიონატი. ბლექბერნი-ჩელსი.
02:20 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ნანტი-ტულუზა.
05:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
06:50 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ევერტონი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.
09:45 სპორტის სამყარო.
10:10 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
11:15 ფეხბურთელთა ცხოვრება.
11:40 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ტურნირი. II ტური. მილანი-ბრაგა.
13:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის თასი. ჯგუფური ტურნირი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
18:05 სპორტის სამყარო.
18:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
19:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალიადოლიდი.
21:15 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:20 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:05 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 პროფესიული კრივი. რაულ მარკესი-არტურ აბრაჰამი.
02:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
02:05 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
03:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
03:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
04:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ტამპა ბეი (LIVE).
06:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ბაიერნი.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. გერმანია-კანადა. ახალი ზელანდია.
13:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ფინალი. ვენუს უილიამსი-ვერა ზვონარევა. დოჰა. კატარი.
15:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. II დღე.
16:00 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. III დღე (LIVE).
19:00 ფიგურული სრიალი. ჩინეთის გრანპრი. თავისუფალი ცეკვა.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:45 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. III დღე (LIVE).
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:45 სნუკერი. ბაჰრეინის ჩემპიონატი. III დღე.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვისლა პლოცკი (პოლონეთი)-ზაგრები (ხორვატია).
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ეტაპი. ახალი ზელანდია.
15:30 ახალი ამბები.
17:00 სუპერკროსი. I რბოლა. ციურიხი. შვეიცარია.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. ახალი ზელანდია.
19:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. II ტური.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ვისლა პლოცკი (პოლონეთი)-ზაგრები (ხორვატია).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ველოსპორტი. BMX. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
22:00 მაუნტინბაიკი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
23:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ქალები. 1/4 ფინალი. ახალი ზელანდია.
00:45 კიბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. აშშ.
02:00 ფეხბურთი. იაპონიის ლიგა. ტურის მიმოხილვა.
03:00 ახალი ამბები.

კრივი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# სისხლიანი ცეკვა მედისონ სკვერ გარდენში





36 წლის ბრიტანელმა **ჯო კალზაგემ** ნახევრადმძიმე წონით კატეგორიაში 39 წლის ამერიკელ **როი ჯონსს** მსაჯების გადაწყვეტილებით სძლია. მართალია, ცნობილ "მედისონ სკვერ გარდენის" რინგზე ტიტული არ თამაშდებოდა, მაგრამ ბრძოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

ყოველთვის დასანანია, როცა დიადი სპორტსმენები კარიერას ასრულებენ. 40 წელს მიტანებულმა მოკრივეებმა კარიერის ბოლოსკენ გადაწყვიტეს იმის გარკვევა, თუ ვინ არის მათ შორის უძლიერესი. წინასწარ იყო ცნობილი, რომ ამ ბრძოლის შემდეგ კალზაგე ნებისმიერ შემთხვევაში პროფესიული რინგიდან წავლას აპირებდა. ბრიტანელი აქამდე დაუმარცხებელი იყო და ასევე აპირებდა კარიერის დასრულებას.

მართალია, ჯონსს ოფიციალურად არ გამოუცხადებია სპორტიდან წასვლის შესახებ, მაგრამ ამ ბრძოლის შედეგის გათვალისწინებით, შესაძლოა, მანაც ჩამოკიდოს ხელთათმანები ლურსმანზე.

ბრძოლის წინ ფავორიტის შესახებ სპეციალისტთა აზრი ორად გაიყო. მაგალითად, **რიკი ჰატონი** ამტკიცებდა, რომ უფრო ძლიერი როი ჯონსი იყო, **ლენოქს ლუისი** კი პირიქით, თავის თანამემამულეს ანიჭებდა უპირატესობას.

ბრძოლას ესწრებოდა კალზაგესა და ჯონსის საერთო კონკურენტი **ბერნარდ ჰოპკინსი**. სხვათა შორის, გუშინდელი ბრძოლის სცენარი ძალიან ჰგავდა კალზაგე-ჰოპკინსის დაპირისპირებას. მაშინაც პირველ რაუნდში ბრიტანელი ნოკდაუნში აღმოჩნდა, მაგრამ ბრძოლის მეორე ნახევარში დომინირებდა რინგზე.

ბრძოლა ნელ ტემპში დაიწყო. ჯონსმა სივრცე დაუთმო მეტოქეს, უკან იხევდა და კალზაგეს დარტყმებს წარმატებით ბლოკავდა. თავიდან როი უკეთ გამოიყურებოდა - მან მარჯვენათი თავში ეფექტური დარტყმა განახორციელა. რაუნდის შუაში, გამხეცებულმა კალზაგემ ბაგირებზე მიიმწყვდია ჯონსი და დარტყმების მთელი სერია დაატეხა თავს. ამერიკელმა შეტევას გაუძლო და მისმა მორიგმა მარჯვენამ კალზაგე ნოკდაუნში ჩააგდო. პირველი რაუნდი აშკარად ჯონსმა მოიგო.

კალზაგემ მეორე სამწუთეული ფრთხილად დაიწყო და ცდილობდა, ახლო ბრძოლაში არ ჩაბმულიყო. პირველი წუთის ბოლოსკენ მისმა მარცხენა დარტყმამ მიზანს მიაღწია, რასაც ჯონსმა რამდენიმე წარმატებული კონტრშეტევით უპასუხა. რაუნდის ბოლოს, ჯომ ამერიკელი რინგის კუთხეში გამოიჭირა, ჯერ კორპუსში ურტყა და შემდეგ დაუცველ თავშიც მიაყოლა რამდენიმე დარტყმა. მესამე რაუნდისთვის ბრძოლის სურათი ნელ-ნელა შეიცვალა. თუ პირველ ორი რაუნდში თანაბარი ბრძოლა აღინიშნა, შემდეგ თანდათანობით უელსელი მოკრივის უპირატესობა გამოიკვეთა. კალზაგე დარტყმების რაოდენობითა და სიზუსტით სჯობდა მეტოქეს. ამერიკელი აშკარა პასიურობაზე გადავიდა, რამაც ჯოს ტემპის გაზრდის საშუალება მისცა. მესამე რაუნდის ბოლო ორი წუთი კალზაგემ სასტიკ შეტევებში გაატარა, მაგრამ მხოლოდ ბოლოს შეძლო ზუსტი დარტყმების განხორციელება.

მეოთხე რაუნდის პირველი ორი წუთი თანაბარი ბრძოლა იყო. ჯონსი მარჯვენათი ზუსტი დარტყმის შესრულებას ცდილობდა, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია. ამის შემდეგ, ამერიკელს კალზაგეს შეტევებისგან თავის დასაცავად უკან დახევამ მოუწია. გონგამდე 11 წამით ადრე, როის მოულოდნელად ცხვირში ზუსტი მარჯვენა დარტყმა გამოუვიდა, რამაც ბრიტანელი ძალიან გაამხიარულა და რინგზე ხარხარიც დაიწყო, ჯონსმა კი ძლიერი მარცხენა ჰუკიც დაამატა. დაახლოებით ასეთი სცენარით მიმდინარეობდა მორიგი ორი რაუნდიც. მეხუთე 3-წუთეულის დასრულებამდე 40 წამით ადრე, უელსელის ქაოსურ შეტევებს ჯომ ერთი-ორი ზუსტი და ძლიერი დარტყმით უპასუხა, ხოლო მეექვსე რაუნდის ბოლოს, მარჯვენათი ეფექტური აპერკოტიც განახორციელა.

მეშვიდე რაუნდის ბოლოსკენ კალზაგემ მთლიანად ჩაიგდო ხელთ ინიციატივა და ათამდე ზუსტი დარტყმა შეასრულა. ცოტა ხანში კი, ამერიკელმა ისეთი ძალის დარტყმა გაატარა, რომ ჯონსის მარცხენა წარბიდან სისხლმა იფეთქა. სანამ ექიმები სისხლდენის შეჩერებას ცდილობდნენ, კალზაგე რინგის მოპირდაპირე მხარეს იჯდა. დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი ჯო გრძნობდა, რომ ბრძოლის ბედი მის სასარგებლოდ გადაიხარა.

თუმცა ჯონსმა მერვე რაუნდის აქტიური მოქმედებებით დაწყება გადაწყვიტა. მისი ნახევარი სახე სისხლით იყო შეღებილი. თითქოს ეს რაუნდი ჯონსს უნდა მოეგო, მაგრამ გონგამდე 40 წამით ადრე, კალზაგე შეტევაზე გადავიდა, რადგან არც ამ რაუნდის დათმობა სურდა მეტოქისთვის.

დარჩენილი ხუთი რაუნდის დაწყება ჭიანურდებოდა, რადგან ექიმები ყურადღებით სწავლობდნენ ჯონსის მდგომარეობას. ამერიკელის ცნობა შეუძლებელი იყო. ის დაღლილი, ფერმკრთალი და დათრგუნული ჩანდა. ბრიტანელი კი პირიქით, ძალიან მხნედ გამოიყურებოდა. უელსელი ფრთხილად მოქმედებდა და ცდილობდა, ზუსტი დარტყმების პროცენტით გაესწრო ოპონენტისთვის. ეტყობოდა, რომ ჯო შემთხვევით ნოკდაუნს გაურბოდა.

ბოლო რაუნდებში ჯონსი თითქმის აღარ იბრძოდა. ის ველარ ჰყვებოდა მეტოქის ტემპს და ერთი ღირებული დარტყმაც არ შეუსრულებია. კალზაგე აშკარად დასცინოდა მოწინააღმდეგეს და ერთხელ რინგზე რაღაც ლამბადას მსგავსიც წაიცეკვა. ბრძოლის ბოლოს სამივე რეფერიმ ერთნაირი ანგარიშით უპირატესობა კალზაგეს მიანიჭა - 118:109. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჯონსმა მხოლოდ პირველი რაუნდი მოიგო (10:8), დანარჩენში უშანსოდ იყო დარჩენილი.

ამერიკელი საცოდავი სანახავი იყო. ასეთი უმწეო როი ჯონსი კრივის სამყაროს არასოდეს უნახავს. ალბათ, დროა, ჯონსმა კალზაგეს მიბაძოს და კარიერის დასრულებაზე იფიქროს.

ავტოსპორტი

# ჰემილტონი შუმახერის წინააღმდეგ

## ფორმულა 1-ის ახალი ტრიუმფატორი ჩემპიონთა რბოლაში მიიწვიეს

ფორმულა 1-ის ახალმა ჩემპიონმა **ლუის ჰემილტონმა** ჩემპიონთა რბოლის ორგანიზატორებისგან მიწვევა მიიღო. კარტინგებით ტრადიციული შეჯიბრება 14 დეკემბერს ლონდონში, ლეგენდარულ "უემბლის" მოედანზე გაიმართება.

ამ საავტომობილო შოუს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **ფრედერიკ ჯონსონმა** გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სავარაუდოდ, "მაკლარენის" პილოტი დათანხმდება შეთავაზებას და რბოლაში მონაწილეობას მიიღებს.

*"ლუისმა მითხრა, რომ ჩემპიონთა რბოლაში გამოსვლის დიდი სურვილი აქვს, თუმცა ჯერ არ გაურკვევია, გაუშვებს თუ არა მას გუნდი და გამონახავს თუ არა ბრიტანელი პილოტი თავისუფალ დროს თავის გადატვირთულ გრაფიკში. ყოველ შემთხვევაში, წინადადება ძალაში რჩება და ბრიტანეთის ნაკრებში, რომლის ღირსებას დევიდ კულტჰარდი დაიცავს, ერთი ადგილი ვაკანტურია"*, - ამბობს ფრედერიკ ჯონსონი.

*"რა თქმა უნდა, თუ ლუისი "უემბლიზე" გამოვა, ამით უდიდეს დახმარებას გამიწევს*, - განაცხადა **დევიდ კულტჰარდმა**, რომელმაც წელს დაასრულა კარიერა ფორმულა 1-ში. - *მას უკან ამოვეფარები და ბოლოს და ბოლოს, კარიერაში ერთ ტიტულს მომაპოვებინებს"*.



ჩემპიონთა რბოლა 1988 წლიდან ტარდება. იდეის ავტორები ფრედერიკ ჯონსონი და წარსულში ცნობილი ფრანგი რალისტი **მიშელ მუტონი** იყვნენ. შოუს ყოველთვის უამრავი მაყურებელი ესწრება და ბევრ ქვეყანაში პირდაპირ ეთერში გადაიცემა. ასეთი პოპულარობა იმით აიხსნება, რომ ჩემპიონთა რბოლაში ტრადიციულად სხვადასხვა სარბოლო სერიების საუკეთესო წარმომადგენლები გამოდიან.

ასე მაგალითად, 14 ოქტომბერს ბრიტანელის ერთ-ერთი მეტოქე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი **მიხაელ შუმახერი** იქნება. ლეგენდარული გერმანელი რეგულარულად გამოდის ჩემპიონთა რბოლაში. "უემბლიზე" ფორმულა 1-ის სხვა ვარსკვლავებსაც ვიხილავთ - **სებასტიან ფეტელს, მარკ უებერს, ჯენსონ ბატონს**... აქვე იქნებიან რალიში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი **სებასტიან ლოები**, სუპერბაიკის კლასში მსოფლის სამგზის ჩემპიონი **ტროი ბეილისი**, "ტურიზმის" კლასში პლანეტის საუკეთესო ავტომრბოლი **ენდი პრიოლი** და ლე მანის 24-საათიანი რბოლის შვიდგზის გამარჯვებული **ტომ კრისტენსენი**.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

